პაატა ტურავა
ნათია წკეპლაძე

ადმინისტრაციული სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო

საქართველოს გაეროს ასოციაციის
პუბლიკაცია



თბილისი
2005

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა vi

თავი 1. ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები 1

§1. კანონის წინაშე თანასწორობა 2
§2. უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე 4
§3. დისკრეციული უფლებამოსილება 6
1. დისკრეციული უფლებამოსილების ცნება და არსი 6
2. დისკრეციული უფლებამოსილების საფუძვლები 8
3. დისკრეციული უფლებამოსილების დანიშნულება 8
4. შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში და მისი სამართლებრივი შედეგები 10
§4. საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტა 11
§5. საქვეყნოობა და საჯაროობა 12

თავი 2. ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმები 13

§1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი 14
1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნება და ელემენტები 14
1.1. ადმინისტრაციული ორგანო 15
1.2. „ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე“ 17
1.3. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი 18
1.4. „აქტი აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს“ 20
2. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახეები 24
3. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობა 27

4. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება და უკანონობა 33
4.1. კანონიერი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი 35
4.2. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური და მატერიალური კანონიერება 37
4.2.1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერება 37
4.2.2. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერება 41
4.3. უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი 42
4.4. არარა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი 44
5. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმება 47
5.1. ბათილად და ძალადაკარგულად გამოცხადების ინსტიტუტების გამიჯვნა მათი სამართლებრივი შედეგების მიხედვით 51
5.2. ბათილად და ძალადაკარგულად გამოცხადების ინსტიტუტების სამართლებრივი ბუნება 52
5.3. აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად და ძალადაკარგულად გამოცხადება 53
5.3.1 აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება 53
5.3.2 აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება 55
5.4. მხარის კანონიერი ნდობა და კომპენსაცია 59
6. ამკრძალავი (მავალებელი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად და ძალადაკარგულად გამოცხადება 60

6.1. ამკრძალავი (მავალებელი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება 60
6.2. ამკრძალავი (მავალებელი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება 61
7. უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებები 63

§2 ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი 67
1. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნება და არსი 68
2. ადმინისტრაციული წარმოება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით 70
3. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება 72
3.1. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერება. 72
3.2. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერება 74
4. უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებები 75

§3. რეალაქტი 76
1. რეალაქტის ცნება 77
2. რეალაქტის გამოვლენის ფორმები 77
3. რეალაქტის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები 79
4. უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებები 80

§4 ადმინისტრაციული ხელშეკრულება 82
1. ადმინისტრაციული ხელშეკრულების საკანონმდებლო საფუძველი 84
2. ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნება 84

3. ადმინისტრაციული ხელშეკრულების გამიჯვნა სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებისგან 86
4. ადმინისტრაციული ხელშეკრულება და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი 87
5. ადმინისტრაციული ხელშეკრულების კანონიერება 89
5.1. ადმინისტრაციული ხელშეკრულების ფორმალური კანონიერება. 90
5.2. ადმინისტრაციული ხელშეკრულების მატერიალური კანონიერება 91
6. ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილობა 91
7. ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტა 92

§5. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამიჯვნა ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სხვა ფორმებისგან 96
1. კაზუსი: „წყლის მოწამვლა“ 96
2. კაზუსი: ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი? 97
3. ახალი ტენდენციები საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში 99

§6. ადმინისტრაციულ საქმეთა წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში 102

თავი 3. ინფორმაციის თავისუფლება 111

1. ინფორმაციის თავისუფლების სამართლებრივი საფუძვლები 113
2. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის უფლების მქონე სუბიექტები 113
3. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი სუბიექტები 114
4. საჯარო ინფორმაციის ფორმა 115
5. ღია და დახურული საჯარო ინფორმაციები 117

6. კოლეგიურ საჯარო დაწესებულებათა სხდომების საჯაროობა 123
7. ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემა 124
8. უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებები 125

დანართი 1 მზია და გია ფეიქრიშვილები ქ. თბილისის სააღსრულებო ბიუროს წინააღმდეგ 128
დანართი 2 შპს გაზეთი „ალია“ საქართველოს გენერალური პროკურატურის წინააღმდეგ 145
დანართი 3 თ. გომელაური საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს წინააღმდეგ 155
დანართი 4 საქართველოს მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირი „სოლიდარობა“ ქუთაისის №13 საშუალო სკოლის წინააღმდეგ 162
დანართი 5 თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება (საქმე №3ბ-413.04წ. 16 თებერვალი 2004 წელი, ქ. თბილისი) დ. გურგენიძის სააპელაციო საჩივარზე 171

გამოყენებული ლიტერატურა 179

წინასიტყვაობა

თანამედროვე ადმინისტრაციული სამართლის მთავარი დანიშნულებაა უზრუნველყოს როგორც ფიზიკური ასევე კერძო სამართლის იურიდიული პირების დაცვა ადმინისტრაციულ ორგანოთა ბიუროკრატიული თვითნებობისაგან, მოქნილი და ეფექტური გახადოს მათ შორის წარმოშობილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობები. იმავდროულად, პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით, ჩვენ ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს საჯარო ინტერესებისთვის პატივისცემის საკითხი, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული სამართლისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, საჯარო მმართველობის რეფორმირებისათვის ხელშეწყობა არის ის ძირითადი ნიშან-სვეტი, რაც თანამედროვე ადმინისტრაციულ სამართალს როგორც დარგს და როგორც მეცნიერებას უნდა ახასიათებდეს. ადმინისტრაციული სამართლის რეფორმირებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს ზოგადმა ადმინისტრაციულმა კოდექსმა, რომელიც 1999 წლის 25 ივნისს იქნა მიღებული და 2000 წლის პირველი იანვრიდან შევიდა ძალაში. ამ კოდექსით პირველად საქართველოში ნორმატიულ დონეზე განისაზღვრა ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის ზოგადი დებულებანი და ძირითადი პრინციპები. ასევე, მასში დამოუკიდებელი მესამე თავის სახით შევიდა ინფორმაციის თავისუფლების დებულებანი, რამაც ხელი შეუწყო საჯარო ხელისუფლების ორგანოებიდან ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ კონსტიტუციური პრინციპის განმტკიცებას. კოდექსის მიღებიდან დღემდე მასში სხვადასხვა დროს განხორციელდა ხუთი ცვლილება, რომლებმაც კიდევ უფრო დააზუსტეს ან შეავსეს ბევრი დებულება და ამით კიდევ უფრო გაიზარდა კოდექსის ნორმების პრაქტიკაში დანერგვის შესაძლებლობა. უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობაში კოდექსის ნოვატორული ნორმების დანერგვა ადვილი არ აღმოჩნდა. დღემდე კოდექსის რიგი დებულებები ჯერ კიდევ არ არის პრაქტიკაში რეალიზებული, რაც თავის მხრივ უარყოფით გავლენას ახდენს ეფექტურ მართვაზე.

კოდექსით გათვალისწინებული ძირითადი დებულებების, პრინციპების საფუძვლიანი შესწავლა ხელს შეუწყობს ჩვენს საზოგადოებაში ადმინისტრაციულ ორგანოთა კანონშესაბამისად მოქმედე-

ბის შესახებ მოთხოვნის ამაღლებას და თვით ამ ორგანოთა ურთიერთობას სამართლის სხვა სუბიექტებთან გახდის ბევრად უფრო მოქნილსა და ეფექტურს. მეორეს მხრივ, ადმინისტრაციულ ორგანოთა კანონის ნორმებით დასაბუთებული ქმედებები საზოგადოებაში, მოქალაქეებში გაზრდის მათდამი ნდობას. ამდენად, ძალზედ მნიშვნელოვანია ყოველი სახელმძღვანელო, თუ სხვა სასწავლო ლიტერატურა, რომელიც მაღალპროფესიულ დონეზე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესახებ ადმინისტრაციული სამართლის სფეროში იქნება შექმნილი.

წინამდებარე ადმინისტრაციული სამართლის დამხმარე სახელმძღვანელოს დანიშნულება სწორედ ზემოთ აღნიშნულ მიზნებს ემსახურება. მასში თეორიისა და პრაქტიკული მაგალითების ურთიერთშეჯერების ფონზე, პროფესიონალურ დონეზე დეტალურადაა დამუშავებული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ფორმები, ფაქტობრივი მოქმედება, ადმინისტრაციული ხელშეკრულება, ინფორმაციის თავისუფლება, ასევე განხილულია პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელის მიღების, დასაშვებობისა და დასაბუთებულობის შემოწმების საკითხები. წარმოდგენილი სახელმძღვანელო აგებულია იმ პრინციპით, რომ დაინტერესებულ მკითხველს გაუადვილდეს სამართლებრივი ნორმების მისადაგება პრაქტიკაში წამოჭრილ სხვადასხვა სიტუაციაზე - „კაზუსზე". მასში გარდა თეორიული მსჯელობისა, მოცემულია სხვადასხვა სიტუაციები პრაქტიკიდან, კითხვები სამართლებრივი ნორმების თაობაზე, თეორიული ახსნის შემდეგ გაცემულია პასუხები დასმულ კითხვებზე, მითითებულია სიტუაციების ამოხსნის მართებულ გზაზე. მიმაჩნია, რომ ავტორების მიერ სახელმძღვანელოს ასეთი სახით ჩამოყალიბების იდეა უდავოდ წარმატებულს გახდის მას, როგორც სტუდენტებში, ასევე სხვა დაინტერესებულ მკითხველთა შორის.

სახელმძღვანელოს შექმნის იდეა საქართველოს გაეროს ასოციაციის თანამშრომელთა იმ ჯგუფს (ხელმძღვანელი – ზ. დევდარიანი) ეკუთვნის, რომლებიც „აირის საქართველოს" კანონის უზენაესობის პროგრამის ფარგლებში ახორციელებენ საჯარო დაწესებულებებში ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პროცედურების დანერგვის ხელშეწყობის პროექტს. ზოგადი ადმინის-

ტრაციული კოდექსის თაობაზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოს შექმნამ აირის საქართველოს მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა მოიპოვა. ჯერი ექსპერტებზე მიდგა. რამდენადაც აირის საქართველოს ფარგლებში გაეროს ასოციაციის პროექტი დროში შეზღუდულია, ამდენად, სახელმძღვანელოს დასაწერადაც საკმაოდ მცირე დრო რჩებოდა, მაგრამ ექსპერტებმა შეძლეს სახელმძღვანელოს წარმოდგენა დათქმულ ვადაში და შესაბამისად, უმოკლეს დროში ჩაუტარდა ჩემს მიერ სამართლებრივი რედაქტირება.

და აი, ქალბატონ ნათია წკეპლაძისა და ბატონ პაატა ტურავას თანაავტორობით თქვენს წინაშეა ერთ-ერთი პირველი სახელმძღვანელო ადმინისტრაციული სამართლის დარგში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ის ხელს შეუწყობს ადმინისტრაციული სამართლის სისტემურ და დოგმატურ შესწავლას, კიდევ ერთ საფუძველს ჩადებს ადმინისტრაციული სამართლის განვითარების მნიშვნელოვან საქმეში.

იმედს გამოვთქვავთ, რომ წინამდებარე სახელმძღვანელო გამოიწვევს მეცნიერულ დისკუსიებს, იგი გახდება ადმინისტრაციული სამართლის შესწავლის სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის, მას დიდი ინტერესით გაეცნობიან პრაქტიკოსი იურისტები, ადმინისტრაციული სამართლით დაინტერესებული პირები.

თბილისი, 2005 წლის აგვისტო

მაია კოპალეიშვილი

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი,
აირის საქართველოს კანონის უზენაესობის
პროგრამის მთავრობისა და ადმინისტრაციული
პროცესების გამჭვირვალობის
მიმართულების ხელმძღვანელი

თავი 1.
ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები

*საკონტროლო შეკითხვები და სავარჯიშოები

(1) რომელ ძირითად პრინციპებზეა დამყარებული საჯარო მმართველობითი ფუნქციების განხორციელება?

(2) განსაზღვრეთ კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის არსი;

(3) რა ზეგავლენა აქვს უფლებამოსილების კანონის საფუძველზე განხორციელების პრინციპს საჯარო მმართველობითი საქმიანობის პროცესზე?

(4) განსაზღვრეთ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პრინციპის ცნება და არსი;

(5) რა ზეგავლენას ახდენს საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტის პრინციპი მმართველობითი ღონისძიების განხორციელების პროცესზე?

(6) განსაზღვრეთ საქვეყნოობისა და საიდუმლოობის პრინციპების ცნება და როლი ადმინისტრაციულ სამართალში.

(7) **სავარჯიშო**: საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ლტოლვილის სტატუსის მინიჭების თაობაზე განცხადებით მიმართა ირანის ორმა მოქალაქემ. მინისტრის გადაწყვეტილებით, ჟენევის კონვენციის საფუძველზე ერთ მათგანს მიენიჭა ლტოლვილის სტატუსი, მეორეს კი უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ მისი, როგორც ფერადკანიანის, საქართველოში მიღება არასასურველია. შეაფასეთ მინისტრის გადაწყვეტილება კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დაცვის თვალსაზრისით.

(8) **სავარჯიშო**: ქ. თბილისის მერმა საქართველოს საპატრიარქოს პირდაპირი მიყიდვის წესით გადასცა 1 ჰექტარი მიწის ნაკვეთი და 2 კაპიტალური შენობა. შეაფასეთ თბილისის მერის გადაწყვეტილება უფლებამოსილების კანონის საფუძველზე განხორციელების თვალსაზრისით.

(9) **სავარჯიშო**: საქართველოს განათლების მინისტრის გადაწყვეტილებით საქართველოს ბიბლიოთეკებს გამოეყო 10 000 ლარი და მიეცა უფლებამოსილება, თავისი მიხედულებისამებრ განკარგოს თანხები ბიბლიოთეკების ფუნქციონ-

ირების უზრუნველყოფის მიზნით. საქართველოს კონტროლის პალატამ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კანონიერების შემოწმებისას დაადგინა, რომ ბიბლიოთეკების ხელმძღვანელებმა დაარღვიეს მოქმედი კანონმდებლობა და მიღებული თანხები წიგნის ფონდის შევსების გარდა სხვა ისეთი ღონისძიებებისთვის გამოიყენეს, როგორიც არის შენობების შეკეთება და გათბობის სისტემების მოწყობა. შეაფასეთ მინისტრის გადაწყვეტილების მართლზომიერება; შეაფასეთ ბიბლიოთეკების ხელმძღვანელთა ქმედების მართლზომიერება დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების თვალსაზრისით; შეაფასეთ კონტროლის პალატის დასკვნის მართლზომიერება.

(10) **სავარჯიშო:** ქ. თბილისის მერის გადაწყვეტილებით საახალწლო შოუს ორგანიზება დაევალა შპს „აკორდს“, რომელსაც მერიის ბიუჯეტიდან გადაერიცხა 300 000 ლარი. ორი დღის შემდეგ პრესაში გამოქვეყნდა შპს „აკორდის“ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, რომლის მიხედვითაც დასტურდება, რომ შპს-ში მერის მეუღლე ფლობს საწესდებო კაპიტალის 20%-იან წილს. შეაფასეთ ქალაქის მერის გადაწყვეტილება მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვის თვალსაზრისით.

§1. კანონის წინაშე თანასწორობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით (სზაკ-ი) აღიარებული კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით აღიარებული ყველა ადამიანის დაბადებით თავისუფლებისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპიდან. კანონის წინაშე თანასწორობის ეს ზოგადი დებულება გულისხმობს სახელმწიფო აპარატის მხრიდან თვითნებობის აკრძალვას; დაუშვებელია არსებითად იდენტური საქმის გარემოებების თვითნებურად არათანაბრად შეფასება და, პირიქით, არსებითად არათანაბარი საქმის გარემოებების თვითნებურად თანაბარი შეფასება და აქედან გამომდინარე უკანონო გადაწყვეტილების მიღება. ამ კონსტიტუციური პრინციპის ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ასახვა ემსახურება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა უფლებების დაცვას, რამდენადაც ის გულისხმობს, რომ დაუშვებელია ამ ურთიერთობის რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლებ-

ის, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისთვის ხელის შეშლა, აგრეთვე, მათთვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომის მიღება. ეს მოთხოვნა ირღვევა იმ შემთხვევაში, როდესაც არ იკვეთება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი მხარის შეზღუდვის ან მისთვის უპირატესობის მინიჭების გონიერი, საქმის არსიდან გამომდინარე საფუძველი, არამედ აშკარაა შეუსაბამობა განხორციელებულ ღონისძიებასა და საქმის ფაქტობრივ გარემოებებს შორის.


კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის არსის განსაზღვრისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ სამართლის თითოეული ნორმა კონკრეტულ სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს განსაზღვრულ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც სხვა ფაქტობრივი გარემოებებისგან განსხვავებული წესით მოწესრიგდება. თანასწორობის პრინციპი არ შეიძლება გავიგოთ, როგორც ფაქტებისადმი დიფერენციული მიდგომის აკრძალვა. ის არ მოითხოვს, ყველაფერი თანაბრად შევაფასოთ, რამდენადაც ყოველდღიური ცხოვრების ფაქტობრივი გარემოებები იმდენად მრავალფეროვანია, რომ შეუძლებელია მათი „ერთი საზომით“ გაზომვა. არ არსებობს აბსოლუტურად იდენტური ფაქტები; თითოეული კონკრეტული შემთხვევა მისი თავისებურებების გათვალისწინებით შეფასებას მოითხოვს. კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის არსი *არსებითად ერთნაირი* საქმის გარემოებების შემთხვევაში ერთნაირი გადაწყვეტილებების მიღებაში მდგომარეობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევაში ერთი პირის მიმართ უკანონო გადაწყვეტილების მიღება არ წარმოშობს მეორე პირის უფლებას იმავე სახის გადაწყვეტილებაზე. მაგ., თუ საპატრულო პოლიციელი არ აჭერებს გადაჭარბებული სიჩქარით მომავალ სამთავრობო ავტომანქანას, ეს უფლებას არ აძლევს სხვა ავტომანქანების მძღოლებს, იმოძრაონ გადაჭარბებული სიჩქარით, რამდენადაც „არ არსებობს თანასწორობა უკანონობაში“.

№7 სავარჯიშოს პასუხი:

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დარღვეულია კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი, ვინაიდან ფერადკანიანი ლტოლვილის მიმართ გამოყენებულია დისკრიმი-

ნაციული ზომა: ვინაიდან ორივე პირის საქმის გარემოებები იდენტურია, დაუშვებელია მათ მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღება.

§2. უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე




საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლი აყალიბებს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის კანონიერების პრინციპს, რაც გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოების კანონმდებლობის საფუძველზე შებოჭვას.

სზაკ-ის მე-5 მუხლის I ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს, კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. კანონის უზენაესობის პრინციპი, რომელიც ჩადებულია ნორმის ამ ნაწილში, ადმინისტრაციულ ორგანოებს უკრძალავს კანონისგან გადახვევას. ამასთან, იგი მათ ავალდებულებს კანონის გამოყენებას. ადმინისტრაციულ ორგანოებს უფლება არა აქვთ, მიმართონ რაიმე კანონსაწინააღმდეგო ღონისძიებას. კანონის უზენაესობის პრინციპის უგულებელყოფა იწვევს მმართველობითი ღონისძიების მართლწინაღმდეგობას.

სზაკ-ის მე-5 მუხლის II ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან სხვა სახის ქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების ან თავისუფლებების შეზღუდვას, დაიშვება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის შესაბამისად, კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე. ნორმის ეს დებულება გამომდინარეობს კანონისმიერი დათქმის პრინციპიდან, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა მხოლოდ კანონით მინიჭე-

ბული უფლებამოსილებით განისაზღვრება. კანონმდებელი ყურადღებას ამახვილებს შემზღუდავი ხასიათის მმართველობით საქმიანობაზე და მოითხოვს, რომ ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა ემყარებოდეს ნორმატიულ საფუძველს. შემზღუდავი ხასიათის მმართველობითი საქმიანობის უფლებამოსილება კანონში ან მის საფუძველზე გამოცემულ კანონქვემდებარე აქტში დეტალურად უნდა იყოს მოწესრიგებული, კერძოდ, მკაცრად განისაზღვროს შეზღუდვის ობიექტი, მიზანი და მოცულობა. აღმჭურველი ხასიათის მმართველობითი ღონისძიება არ საჭიროებს კონკრეტულ ნორმატიულ საფუძველს, რამდენადაც ის არ ზღუდავს არც ადრესატის და არც მესამე პირების უფლებებს. ასეთ შემთხვევაში მმართველობითი ღონისძიება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კანონმდებლობას და მისი განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო არ უნდა გასცდეს თავისი უფლებამოსილების საზღვრებს.

კანონისმიერი დათქმის პრინციპი კონსტიტუციით განმტკიცებული დემოკრატიის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და ძირითადი უფლებების აღიარების პრინციპებიდან გამომდინარეობს.



სზაკ-ის მე-5 მუხლის III ნაწილი დაადგენს კანონიერების პრინციპის დარღვევის სამართლებრივ შედეგებს. მმართველობით ღონისძიებას, რომელიც ადმინისტრაციულმა ორგანომ უფლებამოსილების გადამეტებით განახორციელა, არა აქვს იურიდიული ძალა. თუმცა უფლებამოსილების გადამეტება ყოველთვის არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ღონისძიება იურიდიულ ძალადაკარგულად მივიჩნიოთ. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად მიჩნევისთვის აუცილებელია, მისი გამოცემის უფლებამოსილება მნიშვნელოვნად იყოს გადამეტებული. სხვა შემთხვევაში ის შეიძლება გახდეს აქტის უკანონობის და, შესაბამისად, ბათილად გამოცხადების საფუძველი.

№8 სავარჯიშოს პასუხი:

„სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" კანონში გათვალისწინებულია სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობის რამდენიმე გზა: კონკურსი, აუქციონი და პირდაპირი მიყიდვის წესი. ამასთან, ამ უკანასკნელი ფორმის გამოყენება შეუძლია მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს. თბილისის მერის ღონისძიება არ არის განხორციელებული კანონის საფუძველზე - ის არ იყო უფლებამოსილი, განეკარგა სახელმწიფო ქონება. სახელმწიფო ქონების პრივატიზებას ახორციელებს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო და მისი ტერიტორიული ორგანოები. თბილისის მერი მით უფრო არ იყო უფლებამოსილი, გამოეყენებინა პირდაპირი მიყიდვის ფორმა, რამდენადაც ამის უფლება მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს აქვს.

§3. დისკრეციული უფლებამოსილება


1) დისკრეციული უფლებამოსილების ცნება და არსი

აღმასრულებელი ხელისუფლების ძირითადი ფუნქციაა სამართალგამოყენებითი, ნორმათშეფარდებითი საქმიანობა. მმართველობის ორგანოების კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების ფარგლებს ქმნის ის ნორმატიული აქტი, რომლის აღსრულებასაც ეს ქმედება ისახავს მიზნად. სამართლის ნორმის სტრუქტურაც ამ პრინციპით არის აგებული. სამართლის ნორმა შედგება ორი ნაწილისგან: ნორმის ამოქმედების წინაპირობები და სამართლებრივი შედეგები.

სამართლის შეფარდება მოიცავს შემდეგ სტადიებს:

- ფაქტის დადგენა: რა მოხდა ფაქტობრივად, რა შემთხვევასთან გვაქვს საქმე?
- სამართლის სათანადო ნორმის მოძიება; ფაქტობრივი შემადგენლობის გარკვევა, რაც გულისხმობს იმ სინამდვილის ნორმატიულ აღწერას, რომელსაც უკავშირდება იურიდიული შედეგის დადგომა;
- იმის დადგენა, შეესაბამება თუ არა ფაქტი ფაქტობრივ შემადგენლობას;
- სამართლებრივი შედეგების განსაზღვრა.

ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებასთან გვაქვს საქმე, როდესაც სამართლის ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობისა და ფაქტის შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში მას რჩება შესაძლებლობა, აირჩიოს მისაღები ღონისძიება. ასეთ შემთხვევაში კანონი ერთ კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს კი არ განსაზღვრავს, არამედ ადმინისტრაციულ ორგანოს აღჭურავს უფლებამოსილებით, თვითონ განსაზღვროს სამართლებრივი შედეგები იმდენად, რამდენადაც ორ ან რამდენიმე შესაძლო სამართლებრივ შედეგს ადგენს და აძლევს შესაძლებლობას, აირჩიოს ყველაზე მისაღები საშუალება. ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულმა უფლებამოსილებამ შეიძლება მოიცვას ადმინისტრაციული ორგანოს არჩევნის შესაძლებლობა – კონკრეტულ შემთხვევაში განახორციელოს თუ არა რაიმე ღონისძიება ან მისაღები ღონისძიებებიდან რომელი გამოიყენოს. მაგალითად: პოლიცია უფლებამოსილია, დაშალოს უნებართვო დემონსტრაცია. ეს უფლებამოსილება მოიცავს პოლიციის არჩევანს, დაშალოს თუ არა ეს ღონისძიება. მაგრამ, როდესაც საფრთხე ემუქრება საზოგადოებრივ წესრიგს და უშიშროებას, ის ვალდებულია, მიმართოს სათანადო ღონისძიებას. ამ შემთხვევაში მისი არჩევნის თავისუფლება მოიცავს მისაღები ღონისძიების ერთ-ერთი სახის არჩევის შესაძლებლობას. ასევე, არჩევნის თავისუფლებასთან გვაქვს საქმე, როდესაც კანონი ადგენს დამრღვევისთვის ჯარიმის დაკისრების შესაძლებლობას 50-დან 100 ლარამდე. კანონით დადგენილ ამ ფარგლებში ადმინისტრაციული ორგანო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას ჯარიმის ოდენობაზე.



წარმოდგენილ სქემაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში ადმინისტრაციულ ორგანოს ეძლევა შესაძლებლობა, ალტერნატიული სამართლებრივი შედეგებიდან აირჩიოს ერთი ყველაზე მისაღები.

2) დისკრეციული უფლებამოსილების საფუძვლები

ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას ადგენს კანონმდებელი. აქედან გამომდინარე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია სამართლის ნორმის შინაარსის გარკვევა. კანონის ტექსტში უშუალოდ არ არის ნახმარი ტერმინი „დისკრეციული უფლებამოსილება", მას აქ ცვლის სიტყვები: ადმინისტრაციულ ორგანოს „შეუძლია", „უფლება აქვს" ან „უფლებამოსილია". მთელ რიგ შემთხვევაში ეს გამომდინარეობს ნორმის შინაარსიდან. ამის საპირისპიროდ, როდესაც კანონმდებელი მიუთითებს ადმინისტრაციული ორგანო „ვალდებულია", „უნდა განახორციელოს", „უფლება არა აქვს", „უნდა აიკრძალოს" და ა.შ. ასეთ შემთხვევებში აშკარაა კანონმდებლის ნება: ადმინისტრაციულ ორგანოს მინიჭებული არა აქვს დისკრეციული უფლებამოსილება.

3) დისკრეციული უფლებამოსილების დანიშნულება

დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს შესაძლებლობას, მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი პასუხისმგებლობით. ის, პირველ რიგში, კონკრეტულ შემთხვევაში სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას ისახავს მიზნად. დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭებით ადმინისტრაციულ ორგანოს ეძლევა შესაძლებლობა, კანონის ნორმის მიზნებისა და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით მიიღოს კონკრეტული შემთხვევისთვის სათანადო გადაწყვეტილება. აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, გაიაზროს

თუ რა მიზნის მისაღწევად მიენიჭა ეს უფლებამოსილება და რომელი ფაქტობრივი გარემოებები გაითვალისწინოს. მხოლოდ ამის შემდეგ ის შეაფასებს შემთხვევას და მიიღებს გადაწყვეტილებას.

მაგალითად, უნებართვო შეკრებების აკრძალვა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დაცვას, ასევე, წინასწარი ნებართვის მიღების მოთხოვნის დაცვას. თუკი იმართება ასეთი უნებართვო შეკრება, პოლიციელი ვალდებულია, შეამოწმოს:

- თუ რა უარყოფით შედეგებს იწვევს ეს ფეხით მოსიარულეებისთვის, ავტოტრანსპორტისა და თვით შეკრების მონაწილეებისთვის,
- რა მასშტაბებს იღებს ის და იზრდება თუ არა მონაწილეთა რაოდენობა,
- შესაძლებელია თუ არა მისი ეფექტურად დაშლა, რაც დამოკიდებულია მონაწილეთა ოდენობაზე, მათ აგრესიულობაზე, ასევე, პოლიციელთა რაოდენობაზე.

დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პროცესში აუცილებელია, ყურადღება მიექცეს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპს. შეუძლებელია ცალკე აღებული რომელიმე საჯარო ან კერძო ინტერესისთვის უპირატესობის მინიჭება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მოხდეს მათი შეპირისპირება. საჯარო ინტერესების გათვალისწინებით გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისთვის მიყენებული ზიანი არსებითად არ უნდა აღემატებოდეს საჯარო ინტერესებისთვის მიყენებულ სიკეთეს. ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე შერჩეულმა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ღონისძიებამ არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა, ანუ მიზნის მიღწევის საშუალება უნდა შეესაბამებოდეს ამ მიზანს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო მის ხელთ არსებული რამდენიმე საშუალებიდან იყენებს იმას, რომელიც ყველაზე ნაკლები ზიანის მომტანია პირის კანონიერი ინტერესებისა და უფლებებისთვის.

4) შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში და მისი სამართლებრივი შედეგები

დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭება არ გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსთვის სრული თავისუფლების მინიჭებას. ის აკისრებს გარკვეულ უფლებამოსილებას, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები. როდესაც ადმინისტრაციული ორგანო ანგარიშს არ უწევს კანონმდებლის მიერ მისთვის მინიჭებული მოქმედების თავისუფალ სივრცეს, ასეთ შემთხვევაში შედეგად ვიღებთ შეცდომას დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში და ღონისძიება არის უკანონო. ასეთი სახის შეცდომებიდან შესაძლებელია 3 შემთხვევის გამოყოფა:

1. როდესაც ადმინისტრაციული ორგანო არ იყენებს მისთვის მინიჭებულ დისკრეციულ უფლებამოსილებას, უშვებს შეცდომას და განხორციელებული ღონისძიება ხდება უკანონო;

2. როდესაც ადმინისტრაციული ორგანო აჭარბებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებს (მაგალითად, კონკრეტული ადმინისტრაციული გადაცდომისთვის ადგენს ჯარიმას 60 ლარის ოდენობით, როდესაც კანონი ამ სამართალდარღვევისთვის ითვალისწინებს დაჯარიმებას 10-დან 50 ლარამდე) და ახორციელებს ისეთ ღონისძიებას, რომელიც არ არის გათვალისწინებული კანონით. ეს არის შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში და, შესაბამისად, უკანონო მმართველობითი ღონისძიება.

3. როდესაც ადმინისტრაციული ორგანო ანგარიშს არ უწევს კანონის ნორმის მიზნებს და არ იყენებს მისთვის მინიჭებულ დისკრეციულ უფლებამოსილებას იმ მიზნისთვის, რა მიზანიც კანონმდებელმა მასში ჩადო, ასეთ შემთხვევაშიც ეს არის შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში და, შესაბამისად, უკანონო მმართველობითი ღონისძიება.

№9 სავარჯიშოს პასუხი:

საქართველოს განათლების მინისტრის გადაწყვეტილება მართლზომიერია. კანონის საფუძველზე მინისტრს ჰქონდა უფლებამოსილება, გამოეყო თანხები ბიბლიოთეკებისთვის და მიენიჭებინა დისკრეციული უფლებამოსილება, განეკარგათ თანხები იმ შედეგების მისაღწევად, რომელიც აუცილებელი იყო ამა თუ იმ ბიბ-

ლიოთეკის ფუნქციონირებისთვის. შესაბამისად, ბიბლიოთეკების ხელმძღვანელთა ქმედება განხორციელებულია მათთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. მათ თანხები განკარგეს დაწესებულების ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად - სხვადასხვა ღონისძიებათა გამოყენების მეშვეობით. კონტროლის პალატის შეფასება არ შეესაბამება ფაქტობრივ მდგომარეობას, რამდენადაც ბიბლიოთეკის ხელმძღვანელების მხრიდან ადგილი არ ჰქონია დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას იმ მიზნის უგულებელყოფას, რომლის მისაღწევადაც ეს უფლებამოსილება მიენიჭათ.

§ 4. საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტა

საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტის პრინციპი ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. ფაქტობრივად, მასშია ასახული ადმინისტრაციული წარმოების არსი. ადმინისტრაციული წარმოება და მის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება აზრს კარგავს, თუკი გადაწყვეტილების ადრესატს არ ექნება იმისი გარანტია და რწმენა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ თავისი უფლებამოსილება განახორციელა მიუკერძოებლად.

პრინციპი - არავინ შეიძლება იყოს მოსამართლე თავის საქმეში (ნემო ჯუდემ ინ ცაუსა სუა) – ადმინისტრაციულ სამართალზე გაცილებით ძველია. ამ პრინციპმა თავისი ადგილი დაიმკვიდრა სამართლებრივი სახელმწიფოების (მათ შორის საქართველოს) ადმინისტრაციულ სამართალში. სზაკ-ის მე-8 მუხლის II ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს თანამდებობის პირმა, რომელსაც აქვს პირადი ინტერესი ანდა არსებობს სხვა გარემოება, რომელიც ზეგავლენას მოახდენს საქმის გადაწყვეტაზე.

საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტის პრინციპის შინაარსის გასარკვევად უნდა დადგინდეს თუ რას გულისხმობს „პირადი ინტერესი“ და რას წარმოადგენს „სხვა გარემოება, რომელიც ზეგავლენას მოახდენს საქმის გადაწყვეტაზე“. საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტის პრინციპის კონკრეტიზაციასა და რეალიზაციას ემსახურება სზაკ-ის 92-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს იმ თანამდებობის პირთა წრეს, რომელთაც ეკრძალებათ საქმესთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღება.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია სზაკ-ის მე-8 და 92-ე მუხლების ერთობლივად შეფასება.

საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტა გულისხმობს, რომ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილ პირს ან იმ პირს, რომელსაც შეუძლია, ზეგავლენა მოახდინოს გადაწყვეტილების მიღებაზე, არ უნდა ჰქონდეს პირადი ინტერესი, ანუ გადაწყვეტილებას სარგებელი არ უნდა მოჰქონდეს მისთვის ან მისი ოჯახის წევრებისა და ახლო ნათესავებისთვის. საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტაზე ზეგავლენის მქონე „სხვა გარემოებაში" მოიაზრება ის შემთხვევა, როდესაც აშკარაა გადაწყვეტილების მიმღები პირის დაინტერესებული მხარისადმი დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება და, აქედან გამომდინარე, ტენდენციური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.

№10 სავარჯიშოს პასუხი:


ქ. თბილისის მერის გადაწყვეტილებაში დარღვეულია მიუკერძოებლობის პრინციპი. იგი არ იყო უფლებამოსილი, მონაწილეობა მიეღო იმ აღმჭურველი აქტის მიღებაში, რომლითაც სარგებელს იღებდა მისი ოჯახის წევრი.

§5. საქვეყნოობა და საჯაროობა

საქვეყნოობის პრინციპი ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის და ადმინისტრაციული წარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია. ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობის მოთხოვნიდან გამომდინარე, დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ეძლევათ, გაეცნონ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს. საქვეყნოობის პრინციპი განსაკუთრებით ვრცელდება უკვე მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ნებისმიერ პირს აქვს შესაძლებლობა, გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას. საჯარო ინფორმაციის თავისუფლების პრინციპის რეალიზაციას ემსახურება სზაკ-ის III თავი, რაც მომდევნო პარაგრაფებში დაწვრილებით არის განხილული.

საიდუმლოობის პრინციპის მიზანია არა საქვეყნოობის პრინციპის შეზღუდვა, არამედ იგი ითვალისწინებს ადმინისტრაციული წარმოების დროს მიღებული ან შექმნილი საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნებისა და არასამსახურებრივი მიზნით გამოყენებისგან დაცვის აუცილებლობა

თავი 2
ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმები



ადმინისტრაციული ორგანოს საჯაროსამართლებრივი საქმიანობის ფორმებია:

- ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
- ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
- რეალური მოქმედება (რეალაქტი);
- ადმინისტრაციული ხელშეკრულება.

§1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი

1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნება და ელემენტები

***საკონტროლო შეკითხვები და სავარჯიშოები**

(11) რომელი საკანონმდებლო აქტი ახდენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნების დეფინიციას?

(12) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნების რომელი ელემენტი მიჯნავს მას ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისგან?

(13) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნების რომელი ელემენტი მიჯნავს მას რეალაქტისგან?

(14) სავარჯიშო: გამოიკვეთა თუ არა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი?

ა) შპს „ორიენტის“ დირექტორის ბრძანებით საწარმოს ოფისში აიკრძალა სიგარეტის მოწევა, მწეველი თანამშრომლებისთვის გამოიყო ადგილი საწარმოს ჰოლში (შესვენების დროს) და ტერასაზე (სამუშაო საათებში). დამრღვევთათვის დადგინდა ჯარიმა ხელფასის 1%-ის ოდენობით;

ბ) საპატრულო პოლიციელმა ავტომანქანით პატრულირების დროს მოახდინა ავტოსაგზაო შემთხვევა;


გ) საჯარო მოხელე პავლიაშვილი, რომელიც სასამართლომ დამნაშავედ ცნო სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში, სამსახურიდან გაანთავისუფლეს. პავლიაშვილმა განცხადებით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს და მოითხოვა, პრეზიდენტისთვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მის მიმართ შეწყალების აქტის გამოცემა. საქართველოს პრეზიდენტმა არ დააკმაყოფილა მოქალაქე პავლიაშვილის ეს თხოვნა.

დ) ქალაქის განათლების განყოფილების ბრძანებით დაიხურა ერთ-ერთი საშუალო სკოლა. შესაბამისად, ამ სკოლის მოსწავლეები ქალაქის სხვა დასახლებულ პუნქტში მდებარე სკოლაში გადაიყვანეს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ეს ლეგალური დეფინიცია იძლევა მის ოთხ შემადგენელ ნაწილად დაყოფის შესაძლებლობას.

ცნების ელემენტებია:



მმართველობითი ღონისძიების ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიჩნევისთვის აუცილებელია, რომ ის ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით შეიცავდეს ზემოთ ჩამოთვლილ ცნების ელემენტებს.


ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნების ელემენტების განსახილველად მოვიტანოთ ერთი კონკრეტული შემთხვევა:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2005 წლის 10 მაისის №2.408 ბრძანებით შპს „ბავარიას“ გაუუქმდა ლიცენზია ტოტალიზატორზე და მიეცა გაფრთხილება, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ტოტალიზატორის ფუნქციონირება, თანახმად „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის 17.2. მუხლისა და „სალიცენზიო საქმიანობის წესის შესახებ“ დებულების 5.2. მუხლის მოთხოვნებისა.

1.1. ადმინისტრაციული ორგანო

სზაკ-ის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი

თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, აგრეთვე, ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას.



ადმინისტრაციული ორგანოს ცნების ლეგალური დეფინიცია ორი ნაწილისგან შედგება. დეფინიციის პირველი ნაწილი მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ცნებას: სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ყველა ორგანოსა და დაწესებულებას.

ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციონალური გაგება, რომელიც ცნების დეფინიციის მეორე ნაწილშია მოცემული, აერთიანებს იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც არ არიან სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სისტემის სუბიექტები, მაგრამ კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ საჯაროსამართლებრივ უფლებებს და ამ მიზნით გამოსცემენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. *„ნებისმიერი სხვა პირი“* გულისხმობს იმ კერძო პირებს, რომელთა საქმიანობა კანონით განსაზღვრულ და სახელმწიფოს მიერ აღიარებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული ორგანოების ქმედებათა ტოლფას მოქმედებად მიიჩნევა. მმართველობითი უფლებამოსილებებით კერძო პირების აღჭურვა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც რაიმე საქმიანობის განხორციელება მოითხოვს სპეციალურ ცოდნას და ამ მიზნით შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების შექმნა დიდ ფინანსურ დანახარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული მაშინ, როდესაც კერძო პირებს მისი შესრულება იგივე ხარისხით და, ამასთან, ნაკლები დანახარჯებით შეუძლიათ. ასეთი შემთხვევის ერთ-ერთი კლასიკური მაგალითია ავტოტრანსპორტის სავალდებულო ტექნიკური დათვალიერება კერძო პირების მიერ.

საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოები ისევე, როგორც მთავრობა, როგორც წესი, არ ახორციელებენ მმართველობით საქმიანობას[1]. ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელები-

1. მთავრობა წარმოადგენს კონსტიტუციურ ორგანოს, რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულება ქვეყნის პოლიტიკური მართვაა

სას, გამონაკლისის სახით, ისინი იყენებენ საქმიანობის ისეთ ფორმას, როგორიც არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სწორედ ამიტომ ექცევა ეს ორგანოები საქმიანობის ამ პროცესში ადმინისტრაციული ორგანოს ცნების ლეგალური დეფინიციის ფარგლებში.

აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობა ყოველთვის არ არის მმართველობითი საქმიანობა, ხშირ შემთხვევაში მათი საქმიანობა სცილდება სზაკ-ის მოქმედების სფეროს. ასეთ შემთხვევებთან გვაქვს საქმე, როდესაც მათი საქმიანობა დაკავშირებულია:

ა) დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლისსამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან;

ბ) ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან;

გ) სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან და ა.შ.

- *განსახილველ შემთხვევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებაა. ბრძანების ავტორი ორგანოა ადმინისტრაციული ორგანო ორგანიზაციულ-სამართლებრივი გაგებით.*

1.2. „ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე“

მმართველობითი ღონისძიება, რომელსაც ადმინისტრაციული ორგანო კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად ახორციელებს, ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან უნდა გამომდინარეობდეს. თუმცა ცნების ეს ელემენტი არსებითი არ არის ქმედების ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიჩნევისთვის, რამდენადაც სწორედ ასეთი საკანონმდებლო საფუძვლის არარსებობის დროს ხდება გამოცემული აქტების, ანუ უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ლეგალური დეფინიციის ფარგლებში მოქცევა. არსებობს თუ არა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისთვის საჭირო საკანონმდებლო საფუძვლები ან სწორად გამოიყენეს თუ არა ის, ქმედების ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიჩნევისთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს; უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაცი-


ულ-სამართლებრივი აქტიც შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონეა, თუ ის კანონით განსაზღვრულ ვადებში არ გასაჩივრდება.

გამომდინარე აქედან, უნდა ითქვას, რომ ცნების ეს ელემენტი არ შეიძლება მივიღოთ ერთადერთ განმსაზღვრელ კრიტერიუმად ადმინისტრაციული ქმედების ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიჩნევისთვის.

• *განსახილველ შემთხვევაში ფინანსთა სამინისტროს აქტი ეფუძნება კანონს „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ" და „სალიცენზიო საქმიანობის წესის შესახებ" დებულების შესაბამის ნორმებს. მითითებული ნორმატიული აქტები არეგულირებს საქმიანობის კონკრეტულ სფეროში სახელმწიფოს მიერ ნებართვების გაცემის, შეჩერების და გაუქმების მატერიალურ და ფორმალურ საფუძვლებს. კერძო სამართლის იურიდიულ პირს მხოლოდ სახელმწიფოს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ შეუძლია, განახორციელოს რიგი სამეწარმეო საქმიანობა.*

1.3. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივია აქტი, თუ ადმინისტრაციული ორგანოს ღონისძიება მიმართულია პირის ან პირთა შეზღუდული წრისკენ. კონკრეტულია პირთა წრე მაშინ, როდესაც გადაწყვეტილების მიღების დროს გარკვეულია თუ ვის ეხება ის. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ინდივიდუალურად განსაზღვრული პირებისკენ უნდა იყოს მიმართული ან შეეხებოდეს ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევას.



ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნების ეს ნიშანი ახასიათებს მას, როგორც ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს, და ემსახურება მის გამიჯვნას ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისგან, რომელიც ქცევის ზოგად წესს ადგენს.

მხოლოდ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა და ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ურთიერთგამიჯვნით და ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ორივე სამართლებრივი ფორმის ადრესატისა და ობიექტის შეჯერებით არის შესაძლებელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, როგორც ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის, ცნების გაგება.

სამართლებრივი აქტების ინდივიდუალურად და ნორმატიულად დაყოფა მხოლოდ იმ კრიტერიუმით, პირთა როგორ წრეზე ვრცელდება იგი, ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა და სამართლის ნორმის ურთიერთდამოკიდებულებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს „მოწესრიგების" ორ სტრუქტურულ ელემენტს, ესენია: „ადრესატთა წრე" და „კონკრეტული შემთხვევა". ნებისმიერი აქტი მიმართულია ერთი ან რამდენიმე პიროვნებისკენ და, იმავდროულად, აწესრიგებს კონკრეტულ შემთხვევებს.

მოწესრიგების ადრესატთა წრე **ინდივიდუალურად** ან **გენერალურად** (ძირითადი ნიშნებით) უნდა განისაზღვროს მაშინ, როდესაც შესაძლებელია შემთხვევის **კონკრეტულად** ან **აბსტრაქტულად** აღწერა.

სამართლებრივი აქტი ინდივიდუალური ხასიათისაა, როდესაც ის მიმართულია კონკრეტული პიროვნებისკენ, რომელსაც აქტი სახელობით აღწერს ან უშუალოდ მიმართავს. ამის მაგალითია პიროვნებისთვის კერძო სახლის მშენებლობის ნებართვის გაცემა.

აქტი ინდივიდუალურია მაშინაც, როდესაც ის არა ერთ პიროვნებას, არამედ მისი გამოცემის დროს ობიექტურად განსაზღვრულ ან განსაზღვრებად პირთა ჯგუფს მოიცავს. ზღვარს ინდივიდუალურ და გენერალურ მოწესრიგებას შორის განაპირობებს არა პირთა რიცხობრივი ოდენობა, არამედ ის, განსაზღვრებადია თუ არა ეს წრე. ასე მაგალითად, პოლიციელის მოთხოვნის -

პირებმა, რომლებიც იმ დროისთვის შენობაში იმყოფებიან, დატოვონ იგი - ადრესატია ყველა პირი, ვინც შენობაში იმყოფება. ადრესატთა წრის სახელობითი აღწერა შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია მათი საერთო ნიშნით – „იმ დროისთვის შენობაში ყოფნა“ – განსაზღვრა. გენერალური მოწესრიგების დროს სამართლებრივი აქტი პირთა განუსაზღვრელ წრეს შეეხება. მისთვის დამახასიათებელია ის, რომ იგი მიმართულია „ყველასკენ“, რომ მისი გამოცემის დროს ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული სუბიექტთა წრე, რომელზეც ეს აქტი გავრცელდება.

კონკრეტულია სამართლებრივი აქტი, რომელიც კონკრეტული საქმის ვითარებას ასახავს და თავისი ბუნებით „ერთჯერადია“. ამის მაგალითია ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, რომელიც კონკრეტულ შენობას ანიჭებს კულტურის ძეგლის სტატუსს.

აბსტრაქტული სამართლებრივი აქტი ასახავს საქმის გარემოებებს ზოგადად და მის საფუძველზე შესაძლებელია კონკრეტული შემთხვევის განუსაზღვრელი რაოდენობა წარმოიშვას. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოქალაქისთვის საპენსიო დახმარების გაცემის თაობაზე მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილების საფუძველია სწორედ სამართლის ნორმით (კანონით) განხორციელებული აბსტრაქტული მოწესრიგება (კანონი საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ).

- განსახილველ შემთხვევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ღონისძიება – აკრძალვა – ეხება კონკრეტულ სუბიექტს – შპს „ბავარიას“. სუბიექტი ინდივიდუალურად არის განსაზღვრული და აკრძალვა შეეხება კონკრეტულ შემთხვევას სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების უფლების ჩამორთმევას. აქტი კონკრეტულია, ვინაიდან საწარმოს კონკრეტულ საქმიანობას ეხება და თავისი ბუნებით ერთჯერადია.

1.4. „აქტი აწესებს, ცვლის, წყვეტს და ადასტურებს“

ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება მაშინ შეიძლება მივიჩნიოთ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად, როდესაც ეს ქმედება ცალმხრივად მკაცრად განსაზღვრული სამართლებრივი შედეგისკენ (ე.ი. ქმედების შედეგი მოწესრიგება) არის მიმართული.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნების ეს ელემენტი აღწერს მის ბუნებას, როგორც ღონისძიებას, რომელიც მიმართულია ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგებისაკენ, ე,ი., ის აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას.


სამართლებრივი **მოწესრიგების** არსი იმაში მდგომარეობს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით განხორციელებული ღონისძიება ადმინისტრაციული ორგანოს ნების შესაბამისად იქითკენ არის მიმართული, რომ ცალმხრივად და შესასრულებლად სავალდებულო ძალით უშუალო სამართლებრივი შედეგი წარმოშვას.

მოწესრიგება, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნების ელემენტი, არა გვაქვს, როდესაც საჯაროსამართლებრივი ღონისძიება პირდაპირ სამართლებრივ შედეგს არ იწვევს, ე.ი., როდესაც საჯარო დაწესებულების მხრიდან მხოლოდ ინფორმაციის, რჩევა-დარიგების ან ახსნა-განმარტების მიწოდებასთან ან ფაქტობრივ გარემოებათა დადგენის მიზნით განხორციელებულ მოქმედებასთან გვაქვს საქმე.

მმართველობითი ღონისძიება, რომელიც მიმართული არ არის კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებისკენ, არის უბრალო მმართველობითი საქმიანობა, ანუ რეალაქტი.

განსახილველ შემთხვევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიება იქითკენ არის მიმართული, რომ ცალმხრივად და შესასრულებლად სავალდებულო ძალით უშუალო სამართლებრივი შედეგი წარმოშვას. ის საწარმოს უკრძალავს კონკრეტულ სამეწარმეო საქმიანობას და აკისრებს მოვალეობას, შეწყვიტოს ეს კონკრეტული საქმიანობა.

დასკვნა: მივიღეთ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი:



***№ 14 სავარჯიშოს პასუხები:**

ა. შპს „ორიენტ"-ის დირექტორის ბრძანება არ არის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რამდენადაც ის არ გამოუცია ადმინისტრაციულ ორგანოს,

შპს წარმოადგენს კერძო სამართლის კომერციულ იურიდიულ პირს და (ამ კონკრეტულ შემთხვევაში) არ ასრულებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას; შპს „ორიენტ"-ის დირექტორის გადაწყვეტილება მიღებული არ არის ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე.

ბ. საპატრულო პოლიციელის მიერ განხორციელებული მოქმედებით დამდგარი ავტოშემთხვევა არ არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რამდენადაც ის არ შეიცავს ცნების ელემენტს: „აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს", ანუ არათუ მოწესრიგებასთან გვაქვს საქმე, რომელიც მიმართულია სამართლებრივი შედეგის დადგომისკენ, არამედ კონკრეტულ (უარყოფით) ფაქტობრივ შედეგამდე მიდის.

გ. საქართველოს პრეზიდენტის უარი შეწყალებაზე არ არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რამდენადაც ამ შემთხვევაში პრეზიდენტი არის არა ადმინისტრაციული, არამედ კონსტიტუციური ორგანო. მას კონსტიტუცია ანიჭებს პირის შეწყალების უფლებამოსილებას და ამ უფლებამოსილების განხორციელება მხოლოდ მისი პოლიტიკური პასუხისმგებლობის სფეროს წარმოადგენს. არ არსებობს ერთიანი კანონით ზუსტად განსაზღვრული კრიტერიუმები, რომელიც პრეზიდენტმა საფუძვლად უნდა დაუდოს მის გადაწყვეტილებას – არამედ ის მოქმედებს საკუთარი შეხედულების ფარგლებში. გამომდინარე აქედან, შეუძლებელია გადაწყვეტილების მართლზომიერების სასამართლოს მიერ გადამოწმება.


– პრეზიდენტის მიერ განხორციელებული ღონისძიება არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის სფეროდან – მას საფუძვლად უდევს კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმა.

დ. ქალაქის განათლების განყოფილების გადაწყვეტილება ორი სკოლის გაერთიანების შესახებ შიდაორგანიზაციული ღონისძიებაა, რომელიც მიზნად ისახავს ქალაქში განათლების სისტემის მოწყობას. როგორც წესი, ორგანიზაციული აქტის ადრესატია მისი გამომცემის დაქვემდებარებაში მყოფი ადმინისტრაციული ერთეული და მიზნად არ ისახავს მესამე პირების მიმართ სამართლებრივი შედეგების განსაზღვრას. განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული


ორგანოს შიდაორგანიზაციული აქტი ხელყოფს სკოლის მოსწავლეების მშობლების კონსტიტუციით დაცულ უფლებას და, ამდენად, ის იძენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახეს.

2. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახეები

შესაძლებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. გვინდა, განსაკუთრებით გამოვყოთ შემდეგი კრიტერიუმები:




საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი უშვებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას წერილობითი და ზეპირი ფორმით (მუხლი 51-ე). გარდა წერილობითი და ზეპირი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა, ის მმართველობის პრაქტიკაში გხვდება უმოქმედობის, დუმილის, სხეულის მოძრაობის, შუქნიშნების და სხვა სახით.



კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის დამდგენი ხასიათის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აწესებს, ცვლის ან წყვეტს კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობას. *მაგ., მშენებლობის ნებართვა, უკანონო მშენებლობის აკრძალვა, ფულადი დახმარებების გამოყოფა და ა.შ.*

უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა არარსებობის დამდგენი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განსაზღვრავს პირის უფლებებს ან პირის ან საგნის სამართლებრივად მნიშვნელოვან თვისებებს. *მაგ., არჩევნებში მონაწილეობის უფლების დადგენა; I კატეგორიის ინვალიდობის დადგენა; შენობის კულტურის ძეგლის სტატუსის დადგენა და ა.შ.*

კაზუსი: თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის გადაწყვეტილებით ბახტრიონის ქუჩაზე გამწვანებულ ტერიტორიას მიენიჭა სკვერის სტატუსი და სკვერის აღრიცხვაზე აყვანის მიზნით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაეგზავნა გარემოს დაცვის სამინისტროს. მითითებული ინდივიდუალური აქტით დადგინდა გამწვანებული ტერიტორიის სამართლებრივად მნიშვნელოვანი თვისება, ტერიტორია სკვერის სტატუსით ექცევა ნორმატიული აქტით განსაზღვრული პარკების, ბაღების და სკვერების ნუსხაში, შესაბამისად, იძენს განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმს და ხდება მოსახლეობის და სახელმწიფო ორგანოების მხრიდან მოვლა-პატრონობის და ზრუნვის ობიექტი.



აღმჭურველია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც დაინტერესებულ მხარეს ანიჭებს რაიმე უფლებას ან სარგებელს.

შემზღუდველია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ამძიმებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას, რაც შესაძლოა გამოიხატოს კონკრეტული ქმედების აკრძალვით (ამკრძალავი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) ან კონკრეტული ქმედების განხორციელების ვალდებულებაში (მავალებელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი).

მაგალითად, *არქმშენინსპექციის გადაწყვეტილებით სს „ლაბრადორს" აეკრძალა უპროექტო და უნებართვო სამშენებლო სამუშაოების წარმოება და დაევალა, 10 დღის ვადაში გაწმინდოს ტერიტორია სამშენებლო მასალებისგან და მოიყვანოს პირვანდელ მდგომარეობაში. მითითებული გადაწყვეტილება (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) ადრესატზე ზემოქმედების ხასიათის მიხედვით არის შემზღუდველი – იგი ადრესატს უკრძალავს მშენებლობის წარმოებას და ავალდებულებს კონკრეტული ქმედების განხორციელებას.*

3. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობა

*საკონტროლო შეკითხვები და სავარჯიშოები

(15) ჩამოაყალიბეთ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობის სამართლებრივი მნიშვნელობა;

(16) **სავარჯიშო:** არსენას ქუჩის მცხოვრებლებმა განცხადებით მიმართეს მთაწმინდა-კრწანისის გამგეობას და მოითხოვეს არსენას ქუჩაზე გამავალი წყლის მილების შეკეთება. გამგეობამ განიხილა საკითხი და გამოიტანა გადაწყვეტილება მილების შესაკეთებელი სახსრების გამოყოფისა და 2006 წლის მუნიციპალურ გეგმაში შეტანის თაობაზე. ადმინისტრაციული ორგანოს რომელი მოქმედება ჩაითვლება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატისთვის ოფიციალურ გაცნობად?

ა. გამგეობის უფლებამოსილი მუშაკი ტელეფონით დაუკავშირდა არსენას ქუჩის ერთ-ერთ მცხოვრებს და გააცნო ეს გადაწყვეტილება.

ბ. გამგეობამ გადაწყვეტილება ფოსტით გაუგზავნა იმ მცხოვრებლებს, რომლებიც ხშირად აკითხავდნენ განცხადების თაობაზე.


გ. გამგეობამ გადაწყვეტილება გამოაქვეყნა პრესაში.

(17) **სავარჯიშო:** სიღნაღის გამგებლის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა 60 კაცის ხელმოწერილი განცხადება ქუჩისთვის ვანო სარაჯიშვილის სახელის მინიჭების თაობაზე. რომელი ფორმა ჩაითვლება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალურ გაცნობად:

ა. განცხადებაზე პირველი ხელმომწერისთვის აქტის ხელზე ჩაბარება; გამგეობის შენობაში სტენდზე გამოკვრა;

ბ. ხუთი განმცხადებლისთვის ფოსტით გაგზავნა;

გ. რაიონის ყოველკვირეულ გაზეთში გამოქვეყნება.



ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობის სახეებია: დაინტერესებული მხარისთვის აქტის გადაცემა ან ფოსტით გაგზავნა (სზაკ-ის 58-ე მუხლი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ბეჭდვით ორგანოში (სზაკ-ის 56-ე მუხლი) და საჯაროდ გამოცხადება (სზაკ-ის 57-ე მუხლი).

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატისთვის გაცნობის ამ ფორმების გამოყენება დაკავშირებულია ადმინისტრაციული წარმოების ფორმებთან და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატთა რაოდენობასთან, ასევე, მოწესრიგებული სამართლებრივი ურთიერთობის მნიშვნელობის ხარისხთან. ოფიციალურობის თვალსაზრისით ეს სამივე ფორმა თანაბარი სამართლებრივი ძალის მქონეა და თანაბარ სამართლებრივ შედეგებს იწვევს.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მხარისთვის ოფიციალური გაცნობის მოთხოვნა არის ზოგადად ადმინისტრაციული კოდექსის იმპერატიული ნორმა. კოდექსის ეს მოთხოვნა გამომდინარეობს იქიდან, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნება, მისი ადრესატისთვის გაცნობა არის ფინალი ადმინისტრაციული წარმოების და მისი პროდუქტი – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართ

ლებრივი აქტი – ძალაში შედის მხარისთვის ოფიციალური გაცნობით ((სზაკ-ის 54-ე მუხლი); გასათვალისწინებელია ისიც, რომ კანონმდებლობით, შესაძლებელია, მისი ძალაში შესვლის სხვა ვადები იყოს დადგენილი). ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის ზუსტი დროის განსაზღვრა მნიშვნელოვანია აქტის მიმართ საჩივრის და სარჩელის შეტანისთვის კანონით დადგენილი ვადების დასაცავად. სწორედ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის, ანუ მხარისთვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე იწყება მისი გასაჩივრების (სარჩელის შეტანის) ვადების ათვლა.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობა არა მარტო აქტის კანონიერების კრიტერიუმია, არამედ მისი არსებობის წინაპირობაც. როგორც კანონი შედის ძალაში მისი ოფიციალური გამოქვეყნებით, ასევე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტიც შესასრულებლად სავალდებულო ძალას იძენს მისი ადრესატისთვის ოფიციალური გაცნობით.

თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი რამდენიმე ადრესატისკენ არის მიმართული, აუცილებელია თითოეული მათგანისთვის მისი ოფიციალური გაცნობა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, თითოეული პირის მიმართ აქტი ძალაში შევიდეს სხვადასხვა დროს. ამან შეიძლება კონკრეტულ შემთხვევაში გარკვეული პრობლემები წარმოშვას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეუძლებელია, პირს მოეთხოვოს მისთვის ჯერ კიდევ უცნობი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება. ასეთი შემთხვევების თავიდან აცილებას ემსახურება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 55-ე მუხლში მოცემული მოწესრიგება. ოღონდ ეს მუხლი გამოიყენება მაშინ, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეხება 50-ზე მეტ პირს.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობის პროცესში ყურადღება უნდა მიექცეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 55-ე – 58-ე მუხლებს და სპეციალურ კანონებში მოცემულ თავისებურებებს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მხარისთვის გადაცემის კანონით განსაზღვრული ფორმის დაუცველობა ყოველთვის არ აბრკოლებს მის ძალაში შესვლას, ეს აქტს ხდის უკანონოს. მაგ., თუ წერილობითი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართ-

ლებრივი აქტი მხარეს ზეპირი ფორმით გააცნეს, ასეთი აქტი მისი მხარისთვის გაცნობის კანონით დადგენილი წესის დარღვევის გამო უკანონოა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რამდენადაც ადრესატს ოფიციალურად გააცნეს, აქტი შეიძენს შესასრულებლად სავალდებულო ძალას. თუ კანონით გათვალისწინებული აქტის მხარისთვის ინდივიდუალური გადაცემის მიუხედავად (სზაკ-ის 58-ე მუხლის შესაბამისად) მოხდება მისი საჯაროდ გამოცხადების გზით გაცნობა, ამ შემთხვევაში თვითონ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობის ფორმაა უკანონო და, ამდენად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ შედის ძალაში, ანუ აქტი ვერ გახდება მხარისთვის შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონე.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მხარისთვის გაცნობის პროცესში ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებებს:

– მხარეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა ეცნობოს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მითითების შედეგად განხორციელებული მოქმედებით (ე.ი., ოფიციალურად. ტერმინი „ოფიციალური“ გამოხატავს ადმინისტრაციული ორგანოს ნებას, მიმართულს იქითკენ, რომ მოხდეს ადრესატისთვის მისი გაცნობა. ეს ოფიციალურობა აქტს შესასრულებლად სავალდებულო ძალას აძლევს და შესაძლებელს ხდის მის იძულებით აღსრულებას). სხვაგვარად ინფორმაციის მიღება, როგორიც არის კერძო საუბრები ან არაუფლებამოსილი ორგანოს საშუალებით, ან შემთხვევით, ადრესატისთვის აქტის ოფიციალურ გაცნობად არ ითვლება.

– მხარისთვის აქტის გაცნობა უნდა ატარებდეს ინდივიდუალურ ხასიათს, ანუ ადრესატი კონკრეტულად უნდა იყოს მითითებული, რამდენადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობა – ეს არის ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ისეთი ცალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც საჭიროებს მეორე მხარის მიერ მის მიღებას. შესაბამისად მოქმედებს სამოქალაქო სამართლის ნორმები მისი ნამდვილობის დასადგენად. დაინტერესებული მხარისთვის ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებულად ითვლება მას შემდეგ, რაც ის მოხვდება ადრესატის საფოსტო ყუთში (გარდა დაზღვეული წერილისა, რაზეც ქვემოთ ვიმსჯელებთ) და არსებითი არ არის, გაეცნო თუ არა ადრესატ

მის შინაარსს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფოსტის მეშვეობით გაგზავნის შემთხვევაში ის ძალაში შედის გაგზავნიდან არა უგვიანეს მე-7 დღისა. კანონმდებელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატის მიერ მიღებასთან დაკავშირებული დავის შემთხვევაში მტკიცების ტვირთს აკისრებს ადმინისტრაციულ ორგანოს და არა აქტის ადრესატს.

– ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობის განსაკუთრებული ფორმაა მისი გადაცემა. ის ატარებს ფორმალურ ხასიათს და უნდა შედგეს სპეციალური ოქმი, რომელშიც შედის მონაცემები აქტის ოფიციალური გადაცემის ადგილისა და დროის შესახებ და დასტურდება გადამცემი და მიმღები მხარეების ხელმოწერით. გადაცემა შეიძლება მოხდეს ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის ან სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი ორგანოს წარმომადგენლის მიერ, ან, უბრალოდ, ფოსტის თანამშრომლის (ფოსტალიონის) მეშვეობით. ყველა შემთხვევაში დგება სპეციალური აქტი გადაცემის შესახებ, რომელიც ბარდება აქტის გამომცემ ორგანოს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გადაცემის ეს ფორმა უზრუნველყოფს აქტის მხარისთვის გადაცემის ზუსტი დროის დადგენას და აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს თავიდან აცილებს მის გადაცემასთან და, შესაბამისად, ძალაში შესვლასთან დაკავშირებით წარმოშობილ პრობლემებს.

– ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობის ერთ-ერთი ფორმაა მისი საჯაროდ გამოცხადება. საჯარო გამოცხადება ხდება ადმინისტრაციულ ბეჭდვით ორგანოში ან სამოქმედო ტერიტორიაზე გავრცელებულ ყოველდღიურ ან ყოველკვირეულ ბეჭდვით ორგანოში, ან ადმინისტრაციულ ორგანოში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად მოთავსებით.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მხარისთვის გაცნობის ეს ფორმა გამოიყენება იმ აქტებისთვის, რომლებიც გამოიცემა ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების წესით და მიმართულია 50-ზე მეტ პირზე. ანუ, ეს არის ის შემთხვევა, როდესაც აქტის ადრესატებისთვის ინდივიდუალური გაცნობა, ფაქტობრივად შეუძლებელია ან დიდ ფინანსურ დანახარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული. გარდა ამისა, ეს დამოკიდებულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის

გამოცემისთვის გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების ფორმაზე. ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისას ისედაც უზრუნველყოფილია დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა წარმოების პროცესში; ის ღიაა ყველასთვის და, თუ პროცესში ჩართულია 50 პირზე მეტი, მაშინ განმცხადებელი ან განცხადებაზე პირველი ხელმომწერი ვალდებულია, უზრუნველყოს სხვა პირებისთვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შინაარსის გაცნობა.

დასკვნა:

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობა არა მარტო აქტის კანონიერების კრიტერიუმია, არამედ მისი არსებობის წინაპირობაც. როგორც კანონი შედის ძალაში მისი ოფიციალური გამოქვეყნებით, ასევე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტიც შესასრულებლად სავალდებულო ძალას იძენს მისი ადრესატისთვის ოფიციალური გაცნობით.

№16 სავარჯიშოს პასუხი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალურ გაცნობად ჩაითვლება კრწანისი-მთაწმინდის რაიონის გამგეობის მიერ დაინტერესებული მხარისთვის აქტის ფოსტით გაგზავნა;

№17 სავარჯიშოს პასუხი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალურ გაცნობად ჩაითვლება სიღნაღის რაიონის გამგეობის მიერ განცხადებაზე პირველი ხელმომწერისთვის მისი ჩაბარება. რამდენადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეხება 50-ზე მეტ პირს, ის გასაცნობად გადაეცემა მხოლოდ იმ პირს, ვისი ხელმოწერაც განცხადებაში პირველია. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ასეთ შემთხვევაში უნდა გამოქვეყნდეს ან გამოცხადდეს საჯაროდ. სწორედ კანონის ამ მოთხოვნას პასუხობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აქტის გამგეობის შენობაში სტენდზე გამოკვრა.

4. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება და უკანონობა

*საკონტროლო შეკითხვები და სავარჯიშოები

(18) ჩამოაყალიბეთ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების კრიტერიუმები;

(19) როდის არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უკანონო?

(20) რას ნიშნავს არარა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი?

(21) გამიჯნეთ უკანონო და არარა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები;

(22) გამიჯნეთ უკანონო და მიზანშეუწონელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები;

(23) გამიჯნეთ უკანონო და შეცდომიანი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები;

(24) გამიჯნეთ კანონიერი და კანონიერ ძალაში შესული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები;

(25) სავარჯიშო: საქართველოს პრეზიდენტის 1999 წ. № 96 ბრძანებულებით ძალაში შესულად ჩაითვალა საქართველო-აზერბაიჯანს შორის დადებული სამთავრობო საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც იმპორტიორთათვის საგადასახადო შეღავათებს ადგენდა. კანონიერია თუ არა საქართველოს პრეზიდენტის გამოცემული ბრძანებულება?

(26) სავარჯიშო: თბილისის მერის ბრძანებით შეიქმნა ქ. თბილისის შიდა ადმინისტრაციული ერთეული „გლდანის“ სახელწოდებით. დადგინდა მისი საზღვრები და მიენიჭა განსაკუთრებული სტატუსი, როგორც მსუბუქი ავტომობილების სფეროში ქალაქის სავაჭრო ზონას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების შემცველი ღონისძიებების დაგეგმვით. გვაქვს თუ არა კანონიერი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი?

(27) სავარჯიშო: ქუთაისის მერის ბრძანებულებით მოსამართლისთვის შეუფერებელი საქმიანობისა და სამოსამართლო ეთიკის დარღვევისთვის თანამდებობიდან გათავისუფლდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.

შეაფასეთ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური და მატერიალური კანონიერება.

(28) **სავარჯიშო:** თბილისის სანიტარული ინსპექციის 2005 წლის 10 თებერვლის განკარგულებით სუპერმარკეტ „თოლიას" დაევალა, 3 დღის ვადაში უზრუნველყოს სუპერმარკეტის სანიტარული დასუფთავება დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. 2005 წლის 5 თებერვალს სუპერმარკეტი ხანძარმა გაანადგურა. გვაქვს თუ არა სანიტარული ინსპექციის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სზაკ-ის მე-60 მუხლით არარა აქტად ცნობის საფუძველი?

(29) **სავარჯიშო:** თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებლის გადაწყვეტილებით ამავე რაიონში მცხოვრებ მოქალაქე გუნცაძეს დაევალა, მისი საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული კერძო ავტოსადგომიდან გამგეობის ეზოში შემდგომი შემოწმებისთვის გადმოიტანოს იქ მდგომი 4 „ნისანის" მარკის საეჭვო ავტომობილი. არის თუ არა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად ცნობის საფუძველი?


(30) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარა აქტად, თუ (აირჩიეთ ერთი სწორი პასუხი):

ა. იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები;

ბ. მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზების გამო;

გ. მისი გამომცემი ორგანო გამოცემს ახალ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც ახლებურად აწესრიგებს ამ სამართლებრივ ურთიერთობას;

დ. გაუქმდა ან შეიცვალა მისი გამოცემის სამართლებრივი საფუძვლები;



4.1. კანონიერი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების წინაპირობაა, პირველ რიგში, ამ აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო იყოს **უფლებამოსილი,** კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა მოაწესრიგოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით. საქმიანობის სწორი სამართლებრივი ფორმის არჩევასთან ერთად მნიშვნელოვანია, რომ ის უფლებამოსილი ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების სათანადო **სახის** და აქტის გამოცემისთვის კანონით გათვალისწინებული **ფორმის** დაცვით იყოს გამოცემული.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი პასუხობს მისთვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს და არის კანონიერი, როდესაც:

(1) კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო


უფლებამოსილია, გამოიყენოს საქმიანობის ეს სამართლებრივი ფორმა (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, როგორც საქმიანობის სამართლებრივი ფორმის, **დასაშვებობა**);

(2) კონკრეტულ შემთხვევაში დაცულია აქტის გამოცემისთვის საჭირო საგნობრივი და ტერიტორიული კომპეტენცია, ადმინისტრაციული წარმოების სახე და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ფორმა (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის **ფორმალური კანონიერება**);

(3) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შინაარსობრივად შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის **მატერიალური კანონიერება**).

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების განსაზღვრის კრიტერიუმებია: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, როგორც საქმიანობის სამართლებრივი ფორმის, დასაშვებობა, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერება და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერება.

4.2. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური და მატერიალური კანონიერება



4.2.1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერება

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერება დაკავშირებულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის პროცესთან და მოითხოვს, რომ ის გამოსცეს (ა) უფლებამოსილმა ორგანომ, (ბ) მისი გამოცემისთვის განონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დაცვით და (გ) შესაბამისი ფორმით.

ა) უფლებამოსილება. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა გამოსცეს საგნობრივად და ტერიტორიულად უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ. საგნობრივი უფლებამოსილება უკავშირდება მოწესრიგების საგანს (ობიექტს), ანუ იმას, არის თუ არა ადმინისტრაციული ორგანო უფლებამო-

სილი, მოაწესრიგოს კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა. ტერიტორიული უფლებამოსილება გულისხმობს საგნობრივად უფლებამოსილი ორგანოს სამოქმედო ტერიტორიას.

ბ) ადმინისტრაციული წარმოების სათანადო სახე. ადმინისტრაციული წარმოება – ეს არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა, რომელიც მიმართულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულებისკენ. ადმინისტრაციული კოდექსი ჩამოთვლის ადმინისტრაციული წარმოების სახეებს და ამკვიდრებს პრინციპს, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებს, გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით – თუ კანონი კონკრეტულ შემთხვევაში არ ითვალისწინებს სხვა სახის ადმინისტრაციული წარმოების გამოყენების აუცილებლობას. საქმიანობის ამ პროცესში აუცილებელია მთელი რიგი ნორმების დაცვა, რომლებიც განსაკუთრებით თავმოყრილია ადმინისტრაციული კოდექსის VI თავში და მოქმედებს ადმინისტრაციული წარმოების ყველა სახისთვის. განსაკუთრებით შეიძლება გამოვყოთ ის მოთხოვნები, რომლებიც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების საფუძვლებია. ესენია: ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძვლების დაცვა; კანონით გაუთვალისწინებელი მოთხოვნების დაწესების დაუშვებლობა; დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება; აცილების უფლება; სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში და ა.შ.

გ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმა. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიძლება გამოიცეს წერილობით ან ზეპირი ფორმით.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წერილობითი ფორმით გამოცემა – ეს არის გავრცელებული და ძირითადი ფორმა. სამართლებრივი ურთიერთობის გამჭვირვალობის, მტკიცებულების პროცესის გამარტივების და მმართველობითი აქტების ადმინისტრირების უზრუნველსაყოფად უპირატესობა ენიჭება წერილობით ფორმას. თანამედროვე მმართველობის პრაქტიკაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ხდება წერილობითი, ზეპირი ან სხვა ფორმით (მაგ., შუქნიშნებით მოწესრიგებული სამართლებრივი ურთიერთობა).

დ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერების განსაზღვრის პროცესში აუცილებელია, ყურადღება მიექცეს მის **დასაბუთებას** – ყოველი წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. მასში უნდა იყოს მოცემული ის სამართლებრივი და ფაქტობრივი წინამძღვრები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა ეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. თუ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, იგი ვალდებულია, აქტის დასაბუთებაში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძვლად დაუდო თავის გადაწყვეტილებას.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების მოთხოვნა ემსახურება, პირველ რიგში, ადმინისტრაციული ორგანოების თვითკონტროლს, რამდენადაც ის იძულებული ხდება, დასაბუთების ჩამოყალიბების პროცესში თავისი გადაწყვეტილება სამართლებრივი და ფაქტობრივი თვალსაზრისით ზუსტად მოიაზროს და გაამაგროს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთება, მეორე მხრივ, აადვილებს ადრესატის მხრიდან მისი კანონიერებისა და გასაჩივრების შესაძლო შედეგების შეფასებას და, ბოლოს, ის აადვილებს საჩივრის ან სარჩელის განმხილველი ორგანოების მიერ მისი კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების პროცესს.

სზაკ-ის 53-ე მუხლის ძველი რედაქცია იმპერატიულად მოითხოვდა, ყველა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. ამ მუხლში შეტანილი დამატების (24.06.2005.) შედეგად კანონმდებელმა მოახდინა წერილობითი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების გარეშე გამოცემის შემთხვევების მეტად გავრცელებული პრაქტიკის ლეგიტიმაცია. მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა პირის განცხადების საფუძველზე და აკმაყოფილებს განცხადებაში დასმულ მოთხოვნას. ამ აღმჭურველი ხასიათის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატისთვის ხომ ისედაც ნაცნობია მისი გამოცემის საფუძველი და მიზნები. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც აკმაყოფილებს ადრესატის მოთხოვნას და, ამასთან, არ ზღუდავს მესამე პირის უფლებებს, არ საჭიროებს დასაბუთების დართვას. სზაკ-ის 53-ე მუხლის 7-ე ნაწილის თანახმად, წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდ-

უალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ საჭიროებს დასაბუთებას, თუ:

ა. გამოცემულია დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე და არ ზღუდავს მესამე პირების კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს;

ა. დაინტერესებული მხარისთვის ცნობილია ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, რომელთა საფუძველზე გამოიცა ეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

გ. კანონი ითვალისწინებს მისი დასაბუთების გარეშე გამოცემის შესაძლებლობას.

ე) კანონიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტში უნდა მიეთითოს ის ორგანო, რომელშიც შეიძლება ამ აქტის გასაჩივრება, და მისი მისამართი, ასევე, აუცილებელია მითითება საჩივრის (ან სარჩელის) შეტანის ვადაზე (სზაკ-ის 52 II მუხლი). რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არაფერს ამბობს ამ მოთხოვნის დარღვევის სამართლებრივ შედეგებზე, შესაძლებელია სასკ-ის 12-ე მუხლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის პროცესზე ანალოგიის სახით გავრცელება, რომლის თანახმადაც, თუ მხარეს არ განემარტა გასაჩივრების შესაძლებლობა, გასაჩივრების ვადა და წესი, მაშინ გასაჩივრება შეიძლება სასამართლო აქტის გამოტანიდან ერთი წლის განმავლობაში.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ მოთხოვნის დაუცველობა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონწინააღმდეგობას ან ბათილობას კი არ იწვევს, არამედ ზემოქმედებას ახდენს გასაჩივრების ვადის ათვლაზე და, ამდენად, აფერხებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერ ძალაში შესვლას, რამდენადაც ის (მყარად) შესასრულებლად სავალდებულო ძალას სწორედ გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ იძენს[1].

[1] ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის მხარისთვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს, მაგრამ აქტის შესასრულებლად სავალდებულო ძალა არ არის მყარი, რამდენადაც შესაძლებელია მისი გასაჩივრება, რაც იწვევს მისი მოქმედების შეჩერებას. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მისი გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ იძენს მყარად განსაზღვრულ შესასრულებლად სავალდებულო ძალას.

4.2.2. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერება

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერება დაკავშირებულია აქტის შინაარსთან და მოითხოვს, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამებოდეს მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდიოდეს ქვეყანაში მოქმედ საკანონმდებლო აქტებთან.

ა) მოქმედ კანონებთან და სამართლის პრინციპებთან ან შესაბამისობა

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, როგორც სამართლის ნორმის კონკრეტიზაციისა და ინდივიდუალიზაციის აქტი, უნდა შეესაბამებოდეს სამართლის იმ ნორმებს, რომელთა აღსრულებასაც ის ახდენს. გარდა ამ კონკრეტული ნორმებისადმი შესაბამისობისა, ზოგადად ის არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ქვეყანაში მოქმედ სამართლის ნორმებს და კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს (კანონის უზენაესობის პრინციპი).

ბ) უფლებამოსილების სამართლებრივი საფუძვლები

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლებამოსილება, რამდენადაც ის საკანონმდებლო აქტის საფუძველზე და მის შესასრულებლად გამოიცემა, გამომდინარეობს თვით ამ სამართლებრივი აქტიდან.

ასეთი სამართლებრივი საფუძვლები არა გვაქვს, როდესაც თავად ის სამართლებრივი ნორმა, რომლის საფუძველზეც გამოიცა ეს ინდივიდუალური აქტი, ეწინააღმდეგება იერარქიით ზემდომ სამართლებრივ ნორმას და, ამდენად, არის ბათილი. აქედან გამომდინარე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების დადგენისთვის ყოველთვის არ არის საკმარისი მისი გამოცემის უშუალო სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება. ეჭვის შემთხვევაში აუცილებელია სწორედ ამ სამართლებრივი საფუძვლების კანონიერებისა და კონსტიტუციურობის შემოწმება.

გ) დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების მართლზომიერება

თუ ადმინისტრაციულ ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად აქვს მოქმედებისა და გადაწყვეტის თავისუფალი სივრცე, ვალდებულია, ის შესაბამისი მიზნის მისაღწევად გამოიყენოს და შეარჩიოს ერთ-ერთი იმ გადაწყვეტილებათაგან, რომელთა მიღების უფლებაც კანონით აქვს მინიჭებული. დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების მოთხოვნის უგულებელყოფა იწვევს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის უკანონობას.

დ) თანაზომიერების პრინციპი

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის პროცესში მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს მიღწეული მიზნისა და მის მისაღწევად გამოყენებული საშუალების თანაზომიერების დაცვას.

ე) კონკრეტულობის პრინციპი

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შინაარსი უნდა იყოს კონკრეტული, ანუ ისე ნათლად ჩამოყალიბებული, რომ მის ადრესატს ცალსახად შეეძლოს იმის გაგება თუ რას მოითხოვს მისგან ამ
აქტის გამომცემი ორგანო.

ეს მოთხოვნა გამომდინარეობს თვით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფუნქციიდან, რამდენადაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ის ახდენს ზოგადი ნორმების კონკრეტიზაციას და ინდივიდუალიზაციას.

4.3. უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი

უკანონოა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც მოქმედი სამართლის ნორმების არასწორი გამოყენებით შედგა. თუ რა შეიძლება იყოს კონკრეტულ შემთხვევაში უკანონობის საფუძველი, ამაზე უკვე ვილაპარაკეთ. ინდივიდუ-

ალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების ზევით მოყვანილი კრიტერიუმებიდან – დასაშვებობა, კანონიერების ფორმალური და მატერიალური წინაპირობები – ერთ-ერთის დარღვევა, ისე, როგორც სამართლის ნორმის გამოყენება საქმის გარემოებათა არასწორი გამოკვლევის შემთხვევაში, შესაძლოა იქცეს მისი უკანონობის საფუძვლად.

ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ უკანონო და არარა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

ასევე ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს უკანონო და მიზანშეუწონელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. უნდა აღინიშნოს, რომ მიზანშეწონილობას გადაამოწმებს მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანო საჩივარზე ადმინისტრაციული წარმოების გზით, სასამართლო კი იფარგლება აქტის მხოლოდ კანონიერების შემოწმებით.

აუცილებელია უკანონო და შეცდომიანი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ერთმანეთისგან გამიჯვნა. აქ იგულისხმება აქტის გამოცემის დროს დაშვებული ტექნიკური შეცდომა წერის, გამოთვლების დროს და სხვა ასეთი აშკარა შეცდომები. ადმინისტრაციულ ორგანოს ნებისმიერ დროს შეუძლია ასეთი შეცდომების გასწორება და ეს ხდება ადმინისტრაციული წარმოების ფორმალური მოთხოვნების დაუცველად. ბუნებრივია, რომ ასეთ კორექტურას აქვს უკუქცევითი ძალა და ის მოქმედებს აქტის გამოცემის დღიდან.

და ბოლოს, უნდა მოხდეს კანონიერი და კანონიერ ძალაში შესული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ცნებების გამიჯვნა. კანონიერება პირველ შემთხვევაში გულისხმობს აქტის შინაარსის სამართლის ნორმებთან შესაბამისობას, ხოლო მეორე შემთხვევაში ამ აქტის სამართლებრივ შედეგებს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სამართლებრივი შედეგები დგება მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. აქტის ძალაში შესვლა დამოკიდებული არ არის მის შინაარსზე, ანუ მის კანონიერებასა და უკანონობაზე – იგი ძალაში შედის მხარისთვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს, ან კიდევ სზაკ-ის 54-ე მუხლით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

4.4. არარა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი

კანონის მოთხოვნათა დარღვევით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ყოველთვის არ წარმოშობს მის არარა აქტად ცნობის საფუძველს. ეს დამოკიდებულია სამართალდარღვევის ხასიათზე. უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისგან განსხვავებით, არარა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მისი გამოცემის მომენტიდან არა აქვს შესასრულებლად სავალდებულო ძალა და არ საჭიროებს არავის მხრიდან (მოქალაქე, ადმინისტრაციული ორგანო, სასამართლო) ანგარიშის გაწევას. როგორც კანონიერი, ისე უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, განსხვავებით არარა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისგან, მისი გამოცემის მომენტიდან იძენს შესასრულებლად სავალდებულო ძალას და საჩივრისა და სარჩელის შეტანის ვადის გასვლის შემდეგ ხდება შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონე.

სზაკ-ის მე-60 მუხლში განსაზღვრულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად ცნობის საფუძვლები:

ა. შეუძლებელია მისი გამომცემი ორგანოს დადგენა;
ბ. გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ;
გ. მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზის გამო;
დ. მისი შესრულება გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.

ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნით აღიაროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არარა აქტად. არარა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრებისთვის სზაკ-ით დადგენილი ვადები არ ვრცელდება.

№25 სავარჯიშოს პასუხი: საქართველოს პრეზიდენტის 1999 წ. № 96 ბრძანებულების კანონიერების დასადგენად, პირველ რიგში, უნდა შემოწმდეს მისი ფორმალური კანონიერება. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერების მოთხოვნით ის უნდა გამოსცეს საგნობრივად და ტერიტორიულად უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ. საქართველოს პრეზიდენტი არ იყო უფლებამოსილი, მითითებულ საკითხზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოეცა, რამდენადაც, საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის თანახმად, გადასახადის დაწესება, შეცვლა, გაუქმება მხოლოდ საკანონმდებლო აქტით არის დასაშვები. შესაბამისად, ამ საკითხის სამართლებრივი მოწესრიგება მხოლოდ საქართველოს პარლამენტის კომპეტენციაა. აგრეთვე, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც ადგენს კანონმდებლობისგან განსხვავებულ წესს, მხოლოდ რატიფიცირების შემთხვევაში იძენს იურიდიულად სავალდებულო ძალას. ეს კონკრეტული საერთაშორისო ხელშეკრულება იმპორტიორებს ათავისუფლებდა საბაჟო გადასახადისგან, ანუ ადგენდა კანონმდებლობისგან განსხვავებულ წესს.

№26 სავარჯიშოს პასუხი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების დასადგენად, პირველ რიგში, მისი ფორმალური კანონიერება უნდა შემოწმდეს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერების მოთხოვნაა, რომ ის უნდა გამოსცეს საგნობრივად და ტერიტორიულად უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ. ქ. თბილისის მერის ბრძანება, რომელიც ითვალისწინებს ქალაქის შიდა ადმინისტრაციული ერთეულის შექმნას, მისი საზღვრების დადგენას და განსაკუთრებული სავაჭრო ზონის სტატუსის მინიჭებას, არის უკანონო, რამდენადაც ის საგნობრივად არაუფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არის გამოცემული. „საქართველოს დედაქალაქის, თბილისის შესახებ" კანონის 12.1 „ე" მუხლის თანახმად ამ საკითხის მოწესრიგება მხოლოდ თბილისის საკრებულოს კომპეტენციას განეკუთვნება.

№27 სავარჯიშოს პასუხი: ქუთაისის მერის ბრძანებულების კანონიერების დასადგენად, პირველ რიგში, მისი ფორმალური კანონიერება უნდა შემოწმდეს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერების მოთხოვნაა, რომ ის უნდა გამოსცეს საგნობრივად და ტერიტორიულად უფლებამოსილმა ად-

მინისტრაციულმა ორგანომ. ქუთაისის მერის ბრძანებულება ქალაქის სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ არაუფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს გამოცემულია.

№28 სავარჯიშოს პასუხი: თბილისის სანიტარული ინსპექციის განკარგულება ფორმალური თვალსაზრისით კანონიერია: ის გამოცემულია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, დაცულია ადმინისტრაციული წარმოების სათანადო სახე, გამოცემის ფორმა. მიუხედავად ამისა, მივიღეთ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად მიჩნევის საფუძველი, რამდენადაც მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზის გამო (სზაკ-ის მე-60 მუხლის I ნაწ. „გ“ ქვეპუნქტი)

№29 სავარჯიშოს პასუხი: დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობის გადაწყვეტილება არარა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია, რამდენადაც ადრესატისგან მისი შესრულება გამოიწვევს დანაშაულს (სზაკ-ის მე-60 მუხლის I ნაწ. „ბ“ ქვეპუნქტი).

5. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმება

***საკონტროლო შეკითხვები და სავარჯიშოები**

(31) რა ნიშნებით ახდენს კანონმდებელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად და ძალადაკარგულად გამოცხადების ინსტიტუტების გამიჯვნას?

(32) როდის იძენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესასრულებლად სავალდებულო ძალას?

(33) ვინ არის უფლებამოსილი, ბათილად ცნოს შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონე უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი?

(34) რა შემთხვევაშია ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი, ძალადაკარგულად გამოაცხადოს კანონის შესაბამისად გამოცემული აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი?

(35) რას ნიშნავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაინტერესებული პირის კანონიერი ნდობა და როდის ვღებულობთ მას?

(36) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაინტერესებული პირის კანონიერი ნდობა არსებობს იმ შემთხვევაში, თუ მან (შეარჩიეთ ერთი სწორი პასუხი):

ა. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება;

ბ. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და აქტის ბათილად გამოცხადებით ამ პირს ზიანი მიადგება;

გ. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და აქტის ბათილად გამოცხადებით ირღვევა კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი;


დ. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე მიიღო სიკეთე ან სარგებელი მესამე პირებისთვის ზიანის მიუყენებლად.

(37) სავარჯიშო: თბილისის მერიის მშენებლობაზე ზედამხედველობის სამსახურმა გამოსცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც დაადგი-

ნა მოქალაქე პეტრიაშვილის საცხოვრებელი სახლის აღების ვალდებულება დასაბუთებით, რომ სახლი არის ავარიული, არ ექვემდებარება შეკეთებას და საფრთხეს უქმნის მეზობლებს და გამვლელებს. სანამ ეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულდებოდა, დადგინდა, რომ მერიის სამსახურის ეს დასკვნა იყო არასწორი და სინამდვილეში შენობა ექვემდებარებოდა შეკეთებას. არის თუ არა ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული, ბათილად ცნოს ეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი? არის თუ არა მოქალაქე უფლებამოსილი, მოითხოვოს ამ აქტის ბათილად გამოცხადება, თუ მან გაუშვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისთვის კანონით დადგენილი გასაჩივრების ვადა?

(38) **სავარჯიშო:** ფირმა „მშენებელმა" მშენებლობის ნებართვის საფუძველზე დაიწყო მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის აგება. მეცნიერული დასკვნების შედეგად დადგინდა, რომ მიწის ამ მონაკვეთზე დაუშვებელია საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. ამ დასკვნის საფუძველზე გამოიცა მშენებლობის სამინისტროს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც კრძალავს მიწის ამ ნაკვეთზე მშენებლობის ნებართვის გაცემას და მოითხოვს შესაბამისი სამსახურებისგან, უზრუნველყონ დაწყებული მშენებლობების შეჩერება. მშენებლობის ნებართვის გამცემმა ადმინისტრაციულმა ორგანომ ძალადაკარგულად გამოაცხადა მის მიერ ფირმა „მშენებელზე" გაცემული მშენებლობის ნებართვა. ადმინისტრაციული ორგანოს ეს მოქმედება არის თუ არა მართლზომიერი? ფირმა „მშენებელმა" კანონიერი ნდობის საფუძველზე მოითხოვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში დატოვება. შეაფასეთ შექმნილი სამართლებრივი მდგომარეობა.

(39) **სავარჯიშო:** არის თუ არა უფლებამოსილი მოსარჩელე, დაინტერესებული მხარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით სარჩელზე სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევაში, მოითხოვოს სასამართლოს მიერ ამ აქტის ბათილად ცნობა?



კანონიერ ძალაში შესული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ანუ საჩივრისა და სარჩელის შეტანის ვადების გასვლის შემდეგ) შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონეა თვით მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოსთვისაც. სასამართლო გადაწყვეტილებებისგან განსხვავებით, ეს კანონიერი ძალა არ არის აბსოლუტური ხასიათისა და კანონმდებლობა უშვებს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ასეთი აქტების საკუთარი ინიციატივით, და მთელ რიგ შემთხვევებში – ვალდებულების სახით, გაუქმების შესაძლებლობას. ეს შესაძლებლობა გამომდინარეობს მმართველობითი საქმიანობის თავისებურებებიდან. ეფექტური მმართველობითი საქმიანობის განხორციელების პრინციპი აღჭურავს ადმინისტრაციულ ორგანოს უფლებამოსილებით, მმართველობითი აქტები შესაბამისობაში მოიყვანოს რეალურ სამართლებრივ და ფაქტობრივ ცვლილებებთან და ახ-

ლებურად მოაწესრიგოს კონკრეტული ურთიერთობა. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, დაიცვას კერძო და საჯარო ინტერესების თანაზომიერების პრინციპი.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმება ზოგადი ტერმინია და გულისხმობს როგორც აქტის ბათილად, ისე ძალადაკარგულად გამოცხადებას. ორივე შემთხვევაში აქტი წყვეტს მოქმედებას, მაგრამ განსხვავება გვაქვს ძალადაკარგულად გამოცხადებული აქტის სამართლებრივ ბუნებაში. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ძალადაკარგულად გამოცხადება მოწესრიგებულია სზაკ-ის 60[1] – 62-ე მუხლებით. ბათილად ცნობის ობიექტია *უკანონო* ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო ძალადაკარგულად ცხადდება *კანონიერი* ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების ამ ორი სახის სამართლებრივ შედეგებს, ბათილად ცნობა ავტომატურად არ იწვევს აქტის ძალაში შესვლიდან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას. ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასთან ერთად განსაზღვრავს მისი მოქმედების შეწყვეტის სამართლებრივ შედეგებს. პირის კანონიერი ნდობისა და საჯარო ინტერესების გათვალისწინებით შესაძლებელია, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტა განისაზღვროს

ა. მისი ძალაში შესვლის დღიდან;

ბ. მისი ბათილად ცნობის დღიდან;

გ. მომავალში, კონკრეტული თარიღის მითითებით.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება იწვევს ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან მისი მოქმედების შეწყვეტას. ეს არახელსაყრელ შედეგამდე მიგვიყვანდა, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად გამოცხადდებოდა იმის გამო, რომ პირმა არ შეასრულა აქტით დადგენილი ვალდებულება (61-ე II ნაწ. „გ" ქვეპუნქტი) და არ გამოიწვევდა ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას. ამის გათვალისწინებით, სზაკ-ის 61-ე მუხლის მე-6 ნაწილში შეტანილი დამატება უშვებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადე-

ბის შემთხვევაში მისი ძალაში შესვლიდან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმების შესაძლებლობას.

სზაკ-ში შეტანილი ცვლილებების შედეგად უარი ითქვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების ორი სახის ერთმანეთისგან გამიჯვნაზე გაუქმების სამართლებრივი შედეგებით. კრიტერიუმად ვიყენებთ გაუქმებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სამართლებრივ ბუნებას: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებასა და უკანონობას.

ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ან ძალადაკარგულად აცხადებს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის წარდგენის შემთხვევაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა შეუძლია ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს ან სასამართლოს (სზაკ-ის მე-60 მუხლის მე-3 ნაწილი; სასკ-ის 32-ე მუხლის I ნაწილი). ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს მხოლოდ აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს (სზაკ-ის 61-ე მუხლის I ნაწილი).

5.1. ბათილად და ძალადაკარგულად გამოცხადების ინსტიტუტების გამიჯვნა ადრესატზე მათი სამართლებრივი შედეგების მიხედვით

ბათილად და ძალადაკარგულად გამოცხადების ობიექტი შეიძლება იყოს როგორც აღმჭურველი, ისე ამკრძალავი (მავალებელი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ადრესატის ინტერესების გათვალისწინებით საქმე გვაქვს განსხვავებულ შედეგებთან: მაშინ, როდესაც ის დაინტერესებულია ამკრძალავი ან მავალებელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებით, აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების დროს შესაძლებელია, ამ აქტის მიმართ კანონიერი ნდობის პრინციპზე დაყრდნობით ადრესატმა წინააღმდეგობა გაუწიოს მის გაუქმებას. თავის მხრივ, ადრესატის ამ კანონიერ ინტერესებს განსხვავებული დატვირთვა აქვს იმის გათვალისწინებით თუ როგორი – კანონიერი თუ უკანონო – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმება ხდება.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების ოთხი სახის გამოყოფა:

(1) აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება;

(2) ამკრძალავი (მავალებელი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება;

(3) აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება;

(4) ამკრძალავი (მავალებელი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება.

აქტი	უკანონო	კანონიერი
აღმჭურველი	ბათილად ცნობა მუხლი მე-60[1]	ძალადაკარგულად გამოცხადება მუხლი 61-ე
ამკრძალავი	ბათილად ცნობა მუხლი მე-60[1]	ძალადაკარგულად გამოცხადება მუხლი 61-ე

5.2. ბათილად და ძალადაკარგულად გამოცხადების ინსტიტუტების სამართლებრივი ბუნება

ბათილად და ძალადაკარგულად ცხადდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ამასთან, თვით ბათილად და ძალადაკარგულად გამოცხადება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია და მის გამოცემაზე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისთვის გათვალისწინებული წესები და პირობები ვრცელდება.


თვით უკანონო ბათილად და ძალადაკარგულად გამოცხადება, თუ ის არ გასაჩივრდება კანონით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისთვის გათვალისწინებულ ვადებში, შედის კანონიერ ძალაში და იწვევს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებას.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად და ძალადაკარგულად გამოცხადების ინსტიტუტი გამოიყენება როგორც გასაჩივრების ვადებში, ისე ამ ვადის გასვლის შემდეგ. პირველ შემთხვევაში ეს შეიძლება მოხდეს როგორც მხარის მოთხოვნის, ისე ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივით, ხოლო უფლების დაცვის პროცესუალური (საჩივრის ან სარჩელის

შეტანის) ვადების გასვლის შემდეგ ის შეიძლება მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს ნების გამოხატვის შედეგად მოხდეს.

გასაჩივრების ვადებში აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში მის ადრესატს არ შეუძლია ამ აქტის მიმართ კანონიერი ნდობის პრინციპის მოშველიება. მაშინ, როდესაც გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ ეს პრინციპი მისი ინტერესების დაცვის მნიშვნელოვან არგუმენტად იქცევა.

5.3. აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად და ძალადაკარგულად გამოცხადება



5.3.1 აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება

აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების საფუძველია მმართველობის „კანონიერების პრინციპი", რომელიც მოითხოვს კანონიერების აღდგენის მიზნით უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებას. ამ მნიშვნელოვან პრინციპს უპირისპირდება კანონმდებლის მიერ აღიარებული „ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის პრინციპი". ორივე მათგანი კონსტიტუციური რანგისაა და გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან. ამდენად, შეუძლებელია

პრობლემის ცალსახად გადაწყვეტა. ადმინისტრაციული წარმოებისა და ადმინისტრაციული სასამართალწარმოების ამოცანაა, კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტისას მოახდინონ ამ ორი პრინციპის შეპირისპირება და თანაზომიერი გადაწყვეტილების მიღება.

უკანონო აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ შეიძლება ბათილად გამოცხადდეს, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ამ აქტის მიმართ. დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც მან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება, მისი ნდობა ამ აქტისადმი არის დაცვის ღირსი და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადებით სწორედ მას მიადგება ზიანი.

დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არ არის დაცვის ღირსი, ანუ ადგილი არა აქვს კანონიერ ნდობას, თუ (ა) მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება (მაგ., არასწორი მონაცემების ან ყალბი დოკუმენტების წარმოდგენა თუ მოტყუება), (ბ) ამ აქტის უკანონობა მისთვის ცნობილი იყო ან უნდა ცოდნოდა.

თუ აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განხორციელდა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება, ანუ ადრესატმა დახარჯა ის ფინანსური შემოსავლები (უმუშევრობაზე დახმარება, სტიპენდია, ერთჯერადი სოციალური დახმარებები და ა.შ.), რომელიც მან მიიღო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე და რომლის უკან დაბრუნება შეუძლებელია ან მისი ამოღების შედეგად მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება ამ სიკეთეს, არ შეიძლება ასეთი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად გამოცხადდეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს. ამ საფუძვლებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევაში დაინტერესებულ მხარეს, რომლის კანონიერი ნდობაც ამ აქტის მიმართ დაცვის ღირსია, უნდა აუნაზღაურდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადებით მიყენებული ქონებრივი ზიანი.

მმართველობის კანონიერების პრინციპსა და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის პრინციპს შორის შეპირისპირების დროს თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მოხდეს აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადებით ადრესატისადმი მიყენებული ზიანის და ამ აქტის ბათილად გამოუცხადებლობით მესამე პირებისა და საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის შეპირისპირება, ასევე, უნდა გავითვალისწინოთ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმა და წარმოების სახე (წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უფრო მეტ ნდობას იმსახურებს, ვიდრე ზეპირი. ასევე, რაც უფრო ფორმალურია ადმინისტრაციული წარმოება, მით მეტია პირის კანონიერი ნდობის ხარისხი), მისი უკანონობის სიმძიმე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ გასული დრო. ყოველივე ამის გათვალისწინებით შესაძლოა, შეიზღუდოს აქტის ბათილად გამოცხადების შესაძლებლობები. განგრძობადი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შემთხვევაში, რომლის საფუძველზეც ხდება ფულადი დახმარების მიღება, შესაძლებელია უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება მისი მოქმედების შეწყვეტით ბათილად გამოცხადების დღიდან; ასევე, შეიძლება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება მისი მოქმედების მომავალში, კონკრეტული თარიღის მითითებით, შეწყვეტით (სზაკ-ის მე-60[1] მუხლის 7-ე ნაწილი).

5.3.2 აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

კანონის შესაბამისად გამოცემული აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში ამ აქტის მიმართ მხარის კანონიერი ნდობის პრინციპი უფრო მეტად მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე უკანონო აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევაში. აღმჭურველი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებისას არ არსებობს მმართველობის კანონიერების პრინციპსა და აქტის მიმართ

მხარის კანონიერი ნდობის პრინციპს შორის დაპირისპირება – ორივე ეს პრინციპი ერთმანეთის გვერდიგვერდ დგას და ურთიერთგამყარებას ახდენს. თუმცა ეს ურთიერთდაპირისპირებულობა ისევ ჩნდება, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველია მისი გამოცემის ფაქტობრივი ან სამართლებრივი საფუძვლების შეცვლა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მისი გამოცემის დროს არის კანონიერი, მაგრამ მისი გამოცემის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების შემდგომი შეცვლა მას ხდის უკანონოს.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, ძალადაკარგულად გამოაცხადოს კანონიერი აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:

ა) ეს პირდაპირ არის მითითებული კანონში ან მის საფუძველზე გამოცემულ ზემდგომი ორგანოს კანონქვემდებარე აქტში;

ის სამართლებრივი წორმა, კანონი ან კანონქვემდებარე აქტი რომლის საფუძველზეც გამოიცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, შესაძლებელია, პირდაპირ მიუთითებდეს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან კონკრეტულ შემთხვევებში ამ აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესაძლებლობაზე.

ბ) კანონმდებლობის შესაბამისად თვით ეს აქტი ითვალისწინებს მისი ძალადაკარგულად გამოცხადების შესაძლებლობას;

არის შემთხვევები, როდესაც თვით ამ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტშია ჩადებული მისი ძალადაკარგულად გამოცხადების შესაძლებლობის შესახებ დათქმა გარკვეულ წინაპირობებზე მითითებით. ასეთ შემთხვევაში აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების კანონიერების გადახედვისას მოწმდება თვით ამ დათქმის კანონიერება და ისიც თუ რამდენად არის მისი რეალიზაცია ფაქტობრივი საფუძვლებით გამართლებული. არსებობს თუ არა ასეთი დათქმის რეალიზაციის ფაქტობრივი საფუძვლები ეს დგინდება იმ კანონის მიზნებიდან, რომელიც საფუძვლად უდევს ამ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

გ) დაინტერესებულმა მხარემ არ შეასრულა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობაც კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გახდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ადრესატს აძლევს ერთჯერადი ან დენადი ფულადი დახმარების მიღების ან სხვა მატერიალური სიკეთის კონკრეტული მიზნების განხორციელების შესაძლებლობას, შეიძლება ძალადაკარგულად გამოცხადდეს, თუ არ მოხდება ამ ფინანსური და მატერიალური საშუალებების დათქმული დროის ფარგლებში ათვისება, ან კიდევ, თუ არ მოხდება მისი იმ მიზნებისთვის გამოყენება, რა მიზნის მისაღწევადაც გამოიყო იგი. იგივე წესი მოქმედებს, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია დამატებითი მოთხოვნების დართვით. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპებს. ასე მაგალითად, გაუმართლებელი იქნებოდა უკვე აშენებული შენობის მშენებლობის ნებართვის ძალადაკარგულად გამოცხადება მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ მისმა ადრესატმა არ შეასრულა ამავე აქტით განსაზღვრული უბრალო დამატებითი მოთხოვნა. აკრძალვის აუცილებლობასთან გვაქვს საქმე, როდესაც ამ პირობის (დამატებითი მოთხოვნის) დაცვა არის აუცილებელი წინაპირობა კონკრეტული უფლების განხორციელებისთვის, ხოლო ეს ღონისძიება (აკრძალვა) მაშინ არის პროპორციული, თუ ადმინისტრაციული ორგანო მიზნის მისაღწევად, პირველ რიგში, მის ხელთ არსებულ სხვა უფრო მსუბუქ საშუალებებს გამოიყენებს და აკრძალვა, როგორც უკანასკნელი საშუალება, რჩება.

დ) გაუქმდა ან შეიცვალა შესაბამისი ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც გამოცემულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სამართლებრივი საფუძვლების გაუქმება ან შეცვლა ავტომატურად არ იწვევს ამ აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების აუცილებლობას. ამისთვის აუცილებელია ორი წინაპირობის არსებობა:

ახალი კანონი ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ართმევდეს ასეთი შინაარსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესაძლებლობას და, ამასთან, ამ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში დატოვება მნიშვნელოვან ზიანს უნდა აყენებდეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს.

ე) არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება, აგრეთვე, შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური აღმოჩენა ან გამოგონება, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას, გამოსცეს ასეთი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ამ საფუძვლებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაშიც აუცილებელია იმავე ორი პირობის დაკმაყოფილება, რომლებზეც ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ: პირველი, რომ ამ გარემოებების ცოდნის ან სამეცნიერო-ტექნიკური აღმოჩენის ან გამოგონების არსებობის შემთხვევაში ამგვარი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ გამოიცემოდა და, მეორეც, ეს აქტი მნიშვნელოვან ზიანს უნდა აყენებდეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების ცნებას არ შეიძლება მიეცეს ფართო დატვირთვა; მისი ვიწრო ინტერპრეტაციის საფუძველზე იგი, როგორც ულტიმა რატიო, განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა გამოვიყენოთ.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება ადმინისტრაციული ორგანოს უფლებაა და არა ვალდებულება. აქედან გამომდინარე, მას შეუძლია, მხარის კანონიერი ნდობის გათვალისწინებით უარი თქვას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებაზე, მიუხედავად მისი წინაპირობების არსებობისა.

61-ე მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილების თანახმად, ძალადაკარგულად გამოცხადება ნიშნავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტას მისი ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან და ეს არ იწვევს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგებ

გაუქმებას. ეს შეზღუდვა ასევე ემსახურება დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის დაცვას. თუმცა ამ მოთხოვნამ შეიძლება მთელ რიგ შემთხვევებში არახელსაყრელ შედეგამდე მიგვიყვანოს. მაგალითად, თუ დაინტერესებულმა მხარემ არ შეასრულა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობაც, კანონმდებლობის შესაბამისად, შეიძლება გახდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, სზაკ-ის 61-ე მუხლის 7-ე ნაწილის თანახმად დაადგინოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლიდან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმება.

№ 38 სავარჯიშოს პასუხი:

ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, ძალადაკარგულად გამოაცხადოს ფირმა „მშენებელზე“ გაცემული მშენებლობის ნებართვა, რამდენადაც არსებობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების სზაკ-ის 61-ე მუხლით განსაზღვრული საფუძვლები: არსებობს ახლად გამოვლენილი გარემოება – სამეცნიერო-ტექნიკური აღმოჩენა; ასევე, შეიცვალა შესაბამისი ნორმატიული აქტი, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას, გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ამ აქტის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს.

5.4. მხარის კანონიერი ნდობა და კომპენსაცია

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადგილი არა აქვს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ მხარის კანონიერი ნდობის ხელყოფას, რამდენადაც კანონში ან კანონქვემდებარე აქტში, რომელიც კონკრეტული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველი გახდა, ან თვით ამ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებულია მისი ძალადაკარგულად გამოცხადების შესაძლებლობის შესახებ.

ასეთი მითითების დანიშნულება სწორედ ის არის, რომ დაინტერესებულ მხარეს წინასწარ ამცნოს ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობაზე და თავიდან აიცილოს მხარის კანონიერი ნდობის წარმოშობა. ეს, თავის მხრივ, ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს, დაიცვას ასეთი წინაპირობის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ჩადების სამართლებრივი საზღვრები.

კანონიერი ნდობა არ არსებობს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მხარე არ ასრულებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვალდებულებებს, ანუ, როდესაც მისი ქმედება ხდება აქტის გაუქმების საფუძველი. ამის საპირისპიროდ, შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს კანონიერი ნდობის ხელყოფას, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება ხდება სზაკ-ის 61-ე მუხლის „დ" და „ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებით. ასეთი შემთხვევებისთვის კანონის 61-ე მუხლის მე-4 ნაწილი ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურებას დაინტერესებული მხარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ კანონიერი ნდობის გათვალისწინებით და მისი მოთხოვნის საფუძველზე.

ამდენად, ნათელია აქტის ბათილად გამოცხადების შესაძლებლობის წინასწარ განსაზღვრის დანიშნულება. ამ შემთხვევებშიც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების საფუძველია სამართლებრივი ან ფაქტობრივი გარემოებების შეცვლა, მაგრამ, გამომდინარე წინასწარი გაცხადებიდან, ადვილია მისი რეალიზება და ხდება ზიანის ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

6. ამკრძალავი (მავალებელი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად და ძალადაკარგულად გამოცხადება

6.1. ამკრძალავი (მავალებელი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება

ამკრძალავი (მავალებელი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევაში ძირითადად იგივე პრობლემა ჩნდება, რაც აღმჭურველი ინდივიდ-

უალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების დროს: მმართველობის კანონიერების პრინციპი მოითხოვს უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღმოფხვრას, სამართლებრივი სტაბილურობის პრინციპი კი მოითხოვს გამოცემული და კანონიერ ძალაში შესული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შენარჩუნებას. რაც შეეხება სამართლებრივი ურთიერთობის მხარეების ინტერესთა ფაქტორს, თვით ადრესატია დაინტერესებული, ეს ამკრძალავი აქტი ბათილად გამოცხადდეს და მმართველობის კანონიერების პრინციპიც უკვე მის სასარგებლოდ მოქმედებს. ადმინისტრაციულ ორგანოს არ შეუძლია, მოიშველიოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ მხარის კანონიერი ნდობის პრინციპი. ერთადერთი არგუმენტი, რისი მოშველიებითაც შესაძლებელია, ადმინისტრაციულმა ორგანომ დააბუთოს ამ აქტის მოქმედების შენარჩუნების აუცილებლობა – ეს არის სამართლებრივი ურთიერთობის სტაბილურობა.

№ 37 სავარჯიშოს პასუხი:

ქალაქ თბილისის მერიის მშენებლობაზე ზედამხედველობის სამსახურის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელმაც დაადგინა მოქალაქე პეტრიაშვილის საცხოვრებელი სახლის აღების ვალდებულება, თავისი ბუნებით არის ამკრძალავი ხასიათის უკანონო აქტი, რამდენადაც მისი გამოცემის მომენტში არ არსებობდა სახლის აღების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი. სზაკ-ის მე-60[1] მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ბათილად ცნოს უკანონო ამკრძალავი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. მოქალაქე უფლებამოსილია, მოითხოვოს ამ აქტის ბათილად გამოცხადება მაშინაც კი, როდესაც მან გაუშვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისთვის კანონით დადგენილი გასაჩივრების ვადა.

6.2. ამკრძალავი (მავალებელი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ძალადაკარგულად გამოცხადების ობიექტია კანონის მოთხოვნათა დაცვით გამოცემული, ანუ გამოცემის დროს კანონიერი

და მისი გამოცემის სამართლებრივი საფუძვლების ჯშეცვლის შედეგად უკანონოდ ქცეული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ისევე, როგორც აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შემთხვევაში ხდება ამკრძალავი (მავალებელი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება მაშინ, როდესაც განგრძობადი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შემთხვევაში იცვლება ამ აქტის გამოცემის ფაქტობრივი ან სამართლებრივი საფუძვლები.

სზაკ-ის 61-ე მუხლი არ განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, როდესაც შესაძლებელია კანონის შესაბამისად გამოცემული ამკრძალავი (მავალებელი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება. მიუხედავად ამისა, ამ მუხლში ჩადებულია საკმარისი მოქმედების თავისუფალი სივრცე ასეთი შემთხვევების მოსაწესრიგებლად. შეიძლება ითქვას შემდეგი:

ამკრძალავი (მავალებელი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არის ადმინისტრაციული ორგანოს უფლება და არა ვალდებულება.

ამკრძალავი (მავალებელი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიძლება მხოლოდ მაშინ გამოცხადდეს ძალადაკარგულად, როდესაც მისი გამოცემის ფაქტობრივი ან სამართლებრივი საფუძვლები შეიცვლება, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას, გამოსცეს ასეთი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ეს პრინციპი გამოიყენება, განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ზღუდავს პიროვნების ძირითად უფლებებს და თავისუფლებებს და სამართლებრივი ან ფაქტობრივი საფუძვლების შეცვლით ასეთი შეზღუდვის საფუძვლები აღარ არსებობს. კანონიერების პრინციპი მოითხოვს ასეთი „უკანონოდ ქცეული“ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებას. ეს არ ეწინააღმდეგება სამართლებრივი ურთიერთობის სტაბილურობის პრინციპს, რამდენადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესასრულებლად სავალდებულო ძალა მისი გამოცემის მომენტს უკავშირდება და არ მოიცავს და არც შეუძლია მოიცვას სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძლების შემდგომი შეცვლა. ეს ხდება კიდევ უფრო ნათელი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ შემდგომში მომხდარი ცვლილებების უფლების დაცვის საშუალების (საჩივარი, სარჩე-

ლი) გამოყენების ვადებში მოქცევა შეუძლებელია.

დასკვნითი თეზისები:

- ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც აშკარად და არსებითად ეწინააღმდეგება კანონს (სზაკ-ის მე-60 მუხლში მოცემული საფუძვლებით), არ იძენს შესასრულებლად სავალდებულო ძალას. ის იწოდება, როგორც არარა აქტი.
- უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (სზაკ-ის მე - 60[1] მუხლში მოცემული საფუძვლებით) იძენს შესასრულებლად სავალდებულო ძალას, მაგრამ შესაძლებელია მისი გასაჩივრება და გაუქმება.
- კანონიერი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება შესაძლებელია მხოლოდ 61-ე მუხლით განსაზღვრული საფუძვლებით.
- შესაძლებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დროს დაშვებული შეცდომების გასწორება (სზაკ-ის 59-ე მუხლი).
- ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გასაჩივრების უფლების (მისამართი და საჩივრის (ან სარჩელის) წარდგენის ვადა) შესახებ მითითების გარეშე აქტის გამოცემა არ იწვევს მის უკანონობას, არამედ მოქმედებს გასაჩივრების ვადებზე ადრესატის სასარგებლოდ.

7. უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებები

ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმის სწორი კვალიფიკაციის საპროცესო სამართლებრივი მნიშვნელობა იმაში ვლინდება, რომ ის აუცილებელი წინაპირობაა უფლების დაცვის სწორი ფორმის განსაზღვრისთვის. მმართველობითი ღონისძიების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმით განხორციელებისას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს უფლების

დაცვის სამართლებრივ საშუალებას – სარჩელს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით. თუ დაინტერესებული მხარის მიზანია, მმართველობითი ღონისძიება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმით განხორციელდეს, ის უფლებამოსილია, აღძრას სარჩელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით.

სასკ-ის 22-ე – 25-ე და 32-ე – 33[1] მუხლები ამკვიდრებს სასამართლოში საქმის წარმოების თანამედროვე მოდელს. სამართალწარმოების პროცესში მოსამართლემ, პირველ რიგში, უნდა დაადგინოს სარჩელის დასაშვებობის საკითხი. თუ სარჩელი დასაშვებია, სასამართლომ უნდა დაადგინოს სარჩელის დასაბუთებულობა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება გამწესრიგებელი სხდომის ინსტიტუტის შემოტანა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში. სასკ-ის 26[2] მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებიდან ორი კვირის ვადაში გამწესრიგებელ სხდომაზე სასამართლო განიხილავს სასკ-ის 22-25 მუხლებით გათვალისწინებულ სარჩელის დასაშვებობის საკითხს.

- სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით (სასკ-ის 22-ე მუხლი) **დასაშვებია**, თუ:
  - სარჩელის მიზანია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა ან ძალადაკარგულად გამოცხადება;
  - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩლის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებებს;
  - დაცულია გასაჩივრების ვადები.
- სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით **დასაბუთებულია (სასკ-ის 32-ე მუხლი)**, თუ:
  - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონსაწინააღმდეგოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩლის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებებს.
- სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე (სასკ-ის 23-ე მუხლი) **დასაშვებია**, თუ:
  - სარჩელის მიზანია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი

აქტის გამოცემა;
- ადმინისტრაციული ორგანოს უარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩლის კანონიერ უფლებას ან ინტერესს;
- დაცულია გასაჩივრების ვადები.

➢ სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე **დასაბუთებულია (სასკ-ის 33-ე მუხლი)**, თუ:
- ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარი კანონსაწინააღმდეგოა ან დარღვეულია მისი გამოცემის ვადა და ეს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩლის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

სასკ-ის 25-ე მუხლში შეტანილი დამატება განაპირობა სზაკ-ში შეტანილმა ცვლილებამ, კერძოდ, მე-60 მუხლი ადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად ცნობის საფუძვლებს, ხოლო საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლი დაინტერესებულ მხარეს აძლევს შესაძლებლობას, აღძრას სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების მოთხოვნით. 22-ე მუხლით განსაზღვრული ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით სარჩელთან შედარებით სასკ-ის 25-ე მუხლით განსაზღვრული აღიარებითი სარჩელის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მასზე კოდექსი არ ადგენს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადას.

➢ აღიარებითი სარჩელი (სასკ-ის 25-ე მუხლი) **დასაშვებია**, თუ:
- სარჩელის მიზანია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარება;
- მოსარჩლეს არ შეუძლია, აღძრას სარჩელი სასკ-ის 22-24 - ე მუხლების საფუძველზე.

➢ აღიარებითი სარჩელი **დასაბუთებულია**, თუ:
- დადგინდა სზაკ-ის მე-60 მუხლით განსაზღვრული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად ცნობის ერთ-ერთი საფუძვლის არსებობა;
- თუ მოსარჩლეს აქვს სადავო აქტის არარა აქტად ცნობის კანონიერი ინტერესი.

№39 სავარჯიშოს პასუხი: ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის ახალ ინსტიტუტს ჩაეყარა საფუძველი სასკ-ის 32-ე მუხლის III ნაწილის ახალი რედაქციით. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისი ბათილად ცნობის მხარე უფლებამოსილია, მოითხოვოს ამ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სასამართლოს მიერ ბათილად ცნობა. სასამართლო უფლებამოსილია, გააგრძელოს პროცესი და ცნოს ეს აქტი ბათილად იმ შემთხვევაში, თუ მასზე მხარის კანონიერი ინტერესი არსებობს. ასეთი ინტერესი არსებობს, როდესაც:

1. შესაძლებელია, განმეორდეს იგივე მმართველობითი ღონისძიება (მაგ., პირს არ მისცეს ნებართვა, რუსთაველის პროსპექტზე გამართულ ყოველკვირეულ ზეიმზე გამოეფინა საკუთარი პროდუქცია, და არსებობს იმისი ვარაუდის საფუძველი, რომ მას მომავალ ზეიმზეც იმავე საფუძვლებით უარს ეტყვიან ღონისძიებაში მონაწილეობის მიღებაზე.)
2. ეს გამართლებულია რეაბილიტაციის ინტერესებიდან გამომდინარე. ეს ის შემთხვევაა, როდესაც აქტის შედეგები მისი ბათილად გამოცხადების შემდეგაც გრძელდება (მაგ. დემონსტრაციის დარბევის შედეგად დაზარალებული პირი გადის აუცილებელი მკურნალობის პროცესს საავადმყოფოში);
3. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მიზანია მასზე დაყრდნობით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელის წარდგენა.

სასკ-ის 22-ე მუხლის III ნაწილში შეტანილი ცვლილების თანახმად, სარჩელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე სასამართლოს უნდა წარედგინოს აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. აქამდე მოქმედი ექვსთვიანი ვადა იწვევდა აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატის უფლებების გაუმართლებელ შეზღუდვას. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ პირს გასაჩივრების ვადებში არ წარმოეშობა ამ აქტის მიმართ კანონიერი ნდობის უფლება, არამედ ის ვალდებულია (იძულებულია), 6 თვე ელოდოს

აქტის გასაჩივრებას, რაც გამოიწვევს მისი მოქმედების შეჩერებას, გასაგები გახდება კოდექსში შეტანილი ამ ცვლილების მიზანშეწონილობა. ვერ გავიზიარებთ საწინააღმდეგო არგუმენტს, რომ ადრესატის ან მესამე პირებისთვის ამკრძალავი ხასიათის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შემთხვევაში ისინი ვერ შეძლებენ მათი უფლებების სათანადო დაცვას გასაჩივრების ვადების სიმცირის გამო – ვითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება არა აქტის გამოცემის, არამედ პირისთვის გაცნობის დღიდან და სავსებით საკმარისად მიგვაჩნია გასაჩივრების ერთთვიანი ვადა.

თუ კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სასამართლოს უნდა წარედგინოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

§2 ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი

***საკონტროლო შეკითხვები და სავარჯიშოები**

(40) განსაზღვრეთ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნების ელემენტები.

(41) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნების რომელი ელემენტი მიჯნავს მას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-ამართლებრივი აქტისგან?

(42) განსაზღვრეთ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური და მატერიალური კანონიერების კრიტერიუმები.

(43) განსაზღვრეთ არარა და უკანონო ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებები.

(44) სავარჯიშო: ბორჯომის რაიონის საკრებულოს გადაწყვეტილებით შემოღებულია ადგილობრივი გადასახადი – საკურორტო გადასახადი, რომლის გადამხდელი სუბიექტია ყველა არაადგილობრივი ავტომანქანის მფლობელი, რომელიც შევა ბორჯომის რაიონის ტერიტორიაზე. ჩარიცხული თანხები მიიმართება ადგილობრივ ბიუჯეტში გზებისა და საკურორტო ცენტრების კეთილმოსაწყობად. საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამო-

ქვეყნდა ადგილობრივ პრესაში. შეაფასეთ, საკრებულოს გადაწყვეტილება ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით აკმაყოფილებს თუ არა სზაკ-ით განსაზღვრულ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნების ელემენტებს.

1. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნება

ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი ფორმა, რომელიც კანონის საფუძველზე და მისი აღსრულების მიზნით მიმართულია პირთა განუსაზღვრელ წრეზე და ადგენს მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის I ნაწილის „ე" ქვეპუნქტის თანახმად, **ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს.**

ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნების ძირითადი ელემენტებია:

- უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო;
- საკანონმდებლო აქტის საფუძველზე;
- ქცევის ზოგადი წესი.

ა. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო. კანონშემოქმედება – ეს არის ქვეყნის საკანონმდებლო ხელისუფლების ფუნქცია. დაუშვებელია საკანონმდებლო ორგანოს მიერ საკუთარი ფუნქციების შესრულებაზე უარის თქმა და უფლებამოსილებათა სხვა სახელმწიფო ორგანოზე გადაცემა. რამდენადაც საკანონმდებლო ხელისუფლებას ძალა არ შესწევს, უზრუნველყოს ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა საკითხის ნორმატიული მოწესრიგება, ნორმათშემოქმედება მოითხოვს სამუშაოს გაყოფას საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს შორის. კანონმდებელი ვალდებულია, კანონის გამოცემის გზით თვითონ მოაწეს-

რიგოს მნიშვნელოვანი საკითხების ნორმატიული სფერო და სპეციფიკური და წვრილმანი საკითხების მოწესრიგების პრეროგატივა დაუტოვოს მმართველობის ორგანოებს. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლებამოსილებით მმართველობის ორგანოების აღჭურვის მიზანია, ხელი შეეწყოს საკანონმდებლო ორგანოს ეფექტურობას; სპეციფიკური და წვრილმანი საკითხების მოწესრიგებისგან გამონთავისუფლება კანონმდებელს შესაძლებლობას აძლევს, სრულყოფილად მოაწესრიგოს ქვეყნის საშინაო ცხოვრებისა და საგარეო ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისთვის უფლებამოსილი ორგანო განისაზღვრება იმ კანონით, რომელიც შესაბამის ორგანოებს აღჭურავს ასეთი აქტის გამოცემის უფლებამოსილებით. შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოსთვის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მინიჭებული ადმინისტრაციული ნორმათშემოქმედების უფლება მისი კომპეტენციის უმნიშვნელოვანესი ელემენტიც არის, ვინაიდან აღმასრულებელი ხელისუფლების ძირითადი ფუნქციაა სამართალგამოყენებითი, ნორმაშეფარდებითი საქმიანობა. ადმინისტრაციული ორგანოების ნორმაშემოქმედებითი ხასიათის საქმიანობა მხოლოდ ამ მიზანს ემსახურება და ამ ფუნქციით არის დეტერმინირებული. ამდენად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ნორმებს ორგვარი – სამართალგამოყენებითი და სამართალდამდგენი – იურიდიული დატვირთვა აქვს; ეს ნორმები ემსახურება სამართალგამოყენების, ანუ აღსრულების მიზანს, რის გამოც, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტები გამოიცემა კანონის აღსრულების მიზნით, ანუ ისინი კანონქვემდებარე აქტებია.

ბ. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საკანონმდებლო საფუძვლები. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლებამოსილების ზოგადი სამართლებრივი საფუძვლები ჩადებულია საქართველოს კონსტიტუციაში, საქართველოს კანონში „ნორმატიული აქტების შესახებ“ და საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში. ასევე, ცალკეული კანონები შეიცავს სპეციალურ მითითებას, რომ კონკრეტული მმართველობის ორგანო აღჭურვილია, ამავე კანონის საფუძველზე გამოსცეს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. საკანონმდებლო აქტის საფუძველზე ნორმატიული ადმინის-

ტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ თვით ამ კანონში განისაზღვროს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლებამოსილების „შინაარსი, მიზანი და მოცულობა". ე.ი., თვითონ კანონმდებელმა უნდა განსაზღვროს მომავალში ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით განხორციელებული სამართლებრივი მოწესრიგების ჩარჩოები და მიმართულებები ისე, რომ მმართველობის ორგანოს შეეძლოს კანონმდებლის ნების ფარგლებში და შესაბამისად მოქმედება.

გ. ქცევის ზოგადი წესი. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნების ეს ელემენტი მას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისგან მიჯნავს. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადგენს ქცევის ზოგად წესს, რომელიც მიმართულია მისი გამოცემის დროს განუსაზღვრელად ბევრი სახის ურთიერთობების განუსაზღვრელი რაოდენობის მონაწილეებისკენ.

№44 სავარჯიშოს პასუხი: გვაქვს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი: 1. ბორჯომის რაიონის საკრებულო, რომელსაც საგადასახადო კოდექსისა და „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" ორგანული კანონის საფუძველზე აქვს ნორმათშემოქმედებითი ფუნქცია, არის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო; 2. ღონისძიება განხორციელებულია საკანონმდებლო აქტის – საგადასახადო კოდექსის საფუძველზე, რომლის თანახმადაც ადგილობრივ გადასახადებს ადგენენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები; 3. საკრებულოს გადაწყვეტილებით დადგინდა ქცევის ზოგადი წესი – გადასახადის სახე, ოდენობა და გადახდის წესი, რომელიც მიმართულია განუსაზღვრელი რაოდენობის პირებისადმი.

2. ადმინისტრაციული წარმოება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით

ადმინისტრაციული წარმოება ნორმატიული აქტის გამოსაცემად დაიწყება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს აღჭურავს ნორმატიული

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლებამოსილებით. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლებამოსილების დამდგენი კანონი შეიძლება იქცეს დაინტერესებული ფიზიკური ან იურიდიული პირის, ან ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნის საფუძვლად.

უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს წერილობით და წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

ადმინისტრაციული წარმოება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით შესაძლებელია დაიყოს შემდეგ სტადიებად:

– გადაწყვეტილება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ (სზაკ-ის 211-ე მუხლი);

– ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება (სზაკ-ის 212-ე მუხლი);


– ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის გამოქვეყნება (სზაკ-ის 213-ე მუხლი);

– ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებული მოსაზრებების განხილვა (სზაკ-ის 216-ე მუხლი);

– ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღება;

– ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნება.

3. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება



3.1. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერება

ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერების კრიტერიუმებია:

ა. უფლებამოსილება. ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოცემს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო განისაზღვრება იმ კანონით, რომელიც საფუძვლად უდევს კონკრეტულ ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. კანონი განსაზღვრავს როგორც კონკრეტული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლებამოსილების შინაარსს,

მიზანს და მოცულობას, ისე ამ უფლებამოსილების განმახორციელებელ კონკრეტულ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ბ. ადმინისტრაციული წარმოების სახე. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების გზით (სზაკ-ის IX თავი). ამასთან, გასათვალისწინებელია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XV თავში თავმოყრილი ნორმები (210 – 217 მუხლები), რომლებიც მოიცავს დამატებით წესებს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან მიმართებაში. ასევე აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული წარმოების ზოგადი დებულებები, რომლებიც მოცემულია კოდექსის VI თავში, გამოიყენება ყველა სახის ადმინისტრაციული წარმოების დროს და, მათ შორის, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის პროცესში.

გ. ფორმა. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა წერილობითი ფორმით და ის უნდა აკმაყოფილებდეს სზაკ-ის 52-ე - 53-ე მუხლების მოთხოვნებს.

სზაკ-ის 52[1] მუხლის თანახმად, თითოეულ ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს უნდა ჰქონდეს შემდეგი რეკვიზიტები:

ა) ნორმატიული აქტის სახე;
ბ) ნორმატიული აქტის სათაური;
გ) ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) თარიღი და ადგილი (თუ ნორმატიულ აქტში შეტანილია ცვლილება ან დამატება, მათი შეტანის თარიღიც);
დ) ნორმატიული აქტის ძალაში შესვლის თარიღი და აქტის მოქმედების ვადა (თუ განსაზღვრული ვადით არის მიღებული);
ე) უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა;
ვ) ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანოს მიერ მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი და – ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში შეტანის შემდეგ – სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი.

დ. გამოქვეყნება. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობის სახეა მისი საჯაროდ გამოქვეყნება. ის უნდა გამოქვეყნდეს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საჯარო გამოქვეყნება მისი ძალაში შესვლის აუცილებელი წინა-

პირობაა.

ე. რეგისტრაცია. ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 54-ე მუხლის თანახმად, ნორმატიული აქტის გამომცემი ყველა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანო ვალდებულია, უფლებამოსილი თანამდებობის პირის ნორმატიული აქტის ხელმოწერიდან 10 დღის ვადაში გადასცეს იგი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, რომელსაც ნორმატიული აქტი მიღებიდან 2 დღის ვადაში შეაქვს სახელმწიფო რეესტრში და ანიჭებს სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდს.

3.2. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერება

ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოცემს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში. გარდა ამ სპეციალური ნორმისა, ის არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციის ნორმებს და ქვეყანაში მოქმედ სხვა საკანონმდებლო აქტებს. აქედან გამომდინარე, როდესაც ხდება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების გადასინჯვა, მოწმდება არა მარტო მისი საკანონმდებლო საფუძვლების არსებობა, არამედ ამ სამართლებრივი საფუძვლების კონსტიტუციასთან, განსაკუთრებით, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების განმსაზღვრელ ნორმებთან შესაბამისობა.

უკანონო ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია და არა აქვს შესასრულებლად სავალდებულო ძალა. ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე გამოცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, უფლებამოსილი არ არის, თავის გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდოს კანონსაწინააღმდეგო ნორმატიული აქტი. ადმინისტრაციული ორგანო\საჯარო მოხელე პერსონალურად აგებს პასუხს მის მიერ განხორციელებულ ღონისძიებაზე. ე.ი., უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე ის პირადად არის პასუხისმგებელი. გამომდინარე აქედან, ის ვალდებულია, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს აცნობოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის უკანონობაზე. ზემდგომი ადმინისტრაცი-

ული ორგანოს მიერ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების მოთხოვნის შემთხვევაში მის კანონიერებას ადგენს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.

ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების კრიტერიუმები:

- **არსებობს თუ არა მისი გამოცემის საკანონმდებლო საფუძველი;**
- **დაცულია თუ არა მისი გამოცემისთვის კანონით განსაზღვრული ფორმალური მოთხოვნები;**
- **შეესაბამება თუ არა მის საკანონმდებლო საფუძვლებს შინაარსობრივად;**
- **ხომ არ ეწინააღმდეგება იერარქიულად მის ზემდგომ სამართლებრივ ნორმას;**
- **დაცულია თუ არა დისკრეციული უფლებამოსილების პრინციპი (როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება).**

4. უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებები

ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ არის მიმართული პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისკენ. მიუხედავად ამისა, მთელ რიგ შემთხვევებში ის იძენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბუნებას და პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს პირს (ან პირთა შეზღუდულ წრეს) ან უკანონოდ ზღუდავს მას. ასეთ შემთხვევაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი დაინტერესებულ პირს აძლევს შესაძლებლობას, შეიტანოს სარჩელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის არარა აქტად ცნობის ან ბათილად, ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით. სზაკ-ის მე-60 მუხლი განსაზღვრავს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად ცნობის საფუძვლებს, რაც შეიძლება გახდეს სასკ-ის 24-ე მუხლით განსაზღვრული აღიარებითი სარჩელის შეტანის საფუძველი. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები მოცემულია სზაკ-ის მე-60 მუხლში, ხოლო სზაკ-ის 61-ე მუხ-

ლი ადგენს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების წინაპირობებს, რაც, სასკის 22-ე მუხლის შესაბამისად, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის საფუძველია.

სარჩელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სასამართლოს უნდა წარედგინოს უშუალო ზიანის მიყენებიდან 3 თვის ვადაში.

§3. რეალაქტი

***საკონტროლო შეკითხვები და სავარჯიშოები**

(45) ჩამოაყალიბეთ რეალაქტის ცნება და გამოვლენის ფორმები;

(46) ჩამოაყალიბეთ რეალაქტის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები;

(47) განსაზღვრეთ რეალაქტისგან პირის უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებები;

(48) სავარჯიშო: პირმა განცხადებით მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს და მოითხოვა საჯარო ინფორმაციის გაცემა. ადმინისტრაციულმა ორგანომ გამოსცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ, სადაც ასაბუთებს მოქმედების განხორციელებაზე უარის მართლზომიერებას.

– რა შეიძლება ამ შემთხვევაში იქცეს ადმინისტრაციული საჩივრის საგნად – მოქმედების განხორციელების მოთხოვნა თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების მოთხოვნა?

– რომელი ფორმულირებაა მისაღები: სარჩელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების მოთხოვნით თუ სარჩელი მოქმედების განხორციელების მოთხოვნით?

(49) სავარჯიშო: საფინანსო პილიციის უფროსის ბრძანებით რესტორან „ნიკალაში“ შემოწმების მიზნით შევიდნენ ნიღბიანი შეიარაღებული პოლიციელები, რამაც შეაფერხა რესტორნის მუშაობა. რესტორნის მეპატრონე ითხოვს სახელმწიფოს მხრი-

დან ზიანის ანაზღაურებას იმ მოსაზრებით, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედებით გამოწვეული უფლების შეზღუდვა არ იყო პროპორციულ, თანაზომიერ დამოკიდებულებაში შეზღუდვის მიზანთან. შეაფასეთ რესტორნის მეპატრონის მიერ შერჩეული უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალება.

1. რეალაქტის ცნება

რეალაქტი (დე ფაქტო მოქმედება, რეალური მოქმედება, უბრალო მმართველობითი საქმიანობა) – ეს არის ადმინისტრაციული ორგანოს ისეთი საჯაროსამართლებრივი ღონისძიება, რომელიც მიმართულია არა სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისკენ, არამედ ფაქტობრივი შედეგების დადგომისკენ. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ რეალურ მოქმედებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია რამდენიმე მათგანის ჩამოთვლა: მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგება, ქუჩების შეკეთება და დასუფთავება, პენსიების დარიგება და ა.შ.

რეალაქტი, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ერთ-ერთი ფორმა, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცალკე არ არის გამოყოფილი. კოდექსი ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების გასაჩივრების შესაძლებლობას (სზაკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილი). ასევე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი სრულყოფილად ადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული რეალური მოქმედებისგან პირის უფლებისა და კანონიერი ინტერესის დაცვის სამართლებრივ საშუალებებს (სასკ-ის 24-ე მუხლი: სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე). ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედების განხორციელების უფლებამოსილება ჩადებულია სპეციალურ კანონებში. მაგ., პოლიციის მიერ პირის პერსონალური მონაცემების მოპოვებისა და დამუშავების მიზნით განხორციელებულ მოქმედებას აწესრიგებს საპოლიციო სამართლის სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტები.

2. რეალაქტის გამოვლენის ფორმები

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული რე-

ალური მოქმედება შეიძლება გამოვლინდეს როგორც ორგანიზაციის შიგნით, ასევე მის გარეთ. შიდაორგანიზაციულ რეალაქტთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც მისი ფაქტობრივი შედეგები არ სცილდება ამ ორგანიზაციის ფარგლებს. ასეთ შემთხვევას მიეკუთვნება, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს მუშაკი:

- ადგენს დოკუმენტებს და ასრულებს სხვა წერით სამუშაოებს;
- ამზადებს მუშაობისთვის საჭირო საშუალებებს;
- აწყობს თათბირებს;
- ახდენს დოკუმენტების და სხვა საქმიანი ქაღალდების სისტემატიზაციას და ა.შ.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული რეალაქტების დიდი ნაწილი მიმართულია ორგანიზაციის გარეთ ფაქტობრივი შედეგების დადგომისკენ. იურიდიულ ლიტერატურაში ხდება ორგანიზაციის გარეთ გამოვლენილი რეალაქტების ორ ჯგუფად სისტემატიზაცია: საინფორმაციო ხასიათის რეალაქტები (მოქალაქეებისთვის ახსნა-განმარტებების მიცემა; საჯარო გაფრთხილება მოსალოდნელი საშიშროების თავიდან ასაცილებლად; საჯარო წლიური მოხსენებები და ა.შ.) და ფაქტობრივი ქმედებები (ქუჩების შეკეთება, დასუფთავება; სკვერების მოწყობა; სოციალური ფულადი და მატერიალური დახმარებების გაცემა და ა.შ.).

ადმინისტრაციული რეალაქტის გამოვლენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა **საჯარო გაფრთხილება**. ეს ის შემთხვევებია, როდესაც მმართველობის ორგანო აკეთებს საჯარო განცხადებას და აფრთხილებს მოსახლეობას ბუნების მოვლენების (დიდთოვლობა, წყალდიდობა) შედეგად მოსალოდნელ უარყოფით შედეგებზე (მეწყერი, სასმელი წყლის დაბინძურება, ელექტროენერგიის მიწოდების შეფერხება და ა.შ.) ან კონკრეტული სოფლის მეურნეობის პროდუქტის, კონკრეტული წარმოშობის საკვების ვარგისიანობაზე (უხარისხო ბულგარული ქათმის ბარკლების არალეგალური შემოსვლა და ჯანმრთელობისთვის შესაძლო მავნე შედეგები). საჯარო გაფრთხილების კლასიკური მაგალითია სიგარეტის კოლოფზე ჯანდაცვის სამინისტროს გაფრთხილება სიგარეტის მოწევის მავნე შედეგებზე.

საჯარო გაფრთხილების შედეგების ხასიათი დამოკიდებულია განცხადების გაკეთების ფორმაზე, დაცვის ობიექტის მნიშვნელობაზე, საშიშროების ხასიათზე, საინფორმაციო საშუალებებისა და

მოსახლეობის რეაქციაზე და ა.შ. მაგალითად, ჯანდაცვის სამინისტროს გაფრთხილებას თამბაქოს მოწევის მავნე შედეგებზე თითქმის არავინ აქცევს ყურადღებას, მაგრამ კონკრეტული კვების პროდუქტების ვარგისიანობაზე ინფორმაცია მოსახლეობის სწრაფ რეაქციას იწვევს; მცირდება ან თითქმის წყდება ამ პროდუქტის რეალიზაცია, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ამ საწარმოს ბიზნესინტერესებზე. ამ ინფორმაციით სარგებლობენ ასევე ამ ფირმის კონკურენტი მეწარმეები.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული საჯარო გაფრთხილებისა (რეალაქტი) და აკრძალვის (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) შედარება ნათლად წარმოაჩენს საჯარო გაფრთხილების ნაკლებ სამართლებრივ მნიშვნელობას, თუმცა შესაძლებელია, ორივე შემთხვევაში მსგავს შედეგებთან გვქონდეს საქმე. მაგ., როდესაც ადმინისტრაციული ორგანო აფრთხილებს მოსახლეობას კონკრეტული საკვები პროდუქტის ჯანმრთელობისთვის საშიშ შედეგებზე, ეს იწვევს არა მარტო ამ კონკრეტული პროდუქტის რეალიზაციის შეწყვეტას, რაც მეწარმისთვის ამ პროდუქტის წარმოების აკრძალვის ტოლფასია, არამედ ეს საწარმო მოსახლეობაში კარგავს რეპუტაციას და ეჭვქვეშ დგება მის მიერ სარეალიზაციოდ გამოტანილი სხვა პროდუქტებიც. გამომდინარე აქედან, შეიძლება ითქვას, რომ აკრძალვის შედეგები უფრო ვიწროა, ვიდრე საჯარო გაფრთხილებისა, რამდენადაც აკრძალვა ერთ კონკრეტულ პროდუქტს მოიცავს, ხოლო გაფრთხილების შემთხვევაში ის გავლენას ახდენს პროდუქციის დამზადება-რეალიზაციის პროცესზე მთლიანად.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული საჯარო გაფრთხილების კანონიერების დასადგენად უნდა შემოწმდეს ამ ღონისძიების:

1. დასაშვებობა,
2. სამართლებრივი საფუძვლები,
3. კონსტიტუციასთან, განსაკუთრებით პიროვნების ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან, შესაბამისობა.

3. რეალაქტის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რეალაქტის განხორციელების სამართლებრივ საფუძველს შეიძლება ქმნიდეს კონკრეტული

კანონი, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. აღმჭურველი ხასიათის რეალაქტი, ასევე, შესაძლებელია, განხორციელდეს კონკრეტული ნორმატიული საფუძვლების გარეშეც.

ღონისძიება, რომელსაც ადმინისტრაციული ორგანო ახორციელებს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში და მიმართულია კონკრეტული ფაქტობრივი მიზნის მისაღწევად, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ქვეყანაში მოქმედ სამართლის ნორმებს. ადმინისტრაციული რეალაქტი ისე, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, არის კანონსაწინააღმდეგო, როდესაც მას ახორციელებს ტერიტორიულად ან საგნობრივად არაუფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო ან როდესაც ის უკანონოდ ზღუდავს პირის ძირითად კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს.

4. უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებები

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რეალაქტის განხორციელებით ან განუხორციელებლობით პირის სუბიექტური უფლებების ხელყოფის შემთხვევაში იგი უფლებამოსილია, საჩივრით მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ან შეიტანოს სარჩელი სასამართლოში და მოითხოვოს მოქმედება ან მოქმედებისგან თავის შეკავება.

უფლების დაცვის სწორი სამართლებრივი საშუალების შერჩევა დამოკიდებულია ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ფორმის სწორ სამართლებრივ შეფასებაზე. მაგ., მოქალაქე პეტრიაშვილმა განცხადებით მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს და ითხოვს იქ არსებული საჯარო ინფორმაციის გაცემას. ე.ი., განმცხადებელი ითხოვს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან რეალაქტის (საჯარო ინფორმაციის გაცემა) განხორციელებას. თუ ადმინისტრაციული ორგანო არ გასცემს საჯარო ინფორმაციას, ანუ არ განახორციელებს რეალურ მოქმედებას, განმცხადებელს შესაძლებლობა ეძლევა, სზაკ-ის 177-ე მუხლის 3 ნაწილის თანახმად საჩივრით მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ან სასკ-ის 24-ე მუხლის საფუძველზე შეიტანოს სარჩელი სასამართლოში ქმედების განხორციელების მოთხოვნით.

- სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე (სასკ-ის 24-ე მუხლი) **დასაშვებია**, თუ

- სარჩელის მიზანია ისეთი ქმედების განხორციელება ან ისეთი ქმედებისგან თავის შეკავება, რომელიც არ გულისხმობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას;
- ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი მოქმედების განხორციელებაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს;

➢ სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე **დასაბუთებულია (სასკ-ის 33[1]-ე მუხლი)**, თუ

- ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს;

***№48 სავარჯიშოს პასუხი:**

პირმა სასამართლოში უნდა შეიტანოს სარჩელი მოქმედების განხორციელების მოთხოვნით. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის გაცემაზე უარი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმით გამოიცა, სარჩელი მისი გაუქმების მოთხოვნით არ მოგვცემს სასურველ შედეგს. პირის მიზანია, ადმინისტრაციულმა ორგანომ განახორციელოს მოქმედება (გასცეს ინფორმაცია). სარჩელი მოქმედების განხორციელების მოთხოვნით ასევე მოიცავს უარის (უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის) გაუქმების მოთხოვნას.

***№49 სავარჯიშოს პასუხი:**

რესტორან „ნიკალას“ მეპატრონის სარჩელი ზიანის ანაზღაურებაზე არის დაუშვებელი. მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებაში უნდა დააყენოს მოთხოვნა ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედების უკანონობის აღიარების შესახებ (აღიარებითი სარჩელი). როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედება დამთავრებულია და მის ადრესატს მიაჩნია, რომ ამ მოქმედების განხორციელებით შეიზღუდა მისი სუბიექტური უფლება, აღიარებითი სარჩელი მას აძლევს შესაძლებლობას, მოითხოვოს უკვე დასრულებული მოქმედების უკანონობის აღიარება, რაც შეიძლება გახდეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი.

§ 4 ადმინისტრაციული ხელშეკრულება

***საკონტროლო შეკითხვები და სავარჯიშოები:**

(50) რომელი საკანონმდებლო აქტი ახდენს ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნების დეფინიციას? ჩამოაყალიბეთ ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნება.

(51) რა შემთხვევაშია ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი, დადოს ადმინისტრაციული ხელშეკრულება?

(52) რა ნიშანი განასხვავებს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულებისგან?

(53) როგორია ადმინისტრაციული ხელშეკრულების უკანონობის სამართლებრივი შედეგები?

(54) როგორ წესრიგდება ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილობის საკითხი?

(55) როგორია ადმინისტრაციული ხელშეკრულების დარღვევასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების სასამართლოს გზით განხილვის მექანიზმი?

(56) სავარჯიშო: კახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულება დადო გერმანიის ბავარიის მიწის მთავრობის მეთაურთან. ხელშეკრულება მოიცავდა ბიზნეს-პროექტების განხორციელების ხელშეწყობას ტურიზმის, მევენახეობის, მეცხოველეობის, მსუბუქი მრეწველობის, კულტურის სფეროში და ითვალისწინებდა ექსპორტ-იმპორტის წახალისებისა და განვითარების ღონისძიებებს.

ამ ხელშეკრულების საფუძველზე კახეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულმა გამოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბავარიისა და კახეთის რეგიონებს შორის დადებული ხელშეკრულების შესრულების ღონისძიებების, გეგმების დასახვის თაობაზე, რომლითაც განისაზღვრა კონკრეტულ სუბიექტთა, მათ შორის მმართველობის ადგილობრივი ორგანოების, საგანმანათლებლო და სპორტული დაწესებულებების, ფერმერებისა და ბიზნეს-სექტორის ჯგუფების გარკვეული უფლება-მოვალეობები. აქტის შესრულების მიზნით რწმუნებულმა გამოაცხადა ტენდერები საუკეთესო სპორტული დაწესებულების, საუკეთესო ღვინის მწარმოებლის, მატყლის საუკეთესო ნაწარმის და სხვ. გამოსავლენად.

ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდნენ სხვადასხვა დაწესებულებები და ფირმები, სულ 15 სუბიექტი.

გამარჯვებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან დაიდო ხელშეკრულებები. ერთი თვის შემდეგ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის გამო 2 სუბიექტს რწმუნებულის გადაწყვეტილებით გაუუქმდა ხელშეკრულებები.

– განსაზღვრეთ რწმუნებულის მიერ განხორციელებული თითოეული ღონისძიების სამართლებრივი ფორმა;

– შეაფასეთ ტენდერში გამარჯვებულ 2 სუბიექტთან დადებული ხელშეკრულების ფორმალური და მატერიალური საფუძვლები;

– განსაზღვრეთ ხელშეკრულების გაუქმების მართლზომიერება და მატერიალური საფუძვლები.

(57) სავარჯიშო: ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ 2004 წელს ნასყიდობის ხელშეკრულებით ჟინვალჰესი მიჰყიდა შპს „თიანეთს“, რაზეც გასცა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა. ამავე დროს, 2002 წლიდან სამინისტროს შპს „ენერგიასთან“ დადებული ჰქონდა იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულება 10 წლის ვადით. შპს „ენერგიამ“ გაასაჩივრა შპს „თიანეთთან“ დადებული ხელშეკრულება.

– რა სახის ხელშეკრულება იყო დადებული შპს „ენერგიასთან“?

– რა სახის ხელშეკრულება დაიდო შპს „თიანეთთან“? შეაფასეთ მისი მართლზომიერება.

(58) სავარჯიშო: კულტურის სამინისტრომ ნასყიდობის ხელშეკრულებით სახელმწიფო ქონება – თბილისის ოპერა საკუთრებაში გადასცა კომპანია „არტკულტურას“ 50 მილიონი ლარის საფასურად, მასვე იჯარა-გამოსყიდვის უფლებით საგამოფენო დარბაზის მოსაწყობად გადასცა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის I სართული. კომპანიამ გადაიხადა შესაბამისი თანხა და განახორციელა 5 მილიონი ლარის ინვესტიცია.

– რა სახის ხელშეკრულება დაიდო მხარეებს შორის?

– შეაფასეთ ხელშეკრულების ფორმალური და მატერიალური კანონიერება.

(59) სავარჯიშო: საქართველოს პარლამენტის სამეურნეო დე-


პარტამენტმა ხელშეკრულება დადო შპს „კოკა-კოლასთან“ პარლამენტისთვის კოკა-კოლას მიწოდების თაობაზე. შეაფასეთ, რა სახის ხელშეკრულება დაიდო მხარეებს შორის.

(60) **სავარჯიშო:** საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ხელშეკრულება დადო კერძო ექსპერტიზის ბიუროსთან ანტიკრიმინალური ოპერაციების დროს ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღისთვის ბალისტიკური ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე კონკრეტული დანაშაულის ჩადენისას გამოყენებული იარაღის დადგენის მიზნით. შეაფასეთ, რა სახის ხელშეკრულება დაიდო მხარეებს შორის.

1. ადმინისტრაციული ხელშეკრულების საკანონმდებლო საფუძველი

ადმინისტრაციული ხელშეკრულების, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ერთ-ერთი საჯაროსამართლებრივი ფორმის, საკანონმდებლო საფუძველს ქმნის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. იგი აყალიბებს ადმინისტრაციული ხელშეკრულების ლეგალურ დეფინიციას (სზაკ-ის 2-ე მუხლის 1 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი) და მის მარეგულირებელ სპეციალურ ნორმებს კოდექსის V თავში (მუხლები 65 – 71) უყრის თავს. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას ასევე გამოიყენება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ადმინისტრაციული წარმოებისთვის VI თავით დადგენილი წესები და სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები (სზაკ-ის 65 მუხლის II ნაწილი; 70-ე მუხლის I ნაწილი).

2. ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნება



საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისი მე-2 მუხლის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად, **ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულება.**

ხელშეკრულება, როგორც სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტი, არის ორმხრივი (ან მრავალმხრივი) ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისკენ. ხელშეკრულება იდება მხარეების ურთიერთთანმხვედრი, საერთო მიზნისკენ მიმართული ნების გამოხატვის შედეგად. თუ არ არის ორმხრივი ნება, შესაბამისად, არ არის ადმინისტრაციული ხელშეკრულებაც.

როგორც ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნების ლეგალური დეფინიციიდან ირკვევა, მისი ერთ-ერთი სავალდებულო მხარეა ადმინისტრაციული ორგანო.

ადმინისტრაციული ორგანოს ცნება, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნების ელემენტი, და ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნების ელემენტი თავიანთი არსით იდენტურებია. ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციონალური გაგება („ნებისმიერი პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს"), რომელსაც აღიარებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, აერთიანებს როგორც ადმინისტრაციულ ორგანოებს ორგანიზაციულ-სამართლებრივი გაგებით, ასევე, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც არ არიან სახელმწიფო ორგანოთა სისტემის სუბიექტები, მაგრამ კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებებს და მის ჩარჩოებში დებენ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას.

ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას ვერ იმოქმედებს კერძო პირებისთვის დამახასიათებელი კერძო ავტონომიის თავისუფლებით, რამდენადაც მისი საქმიანობა მიმართულია საჯარო უფლებამოსილებების განსახორციელებლად და მოქმედებს მხოლოდ კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში.

ადმინისტრაციული და სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნას ემსახურება ადმინისტრაციული ხელშეკრულებ-

ის ცნების ლეგალურ დეფინიციაში მოცემული ელემენტი: „საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით".

ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას სხვა სახის ხელშეკრულებისგან მიჯნავს ხელშეკრულების საგანი.

3. ადმინისტრაციული ხელშეკრულების გამიჯვნა სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულებისგან

ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯარო-სამართლებრივი, ასევე, კერძოსამართლებრივი ფორმები. გამომდინარე აქედან, იბადება შეკითხვა – რა შემთხვევაში იძენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ხასიათს. ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემას საპროცესოსამართლებრივი მნიშვნელობა აქვს: ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შეცვლასთან ან შეწყვეტასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავებს განიხილავს და წყვეტს საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

ხელშეკრულების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი თუ სამოქალაქოსამართლებრივი ბუნება უნდა განისაზღვროს ობიექტურად. არ არის არსებითი ხელშეკრულების მხარეების სუბიექტური შეხედულება. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს უმეტეს შემთხვევაში კანონმდებლობით განსაზღვრული აქვს როგორც კომპეტენცია, ისე მისი განხორციელების სამართლებრივი საშუალება. ასეთ შემთხვევებში ის ნორმატიული აქტი, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს აღჭურავს ქმედების უფლებამოსილებით, გვაძლევს ინფორმაციას მისი საქმიანობის ფორმის სამართლებრივ ბუნებაზე, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოს მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება – შეარჩიოს ყველაზე მისაღები საქმიანობის ფორმა. მისი ნება განსაზღვრავს საქმიანობის ფორმის (ხელშეკრულების) სამართლებრივ ბუნებას (საქმიანობის სამართლებრივი ფორმის არჩევნის თავისუფლება).

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის I ნაწილის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად, ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს ხელშეკრულების მიზანი. არ არის არსებითი ხელშეკრულების მხარეების სამართლებრივი სტატუსი; ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი ან ორივე მხარე ადმინისტრაციული ორგანოა, არ გვაძლევს შესაძლებლობას, იგი ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად მივიჩნიოთ. შესაძლებელია, ორ ადმინისტრაციულ ორგანოს შორის დაიდოს სამოქალაქოსამართლებრივი

ხელშეკრულება.

ხელშეკრულების მიზანი უნდა განვსაზღვროთ მისი შინაარსიდან გამომდინარე. არსებითია იმის დადგენა თუ როგორია საქმის ფაქტობრივი გარემოებების, განსაკუთრებით, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ან დადგენილი მოთხოვნების სამართლებრივი ბუნება. ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასთან გვაქვს საქმე, როდესაც:

ა. ის ადმინისტრაციული სამართლის ნორმების შესრულებას ემსახურება;

ბ. ის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას შეიცავს;

გ. ის მოქალაქის საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებებს ან ვალდებულებებს ადგენს.

4. ადმინისტრაციული ხელშეკრულება და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი

ადმინისტრაციული ხელშეკრულება ისევე, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აწესებს, ცვლის ან წყვეტს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. მათი საერთო მახასიათებელია ის, რომ ორივე ადმინისტრაციული წარმოების პროდუქტია. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა და ადმინისტრაციული ხელშეკრულების განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული ორგანოს ცალმხრივი ნების გამოხატვის შედეგია, ხოლო ადმინისტრაციული ხელშეკრულება ორმხრივი ნების გამოვლენის აქტია. ამ განსხვავებას უკავშირდება ის თავისებურებები, რომლებიც ახასიათებს ამ ორ ინსტიტუტს მათ ამოქმედებასთან, კანონიერებასთან, ცვლილებების შეტანასთან, ბათილობასთან თუ აღსრულებასთან დაკავშირებით.

აუცილებელია ზღვარის გავლება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასა და იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს შორის, რომლის გამოცემაც დაინტერესებული პირის თანხმობას საჭიროებს. ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ამ ორ სამართლებრივ ფორმას ერთმანეთისგან მიჯნავს ის გარემოება, რომ ასეთი სახის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტიც ადმინისტრაციული ორგანოს ცალმხრივი ნების გამოვლენის შედეგია. პირის თანხმობის მოთხოვნის მიზანი არ


არის, ჩართოს ადრესატი გადაწყვეტილების მიღების პროცესში (რასაც ადგილი აქვს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების დროს), არამედ მიზნად ისახავს, ადრესატს ააცილოს ისეთი აღმჭურველი ხასიათის ღონისძიება, რომელიც მის სურვილს არ შეესაბამება. ადრესატის მხრიდან ნების გამოხატვა ადმინისტრაციული ხელშეკრულების არსებობის წინაპირობაა, ხოლო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შემთხვევაში კი მისი კანონიერების განმსაზღვრელი კრიტერიუმია. ადრესატის ნების გარეშე არა გვაქვს ადმინისტრაციული ხელშეკრულება, ხოლო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის გამოცემაც დაინტერესებული პირის თანხმობას საჭიროებს, შეიძლება გამოიცეს მისი ნების გაუთვალისწინებლად. ასეთი აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის უკანონო და შესაძლებელია მისი გასაჩივრება და გაუქმება (ასეთი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მაგალითებია სამსახურში დანიშვნა, უნივერსიტეტში ჩარიცხვა, სამეწარმეო საქმიანობის ნებართვა და ა.შ. ადრესატი ვალდებულია, დროულად გამოხატოს თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ამ აქტის მიმართ, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია, ამ აქტით მინიჭებულ პრივილეგიებთან ერთად მთელი რიგი ვალდებულებებიც წარმოიშვას).

ცალკეულ შემთხვევებში ძნელია იმის ცალსახად გარკვევა, რასთან გვაქვს საქმე – ეს ადმინისტრაციული ხელშეკრულებაა თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც საჭიროებს დაინტერესებული მხარის თანხმობას. არსებითია სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ნება, განსაკუთრებით ადმინისტრაციული ორგანოს ნება, რომელიც უნდა დადგინდეს ნების გამოხატვის ფორმით და ურთიერთობის ზოგადი შეფასებით. თუ ადრესატს შესაძლებლობა აქვს, ზეგავლენა მოახდინოს სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის განსაზღვრაზე, ეს მეტყველებს მმართველობის ორგანოს მხრიდან ღონისძიების ადმინისტრაციული ხელშეკრულების სახით განხორციელების ნებაზე, ხოლო, როდესაც ღონისძიების ადრესატს შესაძლებლობა ეძლევა, მხოლოდ (თანხმობაზე) უარის თქმით წინააღმდეგობა გაუწიოს ღონისძიების სამართლებრივ შედეგებს, უნდა ვივარაუდოთ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ნება.

შესაძლებელია, ადმინისტრაციული ორგანოს და მოქალაქის ნება არ ემთხვეოდეს ერთმანეთს. როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს მიზანია, დადოს ადმინისტრაციული ხელშეკრულება, ხოლო მოქალაქეს მისი ნება ისე ესმის, როგორც აღმჭურველი აქტის

გამოცემაზე მიმართული განცხადება, ასეთ შემთხვევაში არა გვაქვს არც ადმინისტრაციული ხელშეკრულება და არც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ამის საპირისპიროდ, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს მიზანია, გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო მოქალაქე მის მიერ გაცემულ თანხმობას აფასებს, როგორც ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებაზე თანხმობას, ასეთ შემთხვევაში არა გვაქვს ადმინისტრაციული ხელშეკრულება, მაგრამ გვაქვს (უკანონო) აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

5. ადმინისტრაციული ხელშეკრულების კანონიერება



5.1. ადმინისტრაციული ხელშეკრულების ფორმალური კანონიერება.

ა. ორმხრივი ნება. ადმინისტრაციული ხელშეკრულება იდება ორმხრივი, შინაარსობრივად თანმხვედრი ნების გამოვლენის შედეგად. ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ გაკეთებული შეთავაზება (ოფერტი) და მეორე მხარის მიერ გამოხატული თანხმობა (აქცეპტი) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების აუცილებელი წინაპირობებია.

მაგალითი: ადმინისტრაციული ორგანო მოქალაქეს გასაცნობად უგზავნის ხელშეკრულების ჯერ კიდევ ხელმოუწერელ ეგზემპლარს, რომელშიც ასახულია მოქალაქის ვალდებულება, გადაიხადოს 10 000 ლარი ხელშეკრულებით შეთავაზებული მომსახურების საფასურად. მოქალაქე თანხმობის ნიშნად ხელს აწერს ხელშეკრულებას და უბრუნებს ადმინისტრაციულ ორგანოს. ადმინისტრაციული ორგანო ხელს აწერს ხელშეკრულებას და ინახავს მას საქმიანი ქაღალდების განყოფილებაში. რამდენადაც მოქალაქეს არ დაბრუნებია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება, ის ვარაუდობს, რომ შეთანხმება არ შედგა. ორი თვის შემდეგ ადმინისტრაციულ ორგანოს სასამართლოში შეაქვს სარჩელი მოქალაქის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადაუხდელობის გამო. მოქალაქეს მხოლოდ ამჯერად ეძლევა შესაძლებლობა, იხილოს ორმხრივად ხელმოწერილი ხელშეკრულება. გვაქვს თუ არა ხელშეკრულებითი ვალდებულება?

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ხელშეკრულების მეორე მხარისთვის გაგზავნილი ხელმოუწერელი ხელშეკრულების ბლანკი არ წარმოადგენს შეთავაზებას (ოფერტს) ხელშეკრულების დადებაზე. სწორედ მოქალაქის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებაა შეთავაზება (ოფერტი), რაც საჭიროებს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ხელმოწერის საშუალებით მიღებას (აქცეპტს) და მოქალაქისთვის გადაცემას. რამდენადაც ჩვენს მიერ განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს მოქალაქისთვის არ გაუგზავნია მის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება, ამდენად, ხელშეკრულება არ შეიძლება დადებულად ჩაითვალოს და, შესაბამისად, არ შეიძლებოდა დამდგარიყო ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა.

ბ. ფორმა. ადმინისტრაციული ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ

არის დადგენილი. კანონით დადგენილი ფორმის დაუცველობა შეიძლება გახდეს ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების ფორმალური კანონიერების ერთ-ერთი კრიტერიუმია მესამე პირის მონაწილეობა ადმინისტრაციული გარიგების დადებაში. ადმინისტრაციული გარიგება, რომელიც ზღუდავს მესამე პირის უფლებას ან აკისრებს მას რაიმე ვალდებულებას, ძალაში შეიძლება შევიდეს მხოლოდ მესამე პირის წერილობითი თანხმობის წარდგენის შემდეგ.

სზაკ-ის 68-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებაც მას აქვს, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის მაგივრადაც ადმინისტრაციული ხელშეკრულება დაიდო, საჭიროებდა რომელიმე სხვა ადმინისტრაციული ორგანოს წერილობით თანხმობას, ეს თანხმობა ასევე აუცილებელია ადმინისტრაციული ხელშეკრულების ძალაში შესასვლელად. კანონის ამ მოთხოვნის დაუცველობა შეიძლება გახდეს ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი.

5.2. ადმინისტრაციული ხელშეკრულების მატერიალური კანონიერება

ადმინისტრაციული ხელშეკრულების მატერიალური კანონიერება გულისხმობს მის შესაბამისობას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული და სამოქალაქო კოდექსების სათანადო ნორმებთან. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება ასევე არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას და კანონმდებლობას.

6. ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილობა

ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილად გამოცხადებას აწესრიგებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. გარდა სამოქალაქო კოდექსით დადგენილი საფუძვლებისა, სზაკ-ი ითვალისწინებს მოთხოვნებს, რომელთა დაუცველობაც შეიძლება გახდეს

ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი. გა
მომდინარე აქედან, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ბა
თილი, მაგალითად, როდესაც:

- ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ქმედუუნარო პირი
ან ის დადებულია ფსიქიკური მოშლილობის დროს, ა
სულით ავადმყოფის მიერ (სსკ-ის 58-ე მუხლი);
- ის დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახ
ვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგი
მოჰყვეს (სსკ-ის 56-ე მუხლი);
- ნება გამოვლენილია არასერიოზულად (ხუმრობით) იმ
ვარაუდით, რომ არასერიოზულობას მიუხვდებოდნე
(სსკ-ის 57-ე მუხლი);
- ის დადებულია კანონით გათვალისწინებული ფორმის
დაუცველად (წერილობითი ფორმა ან სანოტარო დამოწ
მების კანონით დადგენილი ვალდებულება);
- იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი
აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევაში, რომლის
საფუძველზეც დაიდო ეს ადმინისტრაციული ხელშეკ
რულება.

7. ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტა

ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, კონკრეტული
სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენოს
საქმიანობის ის სამართლებრივი ფორმა, რომელიც უფრო ეფექ
ტურია დასახული მიზნის მისაღწევად. თუკი ადმინისტრაციული
ორგანო დებს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, ის ვალდებუ
ლია, ბოლომდე დარჩეს ურთიერთობის ამ სფეროში და კარგავს
უფლებამოსილებას, გამოიყენოს აღსრულების ის საშუალება,
რომელსაც სზაკ-ი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართ
ლებრივი აქტის აღსრულებისთვის ითვალისწინებს. დავის შემთხ
ვევაში ის ვალდებულია, მიმართოს სასამართლოს დავის გადასაწ
ყვეტად. ასევე, მოქალაქეს ერთმევა შესაძლებლობა, ადმინისტრაცი
ულ ორგანოს საჩივრით მიმართოს ადმინისტრაციული გარიგების
გაუქმების მოთხოვნით.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების თაობაზე დავის ადმინ
ისტრაციული წესით განხილვისა და გადაწყვეტის პროცესს აწეს
რიგებს ადმინისტრაციული საპროცესო და სამოქალაქო საპროცე
სო კოდექსები.

№56 სავარჯიშოს პასუხი:

კახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულისა და გერმანიის ბავარიის მიწის მთავრობის მეთაურს შორის დადებული ხელშეკრულება საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რამდენადაც ხელშეკრულების სუბიექტები არიან სხვადასხვა სახელმწიფოთა რეგიონის ლიდერები, რომლებსაც უფლება აქვთ, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დადონ ამგვარი ხელშეკრულებები, რომელთა სამართლებრივ საფუძველს შიდა კანონმდებლობაში წარმოადგენს „საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების, რატიფიკაციისა და დენონსაციის შესახებ“ კანონი.

პრეზიდენტის რწმუნებულის გამოცემული აქტი ბავარიის მიწასა და კახეთის მხარეს შორის დადებული ხელშეკრულების შესრულების ღონისძიებების, გეგმების დასახვის თაობაზე არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოსცა უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ, მიუხედავად იმისა, რომ მიმართულია პირთა ფართო წრეზე და შეიცავს მისი მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს, აწესრიგებს ერთ კონკრეტულ ურთიერთობას, რის გამოც იძენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ხასიათს. მისი გამოცემის საკანონმდებლო საფუძველს ქმნის საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც შიდა კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია.

ტენდერის გამოცხადების შესახებ რწმუნებულის გადაწყვეტილება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რამდენადაც ის მიმართულია კონკრეტული შემთხვევის მოწესრიგებისკენ.

ტენდერი არის პროცედურა საუკეთესო სუბიექტის გამოსავლენად.

ტენდერში გამარჯვებულ სუბიექტებთან დადებული ხელშეკრულებები არის ადმინისტრაციული, რამდენადაც იგი დადებულია საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით და ემსახურება:

ა) ქართული პროდუქციის პოპულარიზაციას საზღვარგარეთ; ქართული კულტურისა და ხალხური რეწვის ნიმუშების პროპაგანდას;

ბ) აქვს ეკონომიკური ეფექტი რეგიონის განვითარებისთვის;

გ) ხელს უწყობს ჯანმრთელობისა და სპორტის დონის ამაღლებას რეგიონში;

დ) გამოიწვევს რეგიონში სამუშაო ადგილების შექმნას, რაც დასაქმების პრობლემის გადაჭრას ემსახურება.

პრეზიდენტის რწმუნებულის გადაწყვეტილება 2 სუბიექტთან დადებული ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი.

№57 სავარჯიშოს პასუხი:

შპს „ენერგიასა“ და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ადმინისტრაციული ხელშეკრულებაა შემდეგ გარემოებათა გამო:

ის არის პრივატიზაციის საფუძველზე დადებული ხელშეკრულება. თავის მხრივ, სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობა სახელმწიფოს პოლიტიკური გადაწყვეტილების საფუძველზე გამოხატული ნებაა, რომელიც თავის თავში რამდენიმე ასპექტს მოიაზრებს: სახელმწიფო დოტაციიდან ქონების, საწარმოს მოხსნას; კერძო სექტორის ხელში საწარმოს გადასვლა იწვევს მასში სოლიდური ინვესტიციის ჩადებას, საწარმოს რეაბილიტაციას, ენერგოსექტორის გაძლიერებას და, ამასთან ერთად, ბიუჯეტში სოლიდური კაპიტალის მოზიდვას. ხელშეკრულებაში იდება მყიდველის ვალდებულება, შეინარჩუნოს საწარმოს პროფილი და იქ დასაქმებული მუშაკები. მყიდველის ეს საჯაროსამართლებრივი ვალდებულება მას ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად აქცევს.

შპს „თიანეთთან“ დადებული იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულება, ასევე, ადმინისტრაციული ხელშეკრულებაა ზემოთ მითითებული საფუძვლებით.

შპს „თიანეთთან“ დადებული ხელშეკრულება არამართლზომიერია, ვინაიდან, სზაკ-ის 67-ე მუხლის თანახმად არ მიუღიათ მესამე პირის შპს „ენერგიას“ წერილობითი თანხმობა. ასევე, სამოქალაქო კოდექსის თანახმად, დატვირთულ უძრავ ნივთზე ხელშეკრულების დადება დაუშვებელია.

№58 სავარჯიშოს პასუხი:

კულტურის სამინისტროსა და კომპანია „არტკულტურას“ შორის დადებული ხელშეკრულება სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულებაა, რამდენადაც ის არ არის დადებული საჯა-

რო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით.

ხელშეკრულების ფორმალური კანონიერების შემოწმების შედეგად ირკვევა, რომ ის დადო არაუფლებამოსილმა ორგანომ, რამდენადაც სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება, რომელმაც 100 000 ლარზე მეტი ღირებულების ქონება უნდა გაასხვისოს დამოუკიდებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. ხელშეკრულების მატერიალური კანონიერების შემოწმების შედეგად ირკვევა, რომ ის ეწინააღმდეგება მისი დადების სამართლებრივ საფუძვლებს, კერძოდ, „სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ“ კანონის მიხედვით აკრძალულია ადმინისტრაციული შენობებისა და კულტურისა და არქიტექტურის ძეგლების პრივატიზაცია; ოპერის შენობა კულტურისა და არქიტექტურის ძეგლია, ხოლო სამინისტროს შენობის I სართული ადმინისტრაციული შენობა.

№59 სავარჯიშოს პასუხი:

საქართველოს პარლამენტის სამეურნეო დეპარტამენტსა და შპს „კოკა-კოლას“ შორის დადებული ხელშეკრულება პარლამენტისთვის კოკა-კოლას მიწოდების შესახებ სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულებაა, რამდენადაც ის არ ემსახურება პარლამენტის მიერ საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილებების განხორციელებას.

№60 სავარჯიშოს პასუხი:

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ კერძო ექსპერტიზის ბიუროსთან დადებული ხელშეკრულება ემსახურება პროკურატურის მიერ საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებას და, ამდენად, ის ადმინისტრაციული ხელშეკრულებაა.

§5. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამიჯვნა ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სხვა ფორმებისგან

1. კაზუსი - „წყლის მოწამვლა“:

ნავთობსადენის დაზიანების შედეგად ნავთობის დაღვრამ დააბინძურა სასმელი წყალი ქალაქ X-ის დიდ ნაწილში, რამაც შეზღუდა ქალაქის სასმელი წყლით მომარაგების შესაძლებლობა. ქალაქის გამგეობამ განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

ა) აიკრძალა ონკანში მომდინარე წყლით ავტომანქანების გარეცხვა და ეზოებისა და ქუჩების მორწყვა;

ბ) ადგილობრივი ტელევიზიის საშუალებით მოსახლეობას მიეცა მითითება, ეკონომიურად ხარჯოს სასმელი წყალი. წყლის გადამხარჯველები საჯაროდ გაიკიცხნენ;

გ) საწარმო „გამაX“-ს, რომელიც იყენებდა დიდი ოდენობით წყალს, აეკრძალა ონკანიდან მომდინარე სასმელი წყლის პროდუქციის საწარმოებლად გამოყენება;

დ) შეიქმნა სასმელი წყლის გამანაწილებელი შტაბები და პრესის მეშვეობით მოსახლეობას ეცნობა ამის შესახებ;

ე) რძის პროდუქტების მწარმოებელი კერძო ფირმისგან დაიქირავა ავტომანქანები სხვა რეგიონებიდან წყლის მოსაზიდად;

ვ) რამდენადაც ეს დაქირავებული სატვირთო ავტომანქანები არ აღმოჩნდა საკმარისი, გადამზიდავ კერძო ფირმებს ჩამოერთვა სატვირთო ავტომანქანები;

ზ) ქალაქის ხელმძღვანელობა ზიანის ანაზღაურების მოცულობაზე შეუთანხმდა იმ ფირმებს, რომელთაც ჩამოერთვათ ავტომანქანები;

თ) ქალაქის სატრანსპორტო საწარმოს დაევალა, გამოყოს მძღოლები წყლის საზიდი ავტომანქანებისთვის;

ი) ქალაქის ხელმძღვალელობის მიერ ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის სხვადასხვა სამსახურებისთვის გაგზავნილ წერილში აღწერილია თუ რა ღონისძიებები უნდა განხორციელდეს მსგავს საგანგებო შემთხვევებში. თითოეული სამსახურისთვის მოცემულია მოქმედების კონკრეტული გეგმა.

ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის რომელ სამართლებრივ ფორმასთან გვაქვს საქმე?

პასუხი:

ა) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
ბ) რეალური მოქმედება (რეალაქტი);
გ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
დ) რეალური მოქმედება (რეალაქტი);
ე) კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება;
ვ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
ზ) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხელშეკრულება;
თ) შიდაორგანიზაციული მითითება;
ი) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (მმართველობითი ინსტრუქციები).

2. კაზუსი: ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი?

ა) ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგებლის 20 დეკემბრის წერილობითი პასუხით არსენას ქუჩის მცხოვრებლებს ეცნობათ, რომ დაზიანებული საკანალიზაციო მილების შესაცვლელად ბიუჯეტში გაითვალისწინებდნენ თანხებს და სარემონტო სამუშაოები დაიწყებოდა მომავალი წლის 10 იანვარს. მიუხედავად ამისა, 25 იანვრის მდგომარეობით დაპირებული სამუშაო არ დაწყებულა. არსებობს თუ არა არსენას ქუჩის მცხოვრებთა კანონიერი ნდობის საფუძველი? განსაზღვრეთ მისი წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები და უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებები.

პასუხი: ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგებლის 20 დეკემბრის წერილობითი პასუხი, ეს არის ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ ქმედება განხორციელდება, რაც შეიძლება გახდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის საფუძველი. უფლების დაცვის თვალსაზრისით აუცილებელია, დავადგინოთ, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის რომელ სამართლებრივ ფორმასთან გვაქვს საქმე. ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით ის არ არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რამდენადაც არ არსებობს ცნების ელემენტი: „აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს“. ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება არ

ახდენს კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებას, იგი შეიცავს მომავალში ასეთი მოწესრიგების განხორციელების დაპირებას. გამომდინარე აქედან, ცალსახად შეიძლება დავასკვნათ, რომ ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება ჯერ კიდევ არ ქცეულა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად. მიუხედავად ამისა, სზაკ-ის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ის განიხილება, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მის ადრესატს, ჩვენს მიერ განსახილველ შემთხვევაში არსენას ქუჩის მცხოვრებლებს, ეძლევა შესაძლებლობა, გამოიყენოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესი.

ბ) საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მიღებაზე მისულ მწერალთა ჯგუფს განუცხადა, რომ საქართველოს მთავრობა დააფინანსებს მწერალთა სასახლისა და ბორჯომში მწერალთა დასასვენებელი სახლის გარემონტებისა და კეთილმოწყობის სამუშაოებს 500 000 ლარის ფარგლებში. მიუხედავად აწ დაპირებისა, მთავრობამ გამოყო ერთჯერადი დახმარების სახით 30 000 ლარი. წარმოეშვა თუ არა მწერალთა კავშირს პრემიერ-მინისტრის დაპირების საფუძველზე კანონიერი ნდობის უფლება?

პასუხი: პრემიერ-მინისტრის დაპირება არ შეიძლება გახდეს დაინტერესებული მხარის მწერალთა კავშირის კანონიერი ნდობის საფუძველი, რამდენადაც ის არ გაცემულა წერილობითი ფორმით.

გ) დავით თევზაძემ გარემოს დაცვის სამინისტროში ლიცენზიის მოსაპოვებლად შეიტანა მთელი რიგი საჭირო დოკუმენტაცია. მან გარემოს დაცვის სამსახურიდან მიიღო წერილი, რომ მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულიად აკმაყოფილებს ლიცენზიის მისაღებად კანონით დადგენილ მოთხოვნებს და 2 კვირის ვადაში მასზე გაიცემა სათანადო ნებართვა. 2 კვირის შემდეგ გამოიცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც უარი უთხრეს ლიცენზიის გაცემაზე იმ მოტივით, რომ მის მიერ წარმოდგენილი ერთ-ერთი დოკუმენტი ყალბია. დავით თევზაძემ ადმინისტრაციული ორგანოს დაპირების საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება შეიძინა მანქანა-დანადგარები. არსებობს თუ არა მისი კანონიერი ნდობის საფუძველი?

პასუხი: ამ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება

არ შეიძლება გახდეს დავით თევზაძის კანონიერი ნდობის საფუძველი, რამდენადაც მას საფუძვლად უდევს მისი უკანონო მოქმედება ლიცენზიის მოპოვების მიზნით ყალბი დოკუმენტის წარდგენა.

3. ახალი ტენდენციები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში

სასამართლო პრაქტიკის ანალიზისას ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად გამოიკვეთა სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული გარიგების ცნების ქვეშ ისეთი მმართველობითი ღონისძიებების თავმოყრა, რომლებიც თავიანთი ბუნებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები იყო. ამ მხრივ საგულისხმოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 19 მაისის (საქმე ბს-174-135-კ-05წ.) გადაწყვეტილება, რომლითაც საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებას სააღსრულებო ბიუროს აუქციონის შედეგების ოქმისა და განკარგულების ადმინისტრაციულ გარიგებად მიჩნევის თაობაზე. უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით დაიწყო ახალი ეტაპი ქართული ადმინისტრაციული მართლმსაჯულების (ხუთწლიან) პრაქტიკაში:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააღსრულებო ბიუროს ჩატარებული იძულებითი აუქციონი არის არა ხელშეკრულება, არამედ სააღსრულებო მოქმედების ერთ-ერთი სახე. ადმინისტრაციულ გარიგებაში ადმინისტრაციული ორგანო შეიძლება შევიდეს მხოლოდ საკუთარი ქონებით და საკუთარი ნებით, როგორც გარიგების სუბიექტი კერძო სამართლის იურიდიული პირი, რასაც მოცემულ შემთხვევაში ვერ ექნება ადგილი იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ იძულებითი აუქციონის ჩატარების მომენტში სააღსრულებო ბიურო არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც გარიგების სუბიექტი, რომელიც სახელმწიფოს სახელით მართლმსაჯულების აქტების აღსრულების, ანუ კანონის აღსრულების მიზნის მისაღწევად ყიდის არა საკუთარ, არამედ მოვალის ქონებას იძულების წესით, მოვალის ნების საწინააღმდეგოდ, კრედიტორის კანონიერი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მაშინ, როცა, სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლში მოცემული დეფინიციის მიხედვით, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლისა ან შეწყვეტისკენ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ნების გამოვლენა

გარიგების განსაზღვრის ფუნდამენტია, ამასთან, სამოქალაქო სამართალი იმ თვალსაზრისს ემყარება, რომ პირებმა ერთმანეთს შორის ურთიერთობა თავად უნდა მოაწესრიგონ. ამ პრინციპს კერძო ავტონომია ეწოდება, რომლის განხორციელების ყველაზე თვალსაჩინო და გავრცელებული საშუალება სამოქალაქო სამართალში არის გარიგება. მოცემულ შემთხვევაში სამართალურთიერთობის ერთ-ერთ სუბიექტს ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს, რომელსაც, საქმიანობის ფორმების სპეციფიკიდან გამომდინარე, მმართველობითი ღონისძიების განხორციელების შემდეგი სახეები აქვს: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რეალაქტი და ადმინისტრაციული ხელშეკრულება. აუქციონის ჩატარებისას აღმასრულებლის ნების გამოვლენა გამომდინარეობს არა გარიგების დადების სურვილიდან, არამედ კანონისმიერი ვალდებულებიდან – აღასრულოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული აქტები და ამ მმართველობითი ფუნქციის შესრულებისას იგი ნების გამოვლენას ახორციელებს არა ხელშეკრულების ფორმით, არამედ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებით, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად. ადმინისტრაციული ორგანოს ღონისძიების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მის სამართლებრივ ბუნებას, არამედ მისი საქმიანობის ადმინისტრაციულ ფორმას და სამართლის იმ ნორმის ხასიათს, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ქმედების უფლებამოსილებით აღჭურავს, და არა იმას, სამართლის რომელ სფეროში იჩენს თავს სამართლებრივი შედეგი, ანუ გადამწყვეტია, საიდან მოდის ღონისძიება და არა ის თუ საითკენ არის იგი მიმართული; საკასაციო სასამართლო დასკვნის სახით განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალში ცალმხრივი ნების გამოვლენის ფორმაა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააღსრულებო ბიუროს სააღსრულებო მოქმედების ამსახველი ოქმი და აუქციონის შედეგების ამსახველი განკარგულება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით დეფინირებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებია, რომლებიც, ამავე დროს, კონკრეტული პროცედურული მოქმედების შესრულების მტკიცებულებასაც წარმოადგენს. ის, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს – სააღსრულებო ბიუროს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის – „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, წყვეტს მოვალის საკუთრების უფლებას გაყიდულ ქონებაზე, აწესებს შემძენის მოვალეობას

თანხის სრულად გადახდის თაობაზე და ადასტურებს შემძენის უფლებას შეძენილ ქონებაზე.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ფორმის სწორი კვალიფიკაციის საპროცესო-სამართლებრივი მნიშვნელობა ვლინდება იმაში, რომ ეს არის აუცილებელ წინაპირობა სარჩელის სწორი ფორმის განსაზღვრისთვის. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით განსაზღვრული სარჩელი დამოკიდებულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არსებობაზე. განსახილველ შემთხვევაში გვაქვს არა სარჩელი ადმინისტრაციული გარიგების, არამედ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების თაობაზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის ნორმების არასწორი ინტერპრეტაცია და სააღსრულებო მოქმედებათა სრულებით სხვა სამართალურთიერთობის ფორმის ხელშეკრულებად კვალიფიცირება უსაგნოს ხდის სააღსრულებო წარმოებას, რასაც სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით კატასტროფული შედეგები მოსდევს – მართლმსაჯულების აღუსრულებლობა მაშინ, როცა ჯეროვანი და ეფექტური მართლმსაჯულება მიიღწევა არა ოდენ სასამართლოს მიერ კონკრეტული კონფლიქტების გადაწყვეტის, არამედ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტების კანონშესაბამისი, დროული აღსრულების უზრუნველყოფით, რაც, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის 17.5. მუხლის თანახმად, აღმასრულებლის პირდაპირი მოვალეობაა, კერძოდ, „აღმასრულებელი ვალდებულია, მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისთვის", განუმარტოს მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები, დაეხმაროს მათ უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში.

დასკვნა:

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცალმხრივობა და მისი შესასრულებლად სავალდებულო ძალა ცნების ის ელემენტებია, რაც მას განასხვავებს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სხვა ფორმებისგან, კერძოდ, ადმინისტრაციული ხელშეკრულებისგან. ამ უკანასკნელისთვის დამახასიათებელია ის, რომ უშუალო სამართლებრივი შედეგი არა ადმინისტრაციული ორგანოს ცალმხრივი ნების, არამედ მხოლოდ ხელშეკრულების მხარეთა სურვილის თანადამთხვევის შედეგად დგება.

§6. ადმინისტრაციულ საქმეთა წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ამკვიდრებს სასამართლოში საქმის წარმოების თანამედროვე მოდელს, რომელიც გულისხმობს ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესის სამ სტადიად დაყოფის აუცილებლობას. ეს სტადიებია:

I. სარჩელის მიღება;
II. სარჩელის დასაშვებობის შემოწმება;
III. სარჩელის დასაბუთებულობის დადგენა.

I. **სარჩელის მიღება.** სარჩელის აღძვრა არის დარღვეული ან სადავო უფლების სასამართლოს გზით დაცვის საპროცესო საშუალება. ყოველ პირს აქვს უფლება, საჯარო ხელისუფლებისგან სუბიექტური უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს უფლების დაცვისთვის სასამართლოში მიმართვის ფორმას – ეს არის სასარჩელო განცხადება.

სასარჩელო განცხადების შემოსვლიდან **ხუთი დღის** განმავლობაში სასამართლო ამოწმებს მის შესაბამისობას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე–179-ე მუხლებით დადგენილ მოთხოვნებთან და გამოაქვს განჩინება სარჩელის მიღების შესახებ. ამისთვის აუცილებელია, სარჩელი შედგენილი იყოს წერილობითი ფორმით და პასუხობდეს 178-ე და 179-ე მუხლებით დადგენილ მოთხოვნებს. სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს: ა) იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც სარჩელი შეაქვთ; ბ) მოსარჩელის გვარი, სახელი და მისამართი, ხოლო თუ მოსარჩელე იურიდიული პირია – მისი სახელწოდება და მისამართი; გ) წარმომადგენლის გვარი, სახელი და მისამართი, თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს; დ) მოპასუხის გვარი, სახელი და მისამართი, ხოლო თუ მოპასუხე იურიდიული პირია – მისი სახელწოდება და მისამართი; ე) მოსარჩელის მოთხოვნა; ვ) გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს; ზ) მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებს ამ გარემოებებს; თ) სარჩელის ფასი, თუ შესაძლებელია სარჩელის შეფასება; ი) სარჩელისთვის დართული საბუთების ნუსხა.

ამასთან, სარჩელი შეიძლება შეიცავდეს მოსარჩელის მოთხოვნას იმის შესახებ, რომ: ა) სასამართლომ დაავალოს მოპასუხეს

იმ მტკიცებულებათა წარმოდგენა, რომლებიც მასთან ინახება და რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის სასარჩელო მოთხოვნებს; ბ) სასამართლომ მისცეს მითითება შესაბამის დაწესებულებებს, რათა მათ წარუდგინონ სასამართლოს ყველა ის წერილობითი თუ ნივთიერი საბუთი და მასალა, რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ სარჩელში აღნიშნული გარემოებები და რომელთა გაცემაზე არამართლზომიერად უთხრეს უარი მოსარჩელეს; გ) სასამართლომ დროულად შეატყობინოს და სასამართლო სხდომაზე გამოიძახოს მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ სარჩელში აღნიშნული გარემოებები.

სარჩელი და მასზე თანდართული საბუთები სასამართლოს უნდა წარედგინოს იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხეა. სარჩელს უნდა ერთვოდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დომუმენტები, აგრეთვე, მინდობილობა, რომელიც ადასტურებს წარმომადგენლის უფლებამოსილებას.

თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ სარჩელი შეტანილია სსსკ-ის 178-ე და 179-ე მუხლებში მითითებული პირობების დარღვევით ან სახელმწიფო ბაჟი გადახდილი არ არის, გამოიტანს განჩინებას სარჩელის უმოძრაოდ დატოვების შესახებ, რასაც აცნობებს მოსარჩელეს და მისცემს ვადას ხარვეზის შესავსებად. თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში სარჩელი შეტანილად არ ჩაითვლება და დაუბრუნდება მოსარჩელეს.

სასკ-ის მე-9 მუხლის I ნაწილის თანახმად, ბაჟი არ გადაიხდება სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელზე. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ფიზიკური პირის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფიზიკური პირი ინდივიდუალური მეწარმეა, არ დააბრკოლებს საქმის განხილვასა და გადაწყვეტას. პირველი ინსტანციის სასამართლოში ფიზიკური პირი მხოლოდ იმ შემთხვევაშია ვალდებული, გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი, თუ მან არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა (სასკ-ის მე-10 მუხლი).

სასკ-ის 29-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას.

II. სარჩელის დასაშვებობის შემოწმება

სარჩელის მიღებიდან **ორი კვირის** ვადაში სასამართლო ამოწებს სარჩელის დასაშვებობის საკითხს. გამწესრიგებელ სხდომაზე სასამართლო მხარეთა მონაწილეობით განიხილავს სასკ-ის 22-25-ე მუხლებით გათვალისწინებული სარჩელის დასაშვებობის საკითხს.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით სარჩელის დასაშვებობა მოწმდება სასკ-ის 22-ე მუხლის საფუძველზე. სარჩელი **დასაშვებია**, თუ:

1. სარჩელის მიზანია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა ან ძალადაკარგულად გამოცხადება (ე.ი., ყურადღება უნდა მიექცეს სარჩელის ფორმულირებას);
2. მოსარჩელე ამტკიცებს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებებს (სარჩელის დასაშვებობის დადგენისას საკმარისია იმის ვარაუდი, რომ ირღვევა მოსარჩელის სუბიექტური უფლება. ნამდვილად დარღვეულია თუ არა მოსარჩელის სუბიექტური უფლება, ეს დგინდება სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმებისას);
3. დაცულია გასაჩივრების ვადები (სასკ-ის 22-ე მუხლის III ნაწილის თანახმად, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს შესაბამისად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთ თვეში).

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაშვებობა მოწმდება სასკ-ის 23-ე მუხლის საფუძველზე. სარჩელი **დასაშვებია**, თუ

1. სარჩელის მიზანია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა (ე.ი., ყურადღება უნდა მიექცეს სარჩელის ფორმულირებას);
2. მოსარჩელე ამტკიცებს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს უარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მის კანონიერ უფლებას ან ინტერესს

(სარჩელის დასაშვებობის დადგენისას საკმარისია იმის ვარაუდი, რომ ირღვევა მოსარჩელის სუბიექტური უფლება. ნამდვილად დარღვეულია თუ არა მოსარჩელის სუბიექტური უფლება. ეს დგინდება სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმებისას);

3. დაცულია გასაჩივრების ვადები (სასკ-ის 23-ე მუხლის III ნაწილის თანახმად, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის მიღებიდან ერთი თვის ვადაში).

ქმედების განხორციელების თაობაზე სარჩელის დასაშვებობა მოწმდება სასკ-ის 24-ე მუხლის საფუძველზე. სარჩელი **დასაშვებია,** თუ:

1. სარჩელის მიზანია ისეთი ქმედების განხორციელება ან ისეთი ქმედებისგან თავის შეკავება, რომელიც არ გულისხმობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას (ე.ი., ყურადღება უნდა მიექცეს სარჩელის ფორმულირებას);

2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს (სარჩელის დასაშვებობის დადგენისას საკმარისია იმის ვარაუდი, რომ ირღვევა მოსარჩელის სუბიექტური უფლება. ნამდვილად დარღვეულია თუ არა მოსარჩელის სუბიექტური უფლება, ეს დგინდება სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმებისას).

აღიარებითი სარჩელის დასაშვებობა მოწმდება სასკ-ის 25-ე მუხლის საფუძველზე. სარჩელი **დასაშვებია,** თუ:

1. სარჩელის მიზანია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარება ან უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა (ე.ი., ყურადღება უნდა მიექცეს სარჩელის ფორმულირებას);

2. მოსარჩელეს არ შეუძლია, აღძრას სარჩელი სასკ-ის 22-24 მუხლების საფუძველზე (აღიარებით სარჩელს აქვს უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალების სრულყოფის ფუნქცია. ის მოიცავს იმ შემთხვევებს, როდესაც შეუძლებელია დარღვეული უფლების დაცვა სასკ-ის 22-ე 24-ე მუხლების საფუძველზე, მაგ., სარემონტო სამუშაოების ჩატარების მიზნით ქალაქის გამგეობამ გადა-

კეტა ჭყონდიდელის ქუჩა. ამ ქუჩაზე მდებარე ბენზინგასამართი სადგურის მეპატრონეს მიაჩნია, რომ დაუსაბუთებლად ჭიანურდება გზის გახსნა, რაც ზიანს აყენებს მის სუბიექტურ უფლებებს. მას შეუძლია, აღძრას სარჩელი სასკ-ის 24-ე მუხლის თანახმად და მოითხოვოს გზის გახსნა, მაგრამ, როდესაც სარჩელის შეტანამდე იხსნება ქუჩა, ასეთ შემთხვევაში რჩება უფლების დაცვის ერთადერთი საშუალება აღიარებითი სარჩელი, რომელიც ბენზინგასამართი სადგურის მეპატრონეს აძლევს შესაძლებლობას, მოითხოვოს გზის გადაკეტვით მისი უფლების დარღვევის აღიარება, რაც შესაძლებელია გახდეს სახელმწიფოს მხრიდან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი).

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების მოთხოვნის შემთხვევაში მოსარჩელეს შესაძლებლობა ეძლევა, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების გარეშე, ნებისმიერ დროს მოითხოვოს ამ აქტით მისი სუბიექტური უფლებების დარღვევის აღიარება, შესაბამისად, აქტის არარა აქტად ცნობა.

III. სარჩელის დასაბუთებულობის დადგენა

სარჩელის დასაშვებობის შემოწმებისა და სარჩელის მიღებაზე განჩინების გამოტანასთან ერთად სასამართლო ადგენს საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის თარიღს. მოსამართლის განკარგულებით სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები ეგზავნება მოპასუხეს.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის არსებითად განხილვის შედეგად დადგინდება სარჩელის დასაბუთებულობა.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით სარჩელის დასაბუთებულობა მოწმდება სასკ-ის 32-ე მუხლის საფუძველზე. სარჩელი **დასაბუთებულია**, თუ:

1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონსაწინააღმდეგოა და
2. ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებებს.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებისა და უკანონობის დასადგენად სასამართლო ხელმძღვანელობს ადმინისტრაციული სამართლის მეცნიერებისა და პრაქტიკის მიერ შემუშავებული საქმის განხილვის სქემის მიხედვით, რაც აადვილებს სამოსამართლეო საქმიანობას. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთებულობის შემოწმებისას, პირველ რიგში, მოწმდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერება და შემდგომში – მატერიალური კანონიერება.

გთავაზობთ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმების მიზნით განხორციელებული საქმის წარმოების მოდელს:


კაზუსი: საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის განკარგულებით პეტრე პავლიაშვილი განთავისუფლდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქართველოს პრეზიდენტის მუდმივი და სრულუფლებიანი წარმომადგენლის თანამდებობიდან. განკარგულებაში მისი განთავისუფლების საფუძვლად მითითებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 94.1. მუხლი. პეტრე პავლიაშვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის მიმართ, რომლითაც მოითხოვა საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის განკარგულების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლო სარჩელის დასაშვებობის შემოწმების შემდეგ სასამართლოს მთავარ სხდომაზე ახდენს მისი დასაბუთებულობის შემოწმებას. სასკ-ის 32-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით სარჩელი **დასაბუთებულია**, თუ:

1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონსაწინააღმდეგოა და

2. ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებებს.

საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის განკარგულების კანონიერების დასადგენად სასამართლო ამოწმებს აქტის ფორმალურ და მატერიალურ კანონიერებას.



ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური და მატერიალური კანონიერების თითოეული ელემენტი წიგნში დაწვრილებით არის განხილული და, ამდენად, საჭიროდ არ მივიჩნევთ მის განმეორებას. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერების შემოწმებისას ერთ-ერთი რომელიმე ელემენტით დადგენილი მოთხოვნის დარღვევის გამოვლენა გვაძლევს შესაძლებლობას, აქტი მივიჩნიოთ კანონსაწინააღმდე-

გოდ, და არ არის საჭირო, მოვახდინოთ მატერიალური კანონიერების შემოწმება. ე.ი., ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთებულობის შემოწმება წყდება იმ ელემენტთან, სადაც აღმოჩნდება მისი კანონწინააღმდეგობა.

საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის განკარგულების ფორმალური კანონიერების ელემენტების შემოწმების შედეგად სასამართლომ დაადგინა, რომ ის გამოცემულია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისი გამოცემისთვის კანონით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების სახის გამოყენებით და პასუხობს სზაკ-ით დადგენილ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის რეკვიზიტებს (გამოცემის ფორმა და დასაბუთება).

საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის განკარგულების მატერიალური კანონიერების შემოწმებისას მოწმდება მისი გამოცემის სამართლებრივი საფუძვლები: თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხე მხარემ მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობა გაწყვიტა მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით, კერძოდ, სადავო განკარგულება გამოცემულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 94.1. მუხლის საფუძველზე, რომელიც ვრცელდება და ეხება იმ საჯარო მოსამსახურეს, ვინც თანამდებობაზე გარკვეული ვადით იყო არჩეული ან დანიშნული მაშინ, როცა პეტრე პავლიაშვილი, ამავე კანონის 23.1. მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დაინიშნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარმომადგენლად განუსაზღვრელი ვადით. სასამართლო არ იზიარებს მოპასუხის არგუმენტს, რომ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება პეტრე პავლიაშვილის საკონსტიტუციო სასამართლოში საქართველოს პრეზიდენტის მუდმივ და სრულუფლებიან წარმომადგენლად დანიშვნის შესახებ თავისი შინაარსით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლის თანახმად, არის დავალების ხელშეკრულება იმდენად, რამდენადაც მოსარჩელე საჯარო მოსამსახურეა, რომელსაც დანიშნული ჰქონდა ხელფასი მაშინ, როცა დავალების ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში მიიღებდა გასამრჯელოს (ჰონორარს). უფრო მეტიც, სადავო განკარგულების მიღებისას პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა იხელმძღვანელა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 94.1. მუხლით და არა სამოქალაქო გარიგების, კერძოდ, დავალების ხელშეკრულების სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებ-

ული მარეგულირებელი ნორმებით. სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო განკარგულების დავალების ხელშეკრულებად მიღების შემთხვევაში სამართალურთიერთობის შეწყვეტისას გამოყენებული უნდა ყოფილიყო არა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ნორმა, არამედ სამოქალაქო კოდექსით დავალების ხელშეკრულებისთვის გათვალისწინებული ნორმები, რამდენადაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ნორმები ვრცელდება და, შესაბამისად, მათი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ საჯარო მოხელეთა მიმართ. მოსარჩელის შემთხვევაში მისი როგორც დანიშვნის, ისე გათავისუფლების ბრძანებები გამოცემულია სწორედ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის დებულებათა საფუძველზე.

სასამართლომ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის განკარგულების მატერიალური კანონიერების შემოწმების შედეგად დაადგინა მისი კანონწინააღმდეგობა.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის უკანონობის დადგენა არ არის საკმარისი, რომ სარჩელი მივიჩნიოთ დასაბუთებულად. აუცილებელია იმისი დადგენა, ეს უკანონო აქტი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს თუ არა მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს თუ არა მის უფლებებს. განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ დაადგინა მოსარჩელის სუბიექტური უფლებების ხელყოფაც, რაც სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი გახდა.

თავი 3. ინფორმაციის თავისუფლება

***საკონტროლო შეკითხვები და სავარჯიშოები**

(61) განსაზღვრეთ ინფორმაციის თავისუფლების პრინციპის სამართლებრივი საფუძვლები.

(62) განსაზღვრეთ ინფორმაციის გამოთხოვის უფლების მატარებელი სუბიექტები.

(63) განსაზღვრეთ სუბიექტები, საიდანაც შეიძლება გამოვითხოვოთ ინფორმაცია.

(64) ჩამოაყალიბეთ საჯარო ინფორმაციის ცნება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად.

(65) განსაზღვრეთ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის ფორმა.

(66) რას ნიშნავს დახურული საჯარო ინფორმაცია?

(67) განსაზღვრეთ სახელმწიფო, კომერციული და პირადი საიდუმლოების ცნება და არსი.

(68) განსაზღვრეთ იმ ინფორმაციათა ნუსხა, რომელთა გასაიდუმლოება აკრძალულია.

(69) რომელი ინფორმაცია განეკუთვნება პროფესიულ საიდუმლოებას? – შეარჩიეთ ერთი სწორი პასუხი:

ა. პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც პირისთვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;

ბ. პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც არის სხვისი პირადი ან კომერციული საიდუმლოება;

გ. პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც არის სხვისი პირადი ან კომერციული საიდუმლოება და პირისთვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;

დ. პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც არის სხვისი პირადი და კომერციული საიდუმლოება, აგრეთვე, სხვა კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც პირისთვის ცნობილი გახდა პროფესიული და თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

(70) პერსონალური მონაცემების შეგროვებისას საჯარო დაწესებულება ვალდებულია (შეარჩიეთ ერთი სწორი პასუხი):

ა. მიმართოს იმ პირს, რომელზეც ინფორმაცია გროვდება;

ბ. მიმართოს იმ დაწესებულებას, რომელშიც მუშაობს პირი, ვისზეც ინფორმაცია გროვდება;

გ. მიმართოს იმ დაწესებულებებს, სადაც ინახება მონაცემები იმ პირზე, რომელზეც ინფორმაცია გროვდება;

დ. მიმართოს ყველა წყაროს, საიდანაც შესაძლებელია მონაცემების მოპოვება იმ პირზე, რომელზეც ინფორმაცია გროვდება.

(71) პერსონალური მონაცემები სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს (შეარჩიეთ ერთი სწორი პასუხი):

ა. მხოლოდ პირის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში;

ბ. მხოლოდ პირის იდენტიფიკაციის გამომრიცხავი ფორმით;

გ. მხოლოდ პირის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში და პირის იდენტიფიკაციის გამომრიცხავი ფორმით;

დ. მხოლოდ პირის იდენტიფიკაციის დადგენის მიზნით შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოსთვის სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის თხოვნის საფუძველზე.

(72) რა შემთხვევაში აქვს სასამართლოს გასაიდუმლოებული ინფორმაციის გამოთხოვის უფლება? – შეარჩიეთ ერთი სწორი პასუხი:

ა. ორივე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე;

ბ. მხარის შუამდგომლობის საფუძველზე;

გ. საკუთარი ინიციატივით;

დ. ინფორმაციის უკანონოდ გასაიდუმლოების შესახებ სასამართლო განჩინების მიღების საფუძველზე.

(73) დაინტერესებული პირი ითხოვს ისეთ ინფორმაციას, რომელიც გაბნეულია დიდი რაოდენობისა და მოცულობის სხვადასხვა დოკუმენტში. როგორ უნდა მოიქცეს საჯარო დაწესებულება? – შეარჩიეთ ერთი სწორი პასუხი:

ა. საჯარო დაწესებულება ვალდებულია, დაამუშაოს მის ხელთ არსებული დოკუმენტები, ამოიღოს მათგან საჭირო მონაცემები და გამზადებული ფორმით გადასცეს განმცხადებელს;

ბ. უნდა გასცეს ყველა იმ დოკუმენტის ასლი, რომელშიც გაბნეულია გამოთხოვილი ინფორმაცია;

გ. განმცხადებელს უნდა უთხრას უარი იმ მოტივით, რომ ასეთი ინფორმაციის შემცველი კონკრეტული დოკუმენტი არ არსებობს.

1. ინფორმაციის თავისუფლების სამართლებრივი საფუძვლები

საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის პრინციპის რეგლამენტაცია ემსახურება საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო აქტებით აღიარებული ინფორმაციისა და გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციას. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, ჰქონდეს მოსაზრებანი და მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საჯარო ხელისუფლების ჩარევისა და საზღვრის მიუხედავად. იდენტური შინაარსის მქონეა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი, რომელიც ადგენს, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვა საშუალებით.

კონსტიტუციის 41-ე მუხლი ყველა მოქალაქეს ანიჭებს უფლებას, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე, იქ დაცულ სხვა ოფიციალურ დოკუმენტს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. ადამიანის უფლება, მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ, გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება, მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია. ამ უფლების რეალიზაციის მექანიზმი განსაზღვრულია კოდექსის III თავში.

2. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის უფლების მქონე სუბიექტები


საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის უფლებამოსილების მქონეა „ყველა". სზაკ-ის 37-ე მუხლში ნახმარი ეს ტერმინი გულისხმობს როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს. ინფორმაციის მოსაპოვებლად წერილობითი განცხადების წარდგენის უფლება

აქვს ფიზიკური პირის წარმომადგენელსაც. იურიდიული პირის შემთხვევაში განცხადების წარდგენა ხდება წარმომადგენლის მეშვეობით. იურიდიული პირის წარმომადგენლობის უფლებამოსილება განისაზღვრება იურიდიული პირის წესდებით. ფიზიკური პირის წარმომადგენლობის შემთხვევაში განცხადებას თან უნდა დაერთოს წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი, რომელიც შესაძლებელია შემდეგი სახისა იყოს:

- სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა;
- მინდობილობა, დამოწმებული იმ ორგანიზაციის მიერ, სადაც მუშაობს ან სწავლობს განმცხადებელი;
- მინდობილობა, დამოწმებული იმ სტაციონარული სამკურნალო დაწესებულების მიერ, სადაც მისი გამცემი პირი სამკურნალოდ იმყოფება;
- მინდობილობა, დამოწმებული იმ სამხედრო ნაწილის მიერ, სადაც მსახურობს მისი გამცემი პირი;
- მინდობილობა, დამოწმებული იმ საპატიმრო ადმინისტრაციის მიერ, სადაც მოთავსებულია მისი გამცემი დაპატიმრებული პირი.

3. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი სუბიექტები

ინფორმაციის თავისუფლების მოთხოვნა ვრცელდება საჯარო დაწესებულებებზე. საჯარო დაწესებულების ცნება სზაკ-ის III თავის მიზნებისთვის განმარტებულია ამავე თავის 27-ე მუხლში, რომლის თანახმადაც ის მოიცავს ადმინისტრაციულ ორგანოს და სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებულ კერძო სამართლის პირს ასეთი დაფინანსების ფარგლებში.



4. საჯარო ინფორმაციის ფორმა

სზაკ-ის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (რომელიც შესაძლებელია იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, ნახაზის, მაკეტის, გეგმის, სქემის, ფოტოსურათის, ელექტრონული ინფორმაციის, ვიდეო და აუდიოჩანაწერის სახით), რომელიც საჯარო დაწესებულებამ ან მოსამსახურემ მიიღო, დაამუშავა, შექმნა ან გაგზავნა სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. დაინტერესებულ პირს შეუძლია, მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია, მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად, და აირჩიოს მისი მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს. დაინტერესებული პირი უფლებამოსილია, გაეცნოს ინფორმაციას დედანში და, ასევე, მოითხოვოს მისი ასლი.

მიუხედავად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „მ" ქვეპუნქტში მოცემული „საჯარო ინფორმაციის" ლეგალური დეფინიციისა, პრაქტიკაში კვლავ სადავოა თუ რა არის საჯარო ინფორმაცია. პრობლემას წარმოშობს ის შემთხვევა, როდესაც დაინტერესებული პირი ითხოვს ინფორმაციას, რომელსაც ერთი რომელიმე კონკრეტული დოკუმენტი კი არ შეიცავს, არამედ გაბნეულია დიდი რაოდენობისა და მოცულობის სხვადასხვა დოკუმენტში. ლოგიკურად იბადება შეკითხვა თუ როგორ უნდა მოიქცეს საჯარო დაწესებულება? ამ კითხვას არაერთგვაროვნად პასუხობენ არა მარტო საჯარო დაწესებულებებში, არამედ სასამართლოში:

საქმეზე „არასამთავრობო ორგანიზაცია დემოკრატ მესხთა კავშირი ახალციხის რაიონული სახელმწიფო არქივის წინაღმდეგ" მოსარჩელე ითხოვს, ახალციხის რაიონის ცენტრალურ არქივს დაევალოს მის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის გაცემა. კერძოდ, რაიონის 1944 წლის დემოგრაფიული მდგომარეობა, სასოფლო საბჭოებისა და დასახლებული პუნქტების სახელწოდება, ინფორმაცია მასში მცხოვრებ კომლთა და სულთა რაოდენობის, მათი ეთნიკური და ეროვნული შემადგენლობის შესახებ. რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ „მოსარჩელის მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია, ეს არის შესაქმნელი ინფორმაცია. ის არ არის მზა და დამუშავებული ინფორმაცია, რომელიც უკვე დევს და შესაძლებელია მისი ასლის გადაღება და დაინტერესებული მხარისთვის მიწოდება. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის

თანახმად, გაცემას ექვემდებარება საჯარო ინფორმაცია, ხოლო მოსარჩელის მიერ მოთხოვილი ინფორმაცია არის შესაქმნელი ინფორმაცია. არქივის საქმიანობაში არ შედის საბჭოების მიხედვით კომლთა და სულთა რაოდენობის, ეთნიკური და ეროვნული შემადგენლობით დაჯგუფება. იგი მხოლოდ აგროვებს და ინახავს შემოსულ ინფორმაციას. მოსარჩელის მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია არაკონკრეტულია. იგი ვერ გაიცემა დედნიდან ქსეროასლის სახით, რადგან ფიზიკურად არქივში ასეთი... არ არსებობს".

№73 საკონტროლო შეკითხვის პასუხი:

ვფიქრობთ, ის ფაქტი, რომ ინფორმაცია კონკრეტული დოკუმენტის სახით არ არსებობს და გაბნეულია ძალიან დიდი მოცულობისა და რაოდენობის დოკუმენტებში, არ შეიძლება გახდეს ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი. საჯარო დაწესებულება ვალდებულია, დაინტერესებულ პირს გადასცეს ყველა ის დოკუმენტი, რომელშიც გაბნეულია მისთვის საინტერესო ინფორმაცია.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით სზაკ-ი ავალდებულებს საჯარო დაწესებულებას, დაადგინოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე. ამავე მიზანს ემსახურება სზაკ-ის მოთხოვნა საჯარო დაწესებულებაში საჯარო რეესტრის წარმოების შესახებ. საჯარო დაწესებულება ვალდებულია, ორი დღის ვადაში შეიტანოს საჯარო რეესტრში ყველა ის ინფორმაცია, რომელიც ამ დაწესებულებაში შეიქმნა, გადამუშავდა, გამოიცა, გაიგზავნა ან შემოვიდა.

საჯარო რეესტრში შეტანილი მონაცემები ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისთვის. დაინტერესებულ პირს შეუძლია, მოითხოვოს როგორც საჯარო რეესტრის გაცნობა, ისე მისი მთლიანად ან გარკვეული ნაწილის ასლის გადაღება.

სზაკ-ის 38-ე მუხლის თანახმად, დაუშვებელია საჯარო სამსახურის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის რაიმე სახის საფასურის დაწესება, გარდა ასლის გადაღებისთვის აუცილებელი თანხის ანაზღაურებისა.

საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის ოდენობასა და მისი გადახდის წესს ადგენს საქართველოს კანონი „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ", რომელიც მიღებულია 2005 წლის 13 მაისს.

კანონის მე-2 მუხლი განმარტავს საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების ცნებას, რომლის თანახმადაც საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღება გულისხმობს საჯარო ინფორმაციის დედნიდან ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების გარეშე ინფორმაციის ზუსტად გადატანას (ჩაწერა, გადაღება) ინფორმაციის მატარებელზე.

საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი არის სავალდებულო გადასახდელი საქართველოს ბიუჯეტში, რომელსაც იხდის საჯარო ინფორმაციის მიღებით დაინტერესებული პირი. მოსაკრებლის ოდენობა განსაზღვრულია ზემოთ ხსენებული კანონის მე-6 მუხლით.

კანონი ითვალისწინებს საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდისგან გათავისუფლების პირობებსაც. ეს ის შემთხვევებია, როდესაც ხდება საჯარო ინფორმაციის გაცემა

ა) ინფორმაციის მომთხოვნის დისკეტაზე ან კომპაქტურ დისკზე ინფორმაციის ჩაწერის გზით;


ბ) საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფოსტის გაგზავნის გზით;

გ) რომელიც შეეხება საჯარო დაწესებულებაში ინფორმაციის მომთხოვნ ფიზიკურ პირზე არსებულ პერსონალურ მონაცემებს.

5. ღია და დახურული საჯარო ინფორმაცია


ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია არის ღია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ:



- აწესებს მისი გამხელისგან დაცვის პირდაპირ მოთხოვნას;
- ადგენს ინფორმაციის გამხელისგან დაცვის კონკრეტულ კრიტერიუმებს და შეიცავს საიდუმლოდ დასაცავი ინფორმაციის ამომწურავ ჩამონათვალს.

სზაკ-ზე დაყრდნობით შესაძლებელია ინფორმაციის იმ 5 ტიპის გამოყოფა, რომელიც დახურულ ინფორმაციად მიიჩნევა.



ა. სახელმწიფო საიდუმლოება. ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოებად მიიჩნევა „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონის საფუძველზე, რომლის თანახმადაც კონკრეტული ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევისთვის აუცილებელია 2 წინაპირობის ერთდროულად არსებობა:

1. იგი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობის, დაზვერვის ან სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის სფეროში;
2. არსებობდეს რეალური საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ ამ ცნობის გამჟღავნება ან დაკარგვა ზიანს მიაყენებს ქვეყნის სუვერენიტეტს, კონსტიტუციურ წყობილებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს.

ინფორმაციათა ნუსხა, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ სახელმწიფო საიდუმლოებად, დადგენილია პრეზიდენტის ბრძანებულებით „სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხის შესახებ“. ასევე, პრეზიდენტის მიერ განისაზღვრება იმ პირთა წრე, რომელიც უფლებამოსილია, ინფორმაციას მიაკუთვნოს სახელმწიფო საიდუმლოების სტატუსი.

სახელმწიფო საიდუმლოების სტატუსის განსაზღვრასთან ერთად ხდება საიდუმლოების გრიფის მინიჭება, რომელზეც აღინიშნება

- საიდუმლოების ხარისხი,
- გასაიდუმლოების ვადა და

– პირის ვინაობა, რომელმაც მიანიჭა გრიფი.

ხარისხის მიხედვით გამოყოფენ საიდუმლოების სამ კატეგორიას:

1. განსაკუთრებული მნიშვნელობის" ინფორმაცია. ამ კატეგორიაში მოიაზრებენ ინფორმაციას, რომლის გავრცელება ან დაკარგვა არსებითად იმოქმედებს ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებზე და გამოიწვევს განსაკუთრებით მძიმე შედეგს. ასეთი ინფორმაციის გასაიდუმლოების მაქსიმალური ვადაა 20 წელი;
2. სრულიად საიდუმლო" ინფორმაცია. ეს ისეთი კატეგორიის მონაცემებია, რომელთა გავრცელებამ ან დაკარგვამ შეიძლება გამოიწვიოს მძიმე შედეგები ქვეყნის სასიცოცხლო, აგრეთვე, „კონფიდენტების" ინტერესებისთვის. ასეთი ინფორმაციის დასაიდუმლოების მაქსიმალური ვადაა 10 წელი;
3. საიდუმლო ინფორმაცია. საიდუმლოების ეს კატეგორია ენიჭება ინფორმაციას, რომლის გავრცელებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებზე. ასეთი ინფორმაციის გასაიდუმლოების მაქსიმალური ვადაა 5 წელი.

სახელმწიფო საიდუმლოების ხარისხის მიუხედავად, საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია, განსაკუთრებულ შემთხვევებში მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტული ინფორმაციისთვის საიდუმლოების ვადის გაგრძელების შესახებ.

ბ. პირადი საიდუმლოება. საჯარო ინფორმაცია, რომელიც იძლევა პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას, იწოდება პირის პერსონალურ მონაცემებად. პირის პერსონალური მონაცემები არის ღია. კანონი ითვალისწინებს ასეთი სახის ინფორმაციის გასაიდუმლოების ორ შემთხვევას. სზაკ-ის 27[1] მუხლის თანახმად, პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს წყვეტს პირი, რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია. აქვე კანონმდებელი უშვებს შესაძლებლობას, კანონით დაწესდეს ვალდებულება გარკვეული კატეგორიის პერსონალური მონაცემების ავტომატური გასაიდუმლოების შესახებ. ამის კონკრეტული მაგალითია საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ", რომლის თანახმადაც საიდუმლოდ ცხადდება სამედიცინო დოკუმენტაციაში არსებული მონაცემები პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ის თუ რა იგულისხმება პირის მიერ პერსონალური მონაცემის პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხის „გადაწყვეტაში“ და როდის უნდა მიიღოს მან ეს გადაწყვეტილება:

– წინასწარ უნდა მიმართოს ასეთი მონაცემების მფლობელ საჯარო დაწესებულებას და აცნობოს, რომ მის შესახებ არსებულ მონაცემებს პირად საიდუმლოებად მიიჩნევს თუ

– პერსონალური მონაცემები თავისთავად პირად საიდუმლოებად ითვლება და პირის მიერ მათი პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხის გადაწყვეტაში იგულისხმება, რომ დაუშვებელია მისი ნებართვის გარეშე მათი გაცემა.

ასევე იბადება შეკითხვა, პერსონალური მონაცემების მისაღებად წერილობითი თანხმობის წარდგენის აუცილებლობისთვის აქვს თუ არა მნიშვნელობა ამ პერსონალური მონაცემის სტატუსს

– მიჩნეულია თუ არა უკვე პირად საიდუმლოებად.

სასამართლო პრაქტიკა ამ პრობლემასთან მიმართებაში არ არის ერთგვაროვანი:

1. საქმეზე „თ.გ. დიდუბის სასამართლოს წინააღმდეგ“ უზენაეს სასამართლოს მიაჩნია, რომ, თუ პირს საჯარო დაწესებულებისთვის არ მიუმართავს საკუთარი პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის მოთხოვნით, ეს არ ნიშნავს, რომ პერსონალური მონაცემები ღიაა და ყველასთვის ხელმისაწვდომი. სასამართლოს აზრით, ასეთი ინფორმაციის მისაღებად აუცილებელია წერილობითი თანხმობის წარდგენა.
2. ამისგან განსხვავებით, უზენაესი სასამართლო სხვა მსგავს საქმეზე მიიჩნევს, რომ, თუ პირს საჯარო დაწესებულებისთვის საკუთარი პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის მოთხოვნით წინასწარ არ მიუმართავს, მაშინ მისი პერსონალური მონაცემების მისაღებად აუცილებელი არ არის წერილობითი თანხმობა და ის ყველასთვის ხელმისაწვდომია.
3. საგულისხმოა სააპელაციო სასამართლოს განმარტება საქმეზე „გაზეთი „ალია“ საქართველოს გენერალური პროკურატურის წინააღმდეგ“, სადაც სასამართლო მსჯელობს პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის შესაძლებლობაზე მათი გამოთხოვის შემდეგ. სასამართლოს ამ გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ, თუ პირისთვის ცნობილი გახდა მისი პერსონალური მონაცემების მესამე პირის მიერ

გამოთხოვის შესახებ (ასეთი შეტყობინების ვალდებულება გათვალისწინებულია სზაკ-ის 43-ე მუხლის „თ" ქვეპუნქტით) და მან არ მოითხოვა მათი პირად საიდუმლოებად მიჩნევა, პერსონალური მონაცემები ღიაა და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირისთვის.

სზაკ-ის 27[1]-ე, 37 II-ე, 43-ე „თ" და 44-ე მუხლების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს წყვეტს პირი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რაც აისახება მის მიერ საჯარო დაწესებულებაში განცხადების შემტანზე სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებული თანხმობის გაცემაში. ხოლო, იმ შემთხვევაში, როდესაც განმცხადებელი არ (ან ვერ) წარადგენს ასეთ თანხმობას, ეს არ შეიძლება გახდეს ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი. ამ დროს საჯარო დაწესებულება ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის პირს მისი პერსონალური მონაცემების მოთხოვნის შესახებ და დაადგინოს მისი ნება. თუ პირი არ მოითხოვს მისი პერსონალური მონაცემების გასაიდუმლოებას, ის ღია და ხელმისაწვდომი ხდება ამ ინფორმაციის მომთხოვნი პირისთვის.

ინფორმაცია, რომელიც პირის მოთხოვნის საფუძველზე იძენს პირადი საიდუმლოების სტატუსს, შეიძლება გაიცეს მხოლოდ თვით ამ პირის თანხმობით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით. ეს წესი არ ვრცელდება თანამდებობის პირებზე და თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატებზე. ამ პირთა პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია არის ღია.

გ. კომერციული საიდუმლოება. ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევისთვის აუცილებელია, ის შეიცავდეს სზაკ-ის 27 მუხლით განსაზღვრულ ნიშნებს:

– შესაძლებელი უნდა იყოს მისი გამოყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად ან/და

– უნდა წარმოადგენდეს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს ან

– როდესაც შესაძლოა მისმა გამჟღავნებამ ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.

არსებობს ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის ორი გზა:

1. როდესაც პირი მოითხოვს წარდგენილი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევას ან
2. კანონი ითვალისწინებს მის კომერციულ საიდუმლოებად ცნობას.

პირის მოთხოვნა ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ საჯარო დაწესებულებამ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს 10 დღის ვადაში. თუ საჯარო დაწესებულება მიიჩნევს, რომ ინფორმაცია ვერ აკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილთაგან ვერც ერთ კრიტერიუმს და, შესაბამისად, არ წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას, იგი იღებს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს დოკუმენტის ღიაობის შესახებ. პირი, რომელიც მოითხოვდა საკუთარი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევას, უფლებამოსილია, 15 დღის ვადაში გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში. ხოლო ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შემთხვევაში ნებისმიერ პირს ეძლევა შესაძლებლობა, გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება სზაკ-ით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისთვის დადგენილ ვადაში.

დ. პროფესიული საიდუმლოება. პროფესიული საიდუმლოების ცნებას განსაზღვრავს სზაკ-ის 27[3] მუხლი, რომლის თანახმადაც, პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სხვის პირად ან კომერციულ საიდუმლოებას და პირისთვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

ე. აღმასრულებელი პრივილეგია. სზაკ-ის 29-ე მუხლით განსაზღვრული აღმასრულებელი პრივილეგიის ინსტიტუტი დაადგენს იმ საჯარო მოსამსახურეთა ვინაობის გასაიდუმლოების ვალდებულებას, რომელიც მონაწილეობას ღებულობს გადაწყვეტილების მომზადების პროცესში. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებზე.

სზაკ-ის 42-ე მუხლი განსაზღვრავს იმ ინფორმაციათა ნუსხ-

ას, რომელიც არ შეიძლება გასაიდუმლოვდეს. ინფორმაციისთვის საიდუმლო ინფორმაციის სტატუსის მინიჭება არ ნიშნავს, რომ ამ ინფორმაციის შემცველი დოკუმენტი მთლიანად უნდა დაიხუროს. საიდუმლო ინფორმაციის ის ნაწილი, რომლის გახსნა არ გამოიწვევს საიდუმლო ცნობის გამჟღავნებას, უნდა გამოქვეყნდეს. საიდუმლო ინფორმაციის შესახებ რეესტრში შეტანილი მონაცემები ღიაა.

6. კოლეგიურ საჯარო დაწესებულებათა სხდომების საჯაროობა

კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ გადაწყვეტილების მომზადება და მიღება სპეციალურ სამართლებრივ რეჟიმს ექვემდებარება. ამას განაპირობებს მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისადმი განსაკუთრებული საჯარო ინტერესები. სზაკ-ის 27-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტი ახდენს კოლეგიური საჯარო დაწესებულების ცნების დეფინიციას კოდექსის III თავის მიზნებისთვის: კოლეგიური საჯარო დაწესებულება – საჯარო დაწესებულება, რომლის ხელმძღვანელი ან სათათბირო ორგანო ერთზე მეტი პირისგან შედგება და რომელშიც გადაწყვეტილებებს ერთზე მეტი პირი ერთობლივად იღებს ან ამზადებს. კოლეგიური საჯარო დაწესებულებებია, მაგალითად:

- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები – საკრებულოები;
- ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები;
- დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიები;
- სამინისტროს კოლეგიები.

სზაკ-ის 32-ე მუხლის თანახმად, თითოეული კოლეგიური საჯარო დაწესებულება ვალდებულია, ღიად და საჯაროდ წარმართოს თავისი სხდომები. კოდექსი ითვალისწინებს სხდომის დახურვის შესაძლებლობას, თუკი ეს აუცილებელია სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად. თუ სხდომის დღის წესრიგი შედგება რამდენიმე საკითხისგან, რომელთაგან მხოლოდ ნაწილი შეიცავს საიდუმლო ინფორმაციას, ასეთ შემთხვევაში იხურება სხდომის ის ნაწილი, რომლის დროსაც განიხილება საიდუმლო ინფორმაცია.

კოლეგიური საჯარო დაწესებულება ვალდებულია, ერთი კვირით ადრე გამოაცხადოს მომავალი სხდომის ჩატარების ადგილი, დრო და დღის წესრიგი, ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას – მისი დახურვის შესახებაც. გადაუდებელი აუცილებლობისას კოდექსი უშვებს სხდომის ჩატარების შესაძლებლობას ამ წესების დაუცველად. ასეთ შემთხვევაში კოდექსი ადგენს საჯარო დაწესებულების ვალდებულებას, სხდომის გამართვიდან 3 დღეში განმარტოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი.

სზაკ-ის 34-ე მუხლის IV ნაწილის თანახმად, გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული სხდომის, ასევე, სხდომის დახურვის კანონიერებაზე დავის შემთხვევაში სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის ჩატარებიდან ერთ თვეში. თუ სასამართლო დაადგენს სხდომის კანონით დადგენილი წესის დარღვევით ჩატარების ფაქტს, ეს გამოიწვევს ამ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად გამოცხადებას.

7. ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემა

სზაკ-ის მე-40 მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაცია უნდა გაიცეს დაუყოვნებლივ. „დაუყოვნებლივ“ გულისხმობს, რომ ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადება რეგისტრაციისთანავე უნდა მოხვდეს ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირთან, რომელიც ვალდებულია, დაუბრკოლებლად შეუდგეს ამ განცხადების განხილვას და გადაწყვეტას შემოსული განცხადებების რიგითობის მიხედვით. ინფორმაციის „დაუყოვნებლივ“ გაცემის პროცესი შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე დღეც. ეს დამოკიდებულია საჯარო დაწესებულებაში შემოსული განცხადებების რაოდენობასა და თითოეული მოთხოვნილი ინფორმაციის მოცულობაზე. რიგ შემთხვევებში ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემა შეუძლებელია სხვა ისეთი მიზეზებით, რომელიც გათვალისწინებულია სზაკ-ის მე-40 მუხლით. ასეთ შემთხვევაში დადგენილია საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადა არა უგვიანეს 10 დღისა.

ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემის მოთხოვნა მოიცავს ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ გაცემასაც. ეს გადაწყვეტილება გამოიცემა წერი-

ლობითი ფორმით და, შესაბამისად, შესაძლებელია მისი გასაჩივრება.

8. უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებები

უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალების სწორი ფორმის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ღონისძიების სწორი სამართლებრივი შეფასება. საჯარო ინფორმაციის მიღებით დაინტერესებულ პირს შეუძლია, გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან განხორციელებული ქმედება ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში საჩივრით ან სასამართლოში სარჩელის წარდგენით. ამისთვის აუცილებელია, დადგინდეს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის რომელ სამართლებრივ ფორმასთან გვაქვს საქმე.

საჯარო დაწესებულების უარი ინფორმაციის გაცემაზე გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმით და შესაძლებელია, გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში აქტის ოფიციალურად გაცნობიდან ან ადმინისტრაციულ საჩივარზე გადაწყვეტილების გაცნობიდან 1 თვის ვადაში. ამავე წესით და ამავე ვადაში საჩივრდება კოლეგიური საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილება სხდომის მთლიანად ან ნაწილობრივ დახურვის შესახებ, აგრეთვე, საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ

პერსონალური მონაცემების ან არასწორი ინფორმაციის უკანონოდ შეგროვება, დამუშავება, შენახვა, მათი სხვა პირისთვის ან საჯარო დაწესებულებისთვის უკანონოდ გადაცემა შესაძლებელია გასაჩივრდეს სარჩელით მოქმედების განხორციელების ან განხორციელებისგან თავის შეკავების მოთხოვნით.

ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად არცნობის თაობაზე საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილების მიმართ სზაკ-ი ადგენს გასაჩივრების 15-დღიან ვადას.

სზაკ-ი ადგენს გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული სხდომის – რეალაქტის – კანონიერების შესახებ საჩივრის წარდგენის სპეციალურ 1-თვიან ვადას, რომელიც აითვლება სხდომის ჩატარების დღიდან.

პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობაზე უარის თქმის შესახებ საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილება – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – საჩივრდება უარის მიღებიდან 1 თვეში.

დაინტერესებული პირის მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე გულისხმობს საჯარო დაწესებულების მხრიდან რეალაქტის განხორციელების მოთხოვნას. საჯარო დაწესებულების მხრიდან უმოქმედობის ან მოქმედების განხორციელების ვადის დარღვევის შემთხვევაში პირი უფლებამოსილია, მიმართოს სასამართლოს სარჩელით საჯარო დაწესებულების მიერ მოქმედების განხორციელების მოთხოვნით. იმ შემთხვევაში, როდესაც პირს მიაჩნია, რომ საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის გაცემა ზღუდავს მის კანონიერ უფლებებს, მას ეძლევა შესაძლებლობა, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი საჯარო დაწესებულების მიერ მოქმედებისგან თავის შეკავების მოთხოვნით. სასამართლო დაინტერესებული პირის სასარჩელო განცხადების მიღებიდან 2 კვირის ვადაში ამოწმებს სარჩელის დასაშვებობას, ხოლო, თუ სარჩელი დასაშვებია, მიიღებს საქმეს წარმოებაში და ახდენს მისი დასაბუთებულობის დადგენას.

სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე (სასკ-ის 24-ე მუხლი) **დასაშვებია**, თუ:

1. სარჩელის მიზანია (ისეთი ქმედების განხორციელება ან ისეთი ქმედებისგან თავის შეკავება, რომელიც არ გულისხმობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას) საჯარო ინფორმაციის გაცემა;
2. ადმინისტრაციული ორგანოს (მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე) უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე - პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე დასაბუთებულია (სასკ-ის 33 -ე მუხლი), თუ:

1. ადმინისტრაციული ორგანოს უარი ინფორმაციის გაცემაზე უკანონოა და
2. ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელი ხდება დარღვეული უფლების დაცვა სასკ-ის 24-ე მუხლის საფუძველზე აღძრული სარჩელის საშუალებით, დაინტერესებულ პირს ეძლევა შესაძლებლობა, გამოიყენოს სასკ-ის 25-ე მუხლით დადგენილი აღიარებითი სარჩელი და მოითხოვოს საჯარო დაწესებულების მიერ უკვე განხორციელებული ქმედების უკანონობის აღიარება, რაც შემდგომში შესაძლებლობას მისცემს, მოითხოვოს ქონებრივი ან არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება.

აღიარებითი სარჩელი (სასკ-ის 25-ე მუხლი) **დასაშვებია,** თუ:

1. სარჩელის მიზანია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარება ან უფლების, ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა;
2. მოსარჩელეს არ შეუძლია აღძრას სარჩელი სასკ-ის 22-24 მუხლების საფუძველზე.

აღიარებითი სარჩელი **დასაბუთებულია,** თუ:

1. დადგინდა სზაკ-ის მე-60 მუხლით განსაზღვრული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად ცნობის ერთ-ერთი საფუძვლის არსებობა ან სადავო უფლების, ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა ან არარსებობა;
2. მოსარჩელეს აქვს სადავო აქტის არარა აქტად ცნობის ან უფლების, ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის ან არარსებობის დადგენის კანონიერი ინტერესი.

დანართი 1

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

საქმე ბს-174-135-კ-05წ. №9 ფეიქრიშვილები

19 მაისი, 2005 წელი
თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლო ადმინისტრაციული სამართლის და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ნათია წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
მოსამართლეები – იამზე ლეგაშვილი, ჯემალ გახოკიძე

თამარ შუშიაშვილის მდივნობით

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი განხილვა

კასატორი (III პირი) – თამარ ლომიძე

კასატორი (მოპასუხე) – თბილისის სააღსრულებო ბიურო

მოწინააღმდეგე მხარეები (მოსარჩელეები) – მზია და გია ფეიქრიშვილები

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე.

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

2003 წლის 30 აპრილს კრწანისი–მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართეს მოსარჩელეებმა – მზია და გია ფეიქრიშვილებმა, მოპასუხე – ქ. თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიმართ და მოითხოვეს ქ. თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ 2003 წლის 21 იანვარს განმეორებით ჩატარებული საჯარო აუქციონის შედეგების /რომლის შედეგად მოსარჩელე ფეიქრიშვილის სახ-

ელზე რიცხული ბინის (მდებარე ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, მე-2 კვარტალი, №20 კორპუსი, ბინა №43) მესაკუთრე გახდა თ. ლომიძე/ და ქ. თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ 2003 წლის 24 იანვარს მიღებული განკარგულების გაუქმება, შემდეგი საფუძვლით: გ. ფეიქრიშვილს ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში სარჩელი ჰქონდა აღძრული მოპასუხე მ. ფეიქრიშვილის მიმართ მის სახელზე რიცხული ბინიდან წილის გამოყოფის თაობაზე მითითებული სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით გ. ფეიქრიშვილის შუამდგომლობის საფუძველზე სადაო ბინას ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 23 იანვრის განჩინებით დაედო ყადაღა. მიუხედავად აღნიშნულისა 2003 წლის 24 იანვარს სასამართლოს აღმასრულებლის მიერ შედგა ოქმი და 24 იანვარს განმეორებით ჩატარებული საჯარო აუქციონის წესით დაყადაღებული ბინა გასხვისდა სხვა პირზე (თ. ლომიძეზე), სასამართლო აღმასრულებელმა, რომელმაც იცოდა სადაო ბინაზე ყადაღის დადების ფაქტის თაობაზე დაარღვია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 63 მუხლი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლი და საქართველოს კონსტიტუციის 82.2 მუხლის მოთხოვნები /იხ. ს.ფ. 2-4/

მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 19 ივნისის განჩინებით საქმეში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის შესაბამისად, მესამე პირად ჩაბმული იქნა თ. ლომიძე /იხ. ს.ფ. 18/

კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 03 სექტემბრის განჩინებით წინამდებარე ადმინისტრაციული საქმე განსჯადობით უფლებამოსილ სასამართლოს – ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს გადაეცა განსახილველად. /იხ. ს.ფ. /

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლის შესაბამისად, განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტის მიზნით, წინამდებარე საქმე ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს გადაეგზავნა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით მზია და გია ფეიქრიშვილების სასარჩელო მოთხოვნა განსჯადობით განსახილველად დაექვემდებარა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს / იხ. ს.ფ. 53-55/

2003 წლის 10 დეკემბერს მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა,

რაც სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად: სადაო ბინაზე ყადაღის დადების თაობაზე 2003 წლის 23 იანვარს გაცემული სააღსრულებო ფურცელი აუქციონის განმეორებით ჩატარების დროისთვის (2003 წლის 24 იანვარი) არავის არ ეწერა ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღმასრულებელი უფლებამოსილი იყო ჩაეტარებინა განმეორებითი აუქციონი, მით უფრო, რომ განმეორებითი საჯარო აუქციონი ჩატარდა ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 07 ოქტომბრის №2/1323 სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, რომლის თანახმად, მ. ფეიქრიშვილს თ. ლომიძის სასარგებლოდ დაეკისრა 93 000 ა.შ.შ დოლარისა და 260 ლარის გადახდა /იხ. ს.ფ./

რაიონული სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. და გ. ფეიქრიშვილებმა, რომლითაც მოითხოვეს გაუქმება, შემდეგი მოტივით: რომ როგორც მათი, ისე მოპასუხეების და მესამე პირის ორჯერ არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა რაიონული სასამართლოს სხდომაზე სახეზე არ ყოფილა, მიუხედავად ამისა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებული იქნა მოსარჩელეების დასწრების გარეშე. აპელანტები ასევე, სადაოდ ხდიან იმ ფაქტს, რომ აღმასრულებელს სააღსრულებო ფურცელი დაეწერა მაშინ, როცა მას უკვე ხელმეორე აუქციონი დანიშნული ჰქონდა, როცა სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში ერთი დღით ადრე შესული განჩინება, შიდა დებულებისთვის და რატომ უნდა გადაეწეროს საქმე, განჩინების აღსრულებასთან საერთო არაფერი არ გააჩნია /იხ. ს.ფ./

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. და გ. ფეიქრიშვილების სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2003 წლის 21.01. განმეორებით ჩატარებული აუქციონის შედეგები, ბათილად იქნა ცნობილი თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2003 წ. 24.01 №01/14-37 განკარგულება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმაოდ დასაბუთებული, რაიონულმა სასამართლომ არ გამოიყენა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 63^1 მუხლი, რომელიც უნდა გამოეყენებინა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 23 იანვრის განჩინების /თბილისში ვაჟა-ფშაველას VI კვ. XX კორპუსის №43 ბინაზე ყადაღის დადების თაობაზე/ საფუძველზე ამავე თარიღით გაცემული სააღსრულებო ფურცელი №04/03-12-4061 2003 წლის 23 იანვარს წარდგენილი იქნა სააღსრულებო ბიუროში და 24.011.03. რეზოლუციით დაეწერა აღმასრულებელ ზ. თაფლაძეს; 2004 წლის 24.01. 11^{00} საათზე აღმასრულებელ ზ. თაფლაძის მიერ გამართული აუქციონის შედეგების ოქმის მიხედვით აუქციონზე გამარჯვებულად გამოცხადდა თამარ ლომიძე, ხოლო №01/14-37 განკარგულებით იგი შეძენილი ბინის მესაკუთრედ გამოცხადდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დავის საგანი: სააღსრულებო ბიუროს აუქციონის ოქმი და განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ გარიგებას, რომელიც დადებული იქნა ადმინისტრაციული ორგანოსა და ფიზიკურ პირს შორის უძრავი ნივთის ნასყიდობის თაობაზე და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 70-ე მუხლიდან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საფუძველზე სადავო გარიგებები მიიჩნია ბათილ გარიგებად, რომელც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის 63^{1} მუხლთან წინააღმდეგობაში ყოფნის გამო; რომ მითითებული ნორმის მიხედვით უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ნიშნავს ქონების აღწერას და მისი განკარგვის, ნებისმიერი ფორმით გასხვისების აკრძალვას, რამდენადაც ამავე მუხლის მე-2 ნაწილით ბათილია ყადაღადადებულ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შემდეგ ამ მუხლის I პუნქტით გათვალისწინებული ყველა გარიგება /იხ. ს.ფ. 23-29, სააპელაციო წარმოება დანომრილია ნულიდან/.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს თამარ ლომიძემ და თბილისის სააღსრულებო ბიურომ, რომლითაც მოითხოვეს მისი გაუქმება, როგორც საპროცესო და სამართლის ნორმების დარღვევით მიღებული, შემდეგი მოტივით:

სააპელაციო სასამართლოს შეფასება სააღსრულებო ბიუროს აუქციონის შედეგების ოქმისა და განკარგულების ადმინისტრაციულ გარიგებად მიჩნევის თაობაზე, არასწორია, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობით ადმინისტრაციული ორგანო, ისეთ სამოქალაქო-

სამართლებრივ გარიგებაში, როგორიცაა ადმინისტრაციული გარიგება, შეიძლება შევიდეს მხოლოდ საკუთარი ქონებით და საკუთარი ნებით, როგორც გარიგების სუბიექტი და როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი, იძულებითი აუქციონის ჩატარების დროს კი სააღსრულებო ბიურო წარმოადგენს არა გარიგების სუბიექტს და კერძო სამართლის პირს, არამედ, სასამართლო აქტების აღმასრულებელ ორგანოს, რომელიც სახელმწიფოს სახელით, საჯარო აუქციონის წესით, კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებისა და ვალდებულების ძალით ახორციელებს აღსრულებას და ყიდის არა საკუთარ, არამედ მოვალის ქონებას იძულებითი წესით, მოვალის ნებისგან დამოუკიდებლად და იმ მიზნით, რომ აღსრულდეს კანონი და დაკმაყოფილდეს კრედიტორის კანონიერი მოთხოვნები; კასატორები ითვლიან რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 3.4 „დ" მუხლის განმარტების თანახმად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება, მათ შორის ადმინისტრაციული გარიგების მომწესრიგებელი ნორმები, არ ვრცელდება ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან, რის გამოც კასატორები თვლიან, რომ იძულებითი აუქციონი წარმოადგენს არა ადმინისტრაციულ გარიგებას, არამედ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის 63-ე მუხლის საფუძველზე მხოლოდ აღსრულების ღონისძიებას, რომლის წესსა და პირობებს ადგენს ეს საჯარო კანონი და არა სამოქალაქო და ადმინისტრაციული კოდექსები.

კასატორები არ იზიარებენ სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ბინაზე დადებული ყადაღა გარიგების ბათილად გამოცხადების პირობას წარმოადგენს, მაშინ, როცა გარიგებაში მონაწილე მხარეებისათვის ბინაზე ყადაღა დადებულად ითვლება მას შემდეგ, რაც ყადაღის დადების აქტის ასლს მიიღებს საჯარო რეესტრი და მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება მოჰყვეს გარიგებას სუბიექტებისთვის რაიმე სამართლებრივი შედეგი, აუქციონის ჩატარების ოქმზე მითითებით კასატორი თვლის, რომ განჩინება ყადაღის დადების შესახებ აღსრულებული არ იყო, რაც გამორიცხავდა ზემომითითებული კანონის 63[1] მუხლის შეფარდების შესაძლებლობას.

კასატორები უთითებენ, რომ იძულებითი აუქციონი შეიძლება ბათილად გამოცხადდეს იმ შემთხვევაში, თუ დარღვეულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონით დადგენილი მისი

ჩატარების წესი და პირობები, კასატორები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავისა და 198-ე მუხლის საფუძველზე განმარტავენ რა ყადაღის ინსტიტუტს, თვლიან, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 63[I] მუხლში ჩამოყალიბებული აკრძალვები ეხება მხოლოდ მოპასუხეს და არა სააღსრულებო ბიუროს და შესაბამისად, მოპასუხის დაყადაღებული ქონების გასხვისება ეკრძალება არა აღმასრულებელს, არამედ. მხოლოდ მოპასუხეს, რომელიც სააღსრულებო საბუთით წარმოადგენს მოვალეს, ასვე კასატორები თვლიან, რომ სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებულ საქმეზე გამოტანილი ყადაღის განჩინება ვერ შეაჩერებდა და ხელს ვერ შეუშლიდა სხვა საქმესთან დაკავშირებით მიღებულ კანონიერ ძალაში შესული 2002 წ. 09 ივლისის განჩინების აღსრულებას, ხოლო „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 36-ე და 70-ე მუხლები ადგენს რა აღსრულების შეჩერებისა და იძულებითი აუქციონის შეჩერების ან გაუქმების საფუძვლებს მოვალის ბინაზე დადებული ყადაღა არ ითვლება ასეთ საფუძვლად, ამავე კანონის 33-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოს მიერ მიღებული არ ყოფილა განჩინება აღსრულების შეჩერების თაობაზე, აღმასრულებელი არა თუ უფლებამოსილი, არამედ ვალდებულიც იყო გაეგრძელებინა აღსრულება. კასატორის მიჩნევით სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლის და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 82[I] და 83[I] მუხლების თანახმად იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნა არის I რიგის მოთხოვნა და ნებისმიერ სხვა კრედიტორს, მათ შორის გ. ფეიქრიშვილსაც, უფლება – დაეკმაყოფილებინა თავისი მოთხოვნები, იპოთეკით დატვირთულ უძრავი ქონებიდან წარმოიქმნებოდა მას შემდეგ, რაც სრულად დაკმაყოფილდებოდა I რიგის ანუ იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნები, ხოლო რამდენადაც აუქციონის გამართვამდე დაეკმაყოფილებინა თავის მოთხოვნები იპოთეკით დატვირთული ბინიდან, გ. ფეიქრიშვილს არ გააჩნდა და ეს უფლებები არ წარმოშობილა, რადგან ბინაში გადახდილი თანხა საკმარისი აღმოჩნდა მხოლოდ I რიგის, ანუ კასატორ ლომიძის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, მ. ფეიქრიშვილს, როგორც მოვალეს, აუქციონის გამართვის დროს არანაირი მოთხოვნები, შესაბამისად უფლებები არ გააჩნდა, გარდა ზემომითითებილი კანონის 70.2 მუხლში გათვალისწინებულისა, გადაეხადა ვალი და დაეკმაყოფილებინა კრედიტორი, აღნიშნულის გამო კასატორები თვლიან, რომ არარსებული და არწარმოშობილი უფლებები ვერც

შეიზღუდება და ვერც დაზიანდება, რის გამოც არ არსებობდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22.2 მუხლის თანახმად ფეიქრიშვილების სარჩელის დასაშვებობის პირობა.

კასატორი ლომიძე საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევად მიიჩნევს, რომ სასამართლომ კანონით დადგენილი წესით არ გაუგზავნა უწყება იმ მისამართზე, სადაც იგი რეგისტრირებულია და ცხოვრობს, მაშინ, როცა მისი მისამართი დაფიქსირებული იყო სააღსრულებო წარმოების მასალებში, სასამართლომ კანონშეუსაბამოდ გამოაცხადა მისი ადგილსამყოფელი ფაქტობრივად დაუდგენლად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის „74 მუხლის" გამოყენების წინაპირობების არარსებობის გამო /იხ. ს.ფ.43-49, 54-63/.

თბილისის სააღსრულებო ბიუროს საკასაციო საჩივრის ერთერთ მოტივს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ბინაზე ყადაღის დადების დროსაც და იძულებითი აუქციონის ჩატარების დროსაც სახელმწიფო არ აღასრულებს მართლმსაჯულებას სააღსრულებო ბიუროს მეშვეობით, გამოდის, რომ ყადაღის დადების აქტით სახელმწიფო თავის თავს უკრძალავს მართლმსაჯულების აღსრულებას, რაც სრულიად აბსურდულად მიაჩნია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის საფუძველზე, რადგან ერთი განჩინების აღსრულება ვერ შეაჩერებს და ვერ გამორიცხავს მეორე განჩინების აღსრულებას, თუ განჩინებაში პირდაპირ არ არის მითითებული ამის შესახებ, კასატორი თვლის, რომ კანონის ნორმა უნდა განიმარტოს იმდაგვარად, რომ წინააღმდეგობაში არ მოდიოდეს ამავე კანონის, ასევე უფრო მარალი ან ამავე დონის კანონის მუხლებთან და საქართველოს კონსტიტუციასთან, კერძოდ, თუ გ. ფეიქრიშვილის უფლება – მოახდინოს ამ სარჩელის უზრუნველყოფა, რომელშიც აღძრული მოთხოვნები სასამართლოს გზით ჯერ კიდევ დადასტურებული არ არის და რომელიც აღძრულია არა აუქციონის განმახორციელებელი კრედიტორის წინააღმდეგ, ზღუდავს ან ზიანს აყენებს აუქციონის განმახორციელებელ კრედიტორისა და იპოთეკის კანონიერ უფლებას, მოითხოვოს ამ კანონიერი უფლებების დროული აღსრულება, კანონის ამგვარი განმარტება ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 44.2 მუხლს, კანონის ნორმის ამგვარი განმარტება, წინააღმდეგობაში მოდის ამავე კანონის მე-17, 33-ე, 36-ე, 70-ე, 50-ე, 71-ე მუხლებთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 და კონსტიტუციის 84-ე და 44-ე მუხლებთან, აგრეთვე, მიაჩნია, რომ

გ. ფეიქრიშვილი სამოქალაქო სარჩელით ითხოვდა წილს მზია ფეიქრიშვილის ბინიდან, რომელიც თ. ლომიძის მიერ იპოთეკით იყო დატვირთული, დადასტურებული სასამართლოსთვის წარდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერით, ხოლო იპოთეკით დატვირთული ბინიდან წილის მოთხოვნა წარმოადგენს უკანონო მოთხოვნას, რომლის უზრუნველყოფა ასევე არის უკანონო. ამასთან, ყადაღის დადების შესახებ განჩინება გაუქმებულ იქნა 11 თებერვლის განჩინებით, მანამ, სანამ ბინის შემძენი მოითხოვდა ყადაღის დადების განჩინების გაუქმებას /იხ. ს.ფ. 61-62/.

მოწინააღმდეგე მხარეებს წერილობითი შესაგებელი არ წარმოუდგენიათ, სასამართლო სხდომაზე მათმა წარმომადგენელმა არ ცნო საკასაციო საჩივრები და მოითხოვა მათ დაკმაყოფილებაზე უარის თქმა /იხ. სხდომის ოქმი ს.ფ./

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების მოტივების დასაბუთებულობა-საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების და საკასაციო საჩივრების სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თ. ლომიძის და თბილისის სააღსრულებო ბიუროს საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება, გ. და მ. ფეიქრიშვილების სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეულია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 და 394 „ე“ მუხლების მოთხოვნები. სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი რომელიც უნდა გამოეყენებინა, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის დასაბუთებული.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორ თამარ ლომიძის მოტივაციას სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმე-

ბის დარღვევის თაობაზე, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394 „ბ“ მუხლის მოთხოვნათა უგულვებელყოფით, სასამართლომ საქმე განიხილა მესამე პირის თ. ლომიძის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით, რაც საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს, კერძოდ სააპელაციო სასამართლოს მიერ მესამე პირს უწყება გაეგზავნა აუქციონით გასხვისებულ ბინის მისამართზე – თბილისში, ვაჟა-ფშაველას II კვ. კ. №2, ბ.№43, რომელიც რეგისტრირებულია თ. ლომიძის სახელზე, რამდენადაც იგი მესამე პირად საქმეში ჩაბმული იქნა რაიონული სასამართლოს ინიციატივით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის საფუძველზე, როგორც რაიონული, ისე სააპელაციო სასამართლოები ვალდებულნი იყვნენ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების საფუძველზე გამოეთხოვათ სააღსრულებო წარმოების მასალები, მათ შორის, თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ გაცემული 2002 წ. 07 ოქტომბრის №2/1323 სააღსრულებო ფურცელი, რომლის საფუძველზეც განხორციელდა სააღსრულებო წარმოება და რომლის მიხედვით კრედიტორს თამარ ლომიძე წარმოადგენდა, რომლის მისამართიც, როგორც კრედიტორის სავალდებულო რეკვიზიტი მითითებული იქნებოდა. ნაცვლად აღნიშნულისა, სასამართლომ მესამე პირის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი დაუდგენლად მიიჩნია და უწყება ადგილობრივი მმართველობის ორგანოს რაიონულ გამგეობას გაუგზავნა, სააპელაციო სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის გამოყენება შეეძლო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენების შედეგად სახეზე იქნებოდა მესამე პირის ფაქტობრივი ადგილსამყოფლის დაუდგენლობა.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ დავის გადაწყვეტისას გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმები, რომლებიც არ უნდა გამოეყენებინა, სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა დავის საგანს – მიიჩნია, რა რომ სააღსრულებო ბიუროს აუქციონის ოქმი და განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ გარიგებას, შესაბამისად, სადავო სამართალურთიერთობას არასწორად შეუფარდა მატერიალური სამართლის ნორმა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის სამოქალაქო გარიგების ბათილად ცნობის მომწესრიგებელი ნორმები.

საქართველოს კონსტიტუციის 82.2 მუხლის მიხედვით, სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საერთო სასამართლოების მიერ მიღებული აქტების აღსრულების წესსა და პირობებს აწესრიგებს რა 1999 წლის 16 აპრილის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონი, რომლის 5.3. მუხლის თანახმად, თავის საქმიანობაში სააღსრულებო დაწესებულება – სააღსრულებო ბიურო ხელმძღვანელობს ამ კანონით, საქართველოს ნორმატიული აქტებით და სააღსრულებო ბიუროს დებულებით, ხოლო, 17.3. მუხლის თანახმად სასამართლო აღმასრულებელი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ამ კანონით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" ინსტრუქციითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

მითითებული ნორმატიული აქტით დადგენილია სპეციალური პროცედურა, სააღსრულებო წარმოების სპეციფიურობიდან გამომდინარე, რომლის საფუძველზეც ხორციელდება სააღსრულებო მოქმედებები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონმდებლის მიერ სავსებით ლოგიკურად დადგინდა რა ადმინისტრაციული წარმოების სპეციალური სახე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 3.4. მუხლის მიხედვით აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საგამონაკლისო საქმიანობათა ჩამონათვალში, მითითებულია სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საქმიანობაც (პუნქტი „გ"), რაც გულისხმობს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების სახეები არ გამოიყენება სააღსრულებო მოქმედებათა განხორციელების სტადიებზე შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტების გამოცემისას, რაც არცერთ შემთხვევაში გაგებულ არ შეიძლება იქნას იმგვარად, რომ სააღსრულებო დაწესებულებების მიმართ საერთოდ არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმების მოქმედება, რამდენადაც, კოდექსის 3.1. მუხლის იმპერატიული შინაარსის დებულების თანახმად ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება ყველა ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობაზე, შესაბამისად, იგი ვრცელდება სააღსრულებო დაწესებულებათა, როგორც სახელმწიფო ორგანოს საქმიანობაზეც, მათ შორის, ადმინისტრაციულ ორგანოს საქმიანობის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დადგენილი პრინციპები, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.„ა" მუხლით ტერმინი „ადმინისტრაციული წარმოება"

განმარტებულია, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მომზადებას, გამოცემისა და აღსრულების, აგრეთვე ადმინისტრაციულ საჩივრის გადაწყვეტის მიზნით, შესაბამისად, ამ კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების სახეები ვერ გავრცელდება სასამართლო აქტების აღსრულებასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე, რადგან აღმასრულებლის მიერ სააღსრულებო წარმოების საფუძველზე სააღსრულებო მოქმედებების ჩატარება ემსახურება არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, არამედ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზანს.

სასამართლო ახორციელებს რა სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრებული ფუნქციას – მართლმსაჯულებას, სახელმწიფოს სახელით დადგენილი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა გულისხმობს მის უპირობო და სავალდებულო შესრულებას. მოქმედი კანონმდებლობით სასამართლო აქტების აღსრულების კომპეტენცია არ არის სასამართლო სისტემის იურისდიქცია, იგი განეკუთვნება აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებას სპეციალურ კანონში სავსებით სწორად გამოყენებული ტერმინის „სააღსრულებო მოქმედებათა“ განხორციელების მექანიზმით, კერძოდ, კანონის 26-ე მუხლის თანახმად სასამართლო აღმასრულებელი სააღსრულებო მოქმედებას იწყებს იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობით განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, ასევე, 29.1. მუხლის მიხედვით სასამართლო აღმასრულებელმა ყოველ სააღსრულებო მოქმედების შესახებ უნდა შეადგინოს ოქმი, რომლის ერთ-ერთ რეკვიზიტს წარმოადგენს სააღსრულებო მოქმედების შესრულების საგნის მითითება (პუნქტი „ე“).

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მითითებული ცხადყოფს, რომ სააღსრულებო ბიუროს მიერ ჩატარებული იძულებითი აუქციონი წარმოადგენს არა ხელშეკრულებას, არამედ, სააღსრულებო მოქმედების ერთ-ერთ სახეს, შესაბამისად, მის მიმართ სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების მაკვალიფიცირებული, მათ შორის მისი ბათილად ცნობის, ნორმების გამოყენება სრულიად კანონსაწინააღმდეგოა, სამართალურთიერთობასთან შეუსაბამობის გამო. აღნიშნულზე, საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს კასატორთა მოსაზრებას, რომ ადმინისტრაციულ გარიგებაში ადმინისტრაციული ორგანო შეიძლება შევიდეს მხოლოდ საკუთარი ქონებით და საკუთარი ნებით, როგორც გარიგების სუბიექტი და კერძო სამართლის იურიდიული პირი, რასაც მოცემულ

შემთხვევაში ვერ ექნება ადგილი იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ იძულებითი აუქციონის ჩატარების მომენტში სააღსრულებო ბიურო არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც გარიგების სუბიექტი, რომელიც სახელმწიფოს სახელით მართლმსაჯულების აქტების აღსრულების ანუ კანონის აღსრულების მიზნის მისაღწევად ყიდის არა საკუთარ, არამედ მოვალის ქონებას იძულების წესით, მოვალის ნების საწინააღმდეგოდ, კრედიტორის კანონიერი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მაშინ, როცა სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლში მოცემული დეფინიციის მიხედვით გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ნების გამოვლენა გარიგების განსაზღვრის ფუნდამენტია, ამასთან, სამოქალაქო სამართალი იმ თვალსაზრისს ემყარება, რომ პირებმა ურთიერთობა ერთმანეთს შორის თავად უნდა მოაწესრიგონ. ამ პრინციპს კერძო ავტონომია ეწოდება, რომლის განხორციელების ყველაზე თვალსაჩინო და გავრცელებულ საშუალებას სამოქალაქო სამართალში წარმოადგენს გარიგება, გარიგებად მიიჩნევა მხოლოდ ისეთი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, ამასთან, ნების არა ყოველგვარი გამოვლენა წარმოადგენს გარიგებას.

აღნიშნული განსაკუთრებით თვალსაჩინოა, როცა სამართალურთიერთობის ერთ-ერთ სუბიექტს ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს, რომელსაც საქმიანობის ფორმების სპეციფიკიდან გამომდინარე, მმართველობითი ღონისძიების განორციელების შემდეგი სახეები გააჩნია: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რეალაქტი და ადმინისტრაციული ხელშეკრულება.

მოცემულ შემთხვევაში, სახეზე არ არის რა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მიხედვით ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების /დადოს ადმინისტრაციული გარიგება/ გამოყენება, რამდენადაც აუქციონის ჩატარებისას აღმასრულებლის ნების გამოვლენა გამომდინარეობს არა გარიგების დადების სურვილიდან, არამედ, გამომდინარეობს კანონისმიერი ვალდებულებიდან – აღასრულოს სასამართლოს კანონისმიერ ძალაში შესული აქტები და ამ მმართველობითი ფუნქციის შესრულებისას იგი ნების გამოვლენას ახორციელებს არა ხელშეკრულების ფორმით, არამედ, ადმინისტრაციული აქტის მიღებით, რომელიც

სავალდებულოა შესასრულებლად. ადმინისტრაციული ორგანოს ღონისძიების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მის სამართლებრივ ბუნებას, არამედ, მისი საქმიანობის ადმინისტრაციულ ფორმას და სამართლის იმ ნორმის ხასიათს, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ქმედების უფლებამოსილებით აღჭურავს და არა იმას, სამართლის რომელ სფეროში იჩენს თავს სამართლებრივი შედეგი, ანუ გადამწყვეტია საიდან მოდის ღონისძიება და არა ის, თუ საითკენაა იგი მიმართული; საკასაციო სასამართლო დასკვნის სახით განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალში ცალმხრივი ნების გამოვლენის ფორმაა ადმინისტრაციული აქტის გამოცემა.

მოცემულ პროცედურაში არათუ სამოქალაქო გარიგების ნამდვილობის ელემენტი – კლასიკური ნების გამოვლენა არ არის სახეზე, არამედ, ფორმალური თვალსაზრისითაც სააღსრულებო ბიუროსა და აუქციონზე ქონების შემძენს შორის არ იდება წერილობითი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, არამედ, აღმასრულებელი გამოსცემს განკარგულებას, რომელშიც ფიქსირდება შეძენილი ქონება, აუქციონზე ქონების შემძენი, შემოთავაზებული ფასი და აუქციონის პირობები. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 75-ე მუხლით მოწესრიგებულია აუქციონზე შეძენილ ქონებაზე უფლების მიღება, კანონმდებელი სწორედ განკარგულების გამოცხადებას და შემძენის მიერ ფასის სრულად გადახდას უკავშირებს შემძენის უფლებას, შეძენილი ქონების მიმართ გამოიყენოს თავისი კანონიერი უფლება. მითითებული პროცედურით სრულიად ლოგიკურად გათვალისწინებული არ არის სააღსრულებო ბიუროსა და შემძენს შორის ხელშეკრულების გაფორმება.

განსახილველ დავაშიც ზემომითითებული კანონის 71-77 მუხლების საფუძველზე გამოცემულია განკარგულება /იხ.ს.ფ. 7/, რომელიც როგორც ფორმალური, ასევე მატერიალური თვალსაზრისით წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც ასახავს კონკრეტული სააღსრულებო მოქმედების – იძულებითი აუქციონის ჩატარების ფაქტს.

საგულისხმოა, რომ მოცემულ საქმეშიც /ს.ფ. 110/ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, სადავო ბინის თ. ლომიძეზე საკუთრების უფლებით დარეგისტრირების საფუძველს წარმოადგენს სწორედ თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის ზ. თაფლაძის 2003 წლის 24.01 განკარგულება №01/14-37, რაც ნიშნავს, რომ საჯარო რეესტრში მესაკუთრედ

დარეგისტრირებისათვის, განსხვავებით სამოქალაქო ხელშეკრულებისაგან, ნასყიდობის ხელშეკრულება საჭირო არ არის და საკმარისია აღმასრულებლის განკარგულება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 18.1 მუხლით განსაზღვრულია რა კრედიტორის და მოვალის უფლებები, მათ შორის სასამართლო აღმასრულებლის მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების უფლება, დადგენილია გასაჩივრების სპეციალური ვადა, კერძოდ, სააღსრულებო მოქმედების განხორციელებიდან ერთი თვის ვადაში, რომლის ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა ან უნდა გამხდარიყო მისი უფლების დარღვევის შესახებ.

ხანდაზმულობის სპეციალური ვადის, ამასთან, მხოლოდ ერთი თვის დადგენა ამ სპეციფიური წარმოების დამახასიათებელ კიდევ ერთ ელემენტს შეიცავს, სააპელაციო სასამართლოს განვითარებული მსჯელობის თანახმად სახეზე გვექნება ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის გასაჩივრების ვადა ერთი თვეა, რაც სრულიად შეუსაბამობაშია სამოქალაქო კოდექსით სამოქალაქო - სამართლებრივი ხელშეკრულების გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადებთან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააღსრულებო ბიუროს სააღსრულებო მოქმედების ამსახველი ოქმი და აუქციონის შედეგების ამსახველი განკარგულება წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2. დ) მუხლით დეფინირებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რომლებიც ამავე დროს კონკრეტული პროცედურული მოქმედების შესრულების მტკიცებულებას წარმოადგენს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს – სააღსრულებო ბიუროს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის – „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური – სამართლებრივი აქტი, რომელიც წყვეტს მოვალის საკუთრების უფლებას გაყიდულ ქონებაზე, აწესებს შემძენის მოვალეობას - თანხის სრულად გადახდის თაობაზე და ადასტურებს პირის (შემძენის) უფლებას შეძენილ ქონებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ფორმის სწორი კვალიფიკაციის საპროცესო-სამართლებრივი მნიშვნელობა ვლინდება იმაში, რომ იგი წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას სარ-

ჩელის სწორი ფორმის განსაზღვრისათვის. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით განსაზღვრული სარჩელი დამოკიდებულია ადმინისტრაციული აქტის არსებობასთან. განსახილველ შემთხვევაში სახეზეა არა სარჩელი ადმინისტრაციული გარიგების, არამედ ადმინისტრაციული აქტების კანონიერების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას სადავო აუქციონის ოქმის და განკარგულების „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 63[1] მუხლთან წინააღმდეგობის თაობაზე, შემდეგ გარემოებათა გამო: მითითებული კანონის XI თავის „აღსრულება“ უძრავ ქონებაზე 61-63 მუხლები წარმოადგენს აღმასრულებლის სახელმძღვანელო ნორმებს, რომელთა საფუძველზე იგი განახორციელებს აღსრულებას უძრავ ქონებაზე, მათ შორის, 63-ე მუხლით გათვალისწინებული საღსრულებო მოქმედების ერთ-ერთი სახე უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება წარმოადგენს აღმასრულებლის კომპეტენციას, როგორც აღსრულების საგნის უზრუნველყოფას. განსახილველ საქმეში აუქციონზე გატანილ მოვალე მ. ფეიქრიშვილის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებას – მდ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი მე-2 კვარტალი №20 კორპუსი, ბინა №43, აღმასრულებლის მიერ სწორედ მითითებული ნორმის საფუძველზე დაედო ყადაღა, რომლის გამოყენების შემდეგ ბათილია ყადაღადადებულ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შემდეგ 63[1]. 1 მუხლით გათვალისწინებული ყველა გარიგება, რაც ეხება სწორედ მესაკუთრეს, რომელსაც ქონებაზე ყადაღის დადების შემდეგ ეკრძალება მისი განკარგვა, ნებისმიერი ფორმით გასხვისება. ამდენად, მითითებული ნორმის სუბიექტს ყადაღის დადების ინიციატორი სააღსრულებო ბიურო წარმოადგენს და არცერთ შემთხვევაში, არ შეიძლება გაგებულ იქნას იმგვარად, რომ ამ ნორმით აღმასრულებელს ეკრძალება დაყადაღებული ქონების აუქციონზე გატანა.

სარჩელის მოთხოვნის ანუ სადავო ოქმის და განკარგულების უკანონოდ ცნობის საფუძველს წარმოადგენს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 23.01 განჩინებით დადებული ყადაღა, რომელიც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 63[1].1 მუხლით დადგენილისაგან /აღმასრულებლის მიერ დადებულ ყადაღა რეგისტრირებული უნდა იქნას საჯარო რეესტრში/ განსხვავებით სასამართლოს განჩინებით დადებული ყადაღა არ არის და ვერც იქნებოდა რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, „არ წარმოადგენს“ სადავო ოქმის და განკარგულების

ბათილად ცნობის სამართლებრივ საფუძველს, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას. დადგენილია, რომ აღსრულების სტადიაზე არც მოვალე მ. ფეიქრიშვილს და არც მის მეუღლეს გ. ფეიქრიშვილს არ მიუმართავთ სასამართლოსთვის სააღსრულებო მოქმედების - აუქციონის შეჩერების მოთხოვნით, შესაბამისად, სასამართლოს განჩინება სააღსრულებო მოქმედების შეჩერების თაობაზე მიღებული არ ყოფილა, სწორედ ამგვარი მოთხოვნებით შეეძლოთ მათ მიეღწიათ სასურველი შედეგის – კრედიტორის სასარგებლოდ უძრავი ქონების აუქციონზე გაყიდვისაგან გადარჩენისათვის, ასეთის შემთხვევაში, აღმასრულებელი მოვალე იქნებოდა შეეჩერებინა სააღსრულებო მოქმედების განხორციელება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ იმ ვითარებაში, როცა სააღსრულებო ბიუროში წარდგენილი იქნა არა აუქციონის შეჩერების თაობაზე განჩინება, არამედ, უკვე ყადაღადადებულ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ განჩინება, არცერთ შემთხვევაში არ წარმოადგენდა აუქციონის შეჩერების სამართლებრივ საფუძველს, შესაბამისად, აღმასრულებელი ვალდებული იყო ჩაეტარებინა აუქციონი, კანონის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის ნორმების არასწორი ინტერპრეტაცია და სააღსრულებო მოქმედებათა სრულებით სხვა სამართალურთიერთობის ფორმის – ხელშეკრულებად კვალიფიცირება, უსაგნოს ხდის სააღსრულებო წარმოებას, რასაც შედეგად მოსდევს სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით კატასტროფული შედეგი – მართლმსაჯულების აღუსრულებლობა, მაშინ როცა, ჯეროვანი და ეფექტური მართლმსაჯულება მიიღწევა არა ოდენ სასამართლოს მიერ კონკრეტული კონფლიქტების გადაწყვეტის, არამედ, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტების კანონშესაბამისი, დროული აღსრულების უზრუნველყოფით, რაც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 17.5. მუხლის მიხედვით აღმასრულებლის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს, კერძოდ, „აღმასრულებელი ვალდებულია მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის“, განუმარტოს მხარეებს, მათი უფლებები და მოვალეობები, დაეხმაროს მათ უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემული სარჩელის საფუძველი არ წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილების სადა-

ვო აუქციონის ოქმისა და განკარგულების ბათილად ცნობის წინაპირობას, იურიდიული დაუსაბუთებლობის გამო. აღმასრულებლის მიერ სააღსრულებო მოქმედებათა ჩატარების სხვა პროცედურულ დარღვევებზე მოსარჩელეებს სსსკ-ის მე-3 და მე-4 მუხლებით უზრუნველყოფილი უფლების გამოყენების მეშვეობით პრეტენზია არ განუცხადებიათ.

საკასაციო სასამართლო თვლის, სსსკ-ის 53.1. მუხლის შესაბამისად გ. და მ. ფეიქრიშვილებს სახელმწიფო ბაჟის სახით უნდა დაეკისროთ 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის I, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 372-ე, 389-ე, 399-ე, მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. თ. ლომიძის და თბილისის სააღსრულებო ბიუროს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნას ახალი გადაწყვეტილება

3. გ. და მ. ფეიქრიშვილების სარჩელი არ დაკმაყოფილდეს, უსაფუძვლობის გამო.

4. გ. და მ. ფეიქრიშვილებს დაეკისროთ 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თავმჯდომარე: /ნათია წკეპლაძე/
მოსამართლეები: /იამზე ლეგაშვილი/
/ჯემალ გახოკიძე/

დანართი 2

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

საქმე №3ბ.1328 06 აგვისტო 2003 წელი.
ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს
ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა
სააპელაციო პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე: ნათია წკეპლაძე
მოსამართლეები: ლალი ლაზარაშვილი
კარლო ბზიშვილი
ვალერი მაღლაკელიძის მდივნობით

განიხილა შპს გაზეთ „ალიას“ სააპელაციო საჩივარი თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილებაზე.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შპს გაზეთმა „ალიამ“ სარჩელი აღძრა თბილისის მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში მოპასუხის – საქართველოს გენერალური პროკურატურის მიმართ, რომლითაც მოეთხოვა დაევალოს მოპასუხეს გააცნოს საჯარო ინფორმაცია, კერძოდ 1986 წ. მამუკა ასლანიკაშვილის თვითმკვლელობასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმე, რომელიც პროკურატურის არქივში ინახება, შემდეგი საფუძვლით: ამა წლის 29 იანვარს მოსარჩელემ წერილობით მიმართა მოპასუხეს გაეცნო ზემომითითებული საჯარო ინფორმაცია. მიუხედავად ორკვირიანი ლოდინისა პროკურატურიდან პასუხი არ მიუღიათ, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-40-ე მუხლების საფუძველზე, პროკურატურა მოვალე იყო შეესრულებინა კანონის მოთხოვნა.

მოპასუხემ წარმოდგენილ შეპასუხებაში არ ცნო სარჩელი, შემდეგი საფუძვლით: რედაქციის წერილი გენერალურ პროკუ-

რატურაში მიღებულ იქნა 2003 წლის 29 იანვარს და განხილვის შემდეგ, 31 იანვარს გაეგზავნა დასაბუთებული წერილობითი პასუხი, რომელშიც აღინიშნა, რომ მამუკა ასლანიკაშვილის თვითმკვლელობის ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში არაერთი მასალაა, რომელიც, როგორც გარდაცვლილის, ისე მისი ოჯახის წევრთა პირად საიდუმლოებას განეკუთვნება და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის გარეშე ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

მოპასუხის მოსაზრებით, მითითებული კოდექსის 3.4. მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება ორგანოებზე, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლისსამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან, ასევე, საქმის ირგვლივ ოპერატიულ–სამძებრო საქმიანობასთან.

რაიონული სასამართლოს 2003 წლის 3 აპრილის მთავარ სხდომაზე მოსარჩელემ იშუამდგომლა დავის საგნის გაზრდის თაობაზე; კერძოდ, გენერალური პროკურატურის 31.01. 2003წ. №18-2-03 პასუხის, როგორც ადმინისტრაციული აქტის, ბათილად ცნობა, რაც სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ იქნა.

რაიონული სასამართლოს 2003 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად: გენერალური პროკურატურის გასაჩივრებული პასუხი არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ადმინისტრაციულ აქტად, ვინაიდან მას რაიმე სამართლებრივი შედეგები, სარჩელის შინაარსიდან გამომდინარე, არ გამოუწვევია. სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 3.4 „ა“ და „ბ“ მუხლის მიხედვით, ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება პროკურატურის საქმიანობაზე, ვინაიდან კონსტიტუციის, ორგანული კანონის „პროკურატურის შესახებ“ და სსს კოდექსის დებულებებიდან გამომდინარე, პროკურატურა ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას. ამ კონსტიტუციური ფუნქციის განხორციელების უზრუნველსაყოფად, იგი ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას და ზედამხედველობს მოკვლევის კანონიერებას, რომ პროკურატურა ვალდებულია არ გაახმაუროს პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინ-

ფორმაცია, რასაც იმპერატიულად მოითხოვს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44.1 მუხლი. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოთხოვნილი სს საქმის მასალებში, გარდა საგამოძიებო მოქმედებათა მასალებისა, არის პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციაც და მის გასაცნობად დაშვებაზე უპირველესად საჭიროა აწგარდაცვლილის მ. ასლანიკაშვილის ოჯახის წევრების ოფიციალური თანხმობა, რაც მოსარჩელეს არ წარმოუდგენია. სასამართლომ გამოიყენა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 398-ე მუხლი, რომლით განსაზღვრულ პირთა წრეს მოსარჩელე არ განეკუთვნება.

შპს „გაზეთ ალიას“ წარმომადგენელმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა მითითებული გადაწყვეტილება და მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივით:

გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონსაწინააღმდეგოა და ურთიერთგამომრიცხავი, ვინაიდან სასამართლო აღნიშნავს, რომ პროკურატურის საქმიანობაზე არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება, ხოლო შემდეგ იყენებს ამ კოდექსის 44-ე მუხლს, აპელანტის მოსაზრებით, პროკურატურა არ არის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, იგი კონსტიტუციის 91-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო ხელისუფლების დაწესებულებას წარმოადგენს. აპელანტი თვლის, რომ არასწორია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლზე მითითება, ვინაიდან ამავე კოდექსის 27^1 მუხლის მიხედვით, არცერთ პირს არ მოუთხოვია სისხლის სამართლის საქმის მასალების პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის პირად საიდუმლოებად მიჩნევა, რასაც მოპასუხეც ადასტურებს. გასაჩივრებულ პასუხს ხელს აწერს არაუფლებამოსილი პირი რ. ზარანდია, რადგან პროკურატურაში დანიშნულია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი – გენერალური პროკურორის მოადგილე გ. თვალავაძე; სასამართლომ ისე მიიჩნია დადგენილად სს საქმეში პირადი საიდუმლოების არსებობა, რომ ეს საქმე სასამართლოში წარდგენილი არ ყოფილა, რის გამოც ეს დასკვნა მიიჩნია დაუსაბუთებლად, რამდენადაც არ ემყარება მტკიცებულებებს, სასამართლომ გამოიყენა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 398-ე მუხლი, რაც კანონდარღვევაა.

წარმოდგენილ შესაგებელში მოწინააღმდეგე მხარემ – საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ აპელაცია არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და გასაჩივრე-

ბული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

სააპელაციო სასამართლომ მხარეთა განმარტებების მოსმენის, საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების გაანალიზების და საქმის სასამართლო განხილვით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შპს „გაზეთ ალიას" სააპელაციო საჩივარი მოტივირებულია და უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნას ახალი გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

რაიონული სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დარღვეულია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 და 394 „ე" მუხლების მოთხოვნები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოიყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, გადაწყვეტილება იურიდიულად საკმაოდ არ არის დასაბუთებული.

სასამართლომ გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 3.4 მუხლის „ა" და „დ" ქვეპუნქტები, რომლებიც არ უნდა გამოეყენებინა, როცა მიიჩნია, რომ მითითებული ნორმის საფუძველზე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება არ შეიძლება გავრცელდეს პროკურატურის ორგანოებზე, იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ მითითებული ნორმით განსაზღვრულია აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობის წრე, რომელზეც არ ვრცელდება ამ კოდექსის მოქმედება. საქართველოს გენერალური პროკურატურა წარმოადგენს არა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს, არამედ, საქართველოს კონსტიტუციის 91-ე მუხლის მიხედვით სასამართლო ხელისუფლების დაწესებულებას, ხელისუფლების ეს ორი შტო კი მკვეთრად არის გამიჯნული ერთმანეთისაგან და ის გარემოება, რომ პროკურატურა ახორციელებს სისხლის სამართლებრივ დევნას, ზედამხედველობს მოკვლევას, სასჯელის მოხდას, მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას, არ განაკუთვნებს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს.

სასამართლომ გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლი, რაც მის მიერვე ზემოთმითითებულ დადგენილ საკითხთან წინააღმდეგობაში მოდის. ასევე, ამ ნორმის გამოყენებისას სასამართლოს არ აქვს მტკიცებულებაზე მითითება,

რომლის მიხედვით საქმის მასალები მიკუთვნებულია /ცნობილია/ პირად საიდუმლოებად.

სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ წარმოდგენილი სარჩელი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, ბათილად უნდა იქნას ცნობილი საქართველოს გენერალური პროკურატურის 2003 წ. 31. 01. № 18-2-03 პასუხი /წერილი/ და მოპასუხეს უნდა დაევალოს გააცნოს შპს „გაზეთ ალიას“ მამუკა ასლანიკაშვილის თვითმკვლელობის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმე, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ მოპასუხის უარი საჯარო ინფორმაციის გაცნობაზე არამართლზომიერია, ვინაიდან დადგენილია, რომ მითითებული სისხლის სამართლის საქმე, რომელიც წარმოებით იქნა შეწყვეტილი, გადაეცა გენერალური პროკურატურის არქივს. დადგენილია, რომ გენერალური პროკურატურის არქივი წარმოადგენს საუწყებო არქივს. როგორც საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის რ. ხუციშვილის 08.2003. №04-29/139 წერილით ირკვევა, უახლესი ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში სახელმწიფო დაცვაზე მიღებულია პროკურატურის ფონდის დოკუმენტები 1974 წლის ჩათვლით, ხოლო მ. ასლანიკაშვილის თვითმკვლელობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის მასალები სახელმწიფო არქივში დაცული არ არის.

1995 წლის 2 მაისის კანონის „ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ“ მე-8 მუხლის მიხედვით, ეროვნული საარქივო ფონდისთვის დოკუმენტის მიკუთვნება ხდება დოკუმენტის შემფასებელი ექსპერტიზის საფუძველზე, რომელსაც აწყობს საექსპერტო კომისია.

ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტით, ეროვნულ საარქივო ფონდს მიკუთვნებული დოკუმენტების მიმართ განსაზღვრულია, ამ კანონის მიხედვით, განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი. კერძოდ, კანონის მე-19 მუხლის მიხედვით, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტით სარგებლობა თავისუფალია. ამავე მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით განსაზღვრულია, რომ სარგებლობის უფლება შეზღუდულია: ა) სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ დოკუმენტებზე და ბ) მოქალაქეთა პირადი ცხოვრებისა და ქონების ამსახველი დოკუმენტებისა, მათ შორის სისხლის სამართლის პროცესის მასალებისა სხვა პირთათვის – მათი შექმნიდან 75 წლის ვადით.

სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემული კანონის მოქმედება არ შეიძლება გავრცელდეს საქართველოს გენერალური პროკურატურის არქივში დაცულ მ. ასლანიკაშვილის თვითმკვლელობის ფაქტზე აღძრულ და წარმოებით შეწყვეტილ სისხლის სამართლის საქმეზე, რამდენადაც ეს საქმე სპეციალური საექსპერტო კომისიის გადაწყვეტილებით არ არის მიკუთვნებული ეროვნული საარქივო ფონდს და ამ ფონდის დოკუმენტის სტატუსი არ გააჩნია.

აღნიშნულის გამო, სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელის მოთხოვნილი მასალები ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის მიხედვით წარმოადგენს საჯარო დაწესებულებაში დაცულ საჯარო ინფორმაციას.

ამავე კოდექსის 3.2 მუხლის მიხედვით, მოცემული კოდექსის მოქმედება „ა“–“დ“ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილ სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაზე შემოფარგლულია მესამე თავით. რამდენადაც საქართველოს პროკურატურა არის სასამართლო ხელისუფლების დაწესებულება, მის საქმიანობაზე, კოდექსის 3.2 „დ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე ვრცელდება III თავის – ინფორმაციის თავისუფლება – მოქმედება.

სააპელაციო სასამართლო არ იზიარებს რა რაიონული სასამართლოს მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 3.4 მუხლის გამოყენების მართებულობას, აუცილებლად მიაჩნია განმარტოს, რომ მითითებული ნორმის მიხედვით, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია: დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლისსამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან, სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან და სხვ., არ ვრცელდება კოდექსის მოქმედება, რაც სავსებით ლოგიკურია, ვინაიდან მითითებული საქმიანობების განხორციელებისას შესაბამისი ორგანოები მოქმედებენ მატერიალური სამართლის სპეციალური კანონებით, მაგ., სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონი, „საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების ... დენონსირების შესახებ“ კანონი და სხვა. რაც ნიშნავს, რომ მითითებული საქმიანობების განხორციელებისას ეს ორგანოები არ გამოიყენებენ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებით დადგენილ პროცედურას, არ ჩაატარებენ ადმინისტრაციულ წარმოებას და სხვ.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 3.3 მუხლით დადგენილია, რომ ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება 3.2 მუხლში მითითებული ორგანოების და ამ ორგანოების თანამდებობის პირების იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან.

სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ ვინაიდან კოდექსის 3.2 მუხლის მიხედვით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედების სფერო ამავე მუხლში მითითებულ სახელმწიფო ორგანოებზე შემოფარგლულია III თავით, კოდექსის 3.3. მუხლში მითითებული „ამ კოდექსის მოქმედება" გაგებულ უნდა იქნას, როგორც „III თავის მოქმედება", რამდენადაც ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, 3.2 მუხლით იმპერატიულად არის დადგენილი, რომ მითითებულ სახელმწიფო ორგანოებზე მხოლოდ კოდექსის III თავი ვრცელდება, ხოლო 3.3 მუხლში მოცემული დათქმა III თავის მოქმედების არეალს კიდევ უფრო ავიწროებს და იფარგლება მხოლოდ ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობით, ამდენად, სასამართლო ხელისუფლების ორგანოების /მათ შორის პროკურატურის/ მიმართ ვრცელდება კოდექსის III თავის მოქმედება იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან.

სააპელაციო სასამართლო თვლის, მოცემულ შემთხვევაში, გენერალური პროკურატურა ახორციელებს სწორედ ადმინისტრაციულ ფუნქციას, რამდენადაც მ. ასლანიკაშვილის სისხლის სამართლის საქმე წარმოებით შეწყვეტილია, რაც ნიშნავს, რომ ამ საქმეზე არ ხორციელდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, საპროცესო მოქმედებები – რაც რეგულირდება სპეციალური კანონმდებლობით და საქმე გადაცემული აქვს არქივს. კონკრეტულ ვითარებაში, საქართველოს გენერალური პროკურატურა სისხლის სამართლის საქმის, როგორც საარქივო დოკუმენტის შენახვას და დაცვას უზრუნველყოფს, აღნიშნული კი წარმოადგენს პროკურატურის არა კონსტიტუციური და სპეციალური კანონების საფუძველზე მინიჭებულ ფუნქციას, არამედ ადმინისტრაციულ ფუნქციას, რაც გამოიხატება სხვადასხვა სახის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაში და მოქცეულია დაწესებულების ადმინისტრირების სფეროში.

სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ გენერალური პროკურატურის საქმიანობა, მისივე არქივში დაცულ დოკუმენტებთან

დაკავშირებით, განეკუთვნება დაწესებულების ადმინისტრირების სფეროს, რის გამოც ამგვარი დოკუმენტები წარმოადგენს კოდექსის III თავით გათვალისწინებულ საჯარო ინფორმაციას და გენერალური პროკურატურის უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე კანონსაწინააღმდეგოა და ბათილად უნდა იქნას ცნობილი, ვინაიდან იგი უკანონოდ ემყარება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 3.4 „ა“ და „დ“ მუხლს; ასევე, არამართებულია ამავე კოდექსის 44-ე მუხლზე დაყრდნობა, რამდენადაც დადასტურებულია, რომ მოსარჩელისთვის საინტერესო სისხლის სამართლის საქმის არცერთ მასალასთან დაკავშირებით არ ყოფილა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ. ასევე, საქმეში არსებული მასალებიდან არცერთი არ არის მიკუთვნებული პირად საიდუმლოებას; რადგან ამავე კოდექსის 27^1 მუხლის მიხედვით, პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წყვეტს პირი, რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია, მოპასუხის განმარტებით, ის ესაუბრა მ. ასლანიკაშვილის შვილს აღნიშნულზე, მაგრამ ოჯახის წევრებმა არავითარი რეაგირება არ მოახდინეს, ანუ არ მიუმართავთ პროკურატურისთვის, სს საქმის მასალებში არსებული პერსონალური მონაცემები, მ. ასლანიკაშვილის ან მისი ოჯახის წევრების შესახებ, ეცნოთ პირად საიდუმლოებას მიკუთვნებულ პერსონალურ მონაცემად და პროკურატურას მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო სრულად ალოგიკურად და დაუსაბუთებლად მიიჩნევს რაიონული სასამართლოს მსჯელობას სისხლის სამართლის საქმეში მ. ასლანიკაშვილის და მისი ოჯახის წევრების პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის არსებობის თაობაზე, ვინაიდან ოჯახის წევრების მიერ კანონით მინიჭებული უფლება რეალიზებული არ ყოფილა და ამგვარი ნება არ გამოუხატავთ.

სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კანონით სწორედ პერსონალური მონაცემების სუბიექტს მიენიჭა პრიორიტეტი განსაზღვროს, თუ რომელი პერსონალური მონაცემი მიაჩნია პირად საიდუმლოებად და შესაბამისი დაწესებულების, სადაც დაცულია ეს მონაცემები, გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პერსონალური მონაცემები, რომლებიც პირის სურვილის საფუძველზე მიეკუთვნება პირად საიდუმლოებას, ექცევა სხვა სამართლებრივ რეჟიმში, ანუ

არ ექვემდებარება ხელმისაწვდომობას. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის შესაბამისად, მითითებული ნორმის მიხედვით, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციული და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. სწორედ, დადგენილი წესით პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის მიმართ წარმოეშობა საჯარო დაწესებულებას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44.1 მუხლით დადგენილი ვალდებულება, არ გაახმაუროს ამგვარი ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე.

სააპელაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოპასუხის მოსაზრებას „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" კანონის ნორმათა გამოყენების თაობაზე, ვინაიდან მითითებული კანონის მე-12 მუხლში განსაზღვრულია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოები, ასეთ ორგანოს პროკურატურა არ წარმოადგენს, კანონის 21.1 მუხლის მიხედვით, დადგენილია საპროკურორო ზედამხედველობა – ამგვარი ღონისძიებების განხორციელებისას კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე, აგრეთვე ღონისძიებათა ჩატარების პროცესში მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებაზე, გენერალური პროკურორის და პროკურორების მიერ. მოცემული სისხლის სამართლის საქმე აღძრული და წარმოებით შეწყვეტილია პროკურატურის მიერ, მოპასუხემ ვერ დაასაბუთა, საქმეზე იქნა თუ არა განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობები და რა დოზით შეიცავს სისხლის სამართლის საქმე ასეთი საქმიანობის ამსახველ მონაცემებს, დოკუმენტებს და წყაროებს, რისი გაცნობაც შეზღუდულია „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" კანონის 5.1 მუხლით.

სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ სარჩელი ექვემდებარება დაკმაყოფილებას საქართველოს კონსტიტუციის 41.1 მუხლის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37.1, 28-ე, 50-ე მუხლების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-12, სსს კოდექსის 38-ე, 39-ე, 53-ე, 257-ე, 372-ე, 386-ე, 389-ე, 391-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „გაზეთ ალიას“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნას ახალი გადაწყვეტილება.

3. შპს „გაზეთ ალიას“ სარჩელი დაკმაყოფილდეს.

4. ბათილად იქნას ცნობილი საქართველოს გენერალური პროკურატურის 2003წ.31.01. №18-2-03 პასუხი.

5. დაევალოს საქართველოს გენერალურ პროკურატურას გააცნოს შპს „გაზეთ ალიას“ მამუკა ასლანიკაშვილის თვითმკვლელობის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმე.

6. საქართველოს გენერალურ პროკურატურას დაეკისროს შპს „გაზეთ ალიას“ მიერ სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 61,50 ლარის გადახდა შპს „გაზეთ ალიას“ სასარგებლოდ.

7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით, საქართველოს უზენაეს სასამართლოში, მდებარე ძმები ზუბალაშვილების ქ. №32, გადაწყვეტილების ასლის მხარეთათვის გადაცემის მომენტიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საოლქო სასამართლოს მეშვეობით.

თავმჯდომარე: **ნ. წკეპლაძე**
მოსამართლეები: **ლ. ლაზარაშვილი**
კ. ბზიშვილი

დანართი 3

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

საქმე №3ბ-396-04 12.01 2004 წელი.
ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს
ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა
სააპელაციო პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე: ნათია წკეპლაძე
მოსამართლეები: ლუარა ჭუმბურიძე
ლევან ბარდაველიძე

ნინო ქაჯაიას მდივნობით

განიხილა საქართველოს უშიშროების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი თბილისის კრწანისის–მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებაზე.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

თ. გომელაურმა სარჩელი აღძრა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში მოპასუხის საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიმართ, რომლითაც მოითხოვა:

1. მოპასუხის 2002 წლის 7 აგვისტოს №9/5-720 № 10/6.6.-2 მოპასუხის (უარი) მოსარჩელის შესახებ სამინისტროში აშშ-ს საელჩოდან შესული და მისი გადამოწმების შედეგად შექმნილი მასალების გადმოცემაზე;

2. მოპასუხეს დაევალოს გადასცეს მოსარჩელეს მის შესახებ არსებული ინფორმაცია, შემდეგი საფუძვლით:

2002 წლის 22 და 24 ივლისს მოსარჩელე გამოძახებული იყო სამინისტროს ანტიტერორისტულ ცენტრში, საქართველოში აშშ-ის საელჩოს უშიშროების სამსახურიდან გაგზავნილი მასალების საფუძველზე. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, მოსარჩელემ

წერილობით მისცა ახსნა-განმარტება, რაც საკმარისად მიიჩნია მოპასუხემ და მიზანშეუწონლად ჩათვალა მის მიმართ შემდგომი ღონისძიებების გატარება. 2002 წლის 22 ივლისს თ. გომელაურმა განცხადებით მიმართა საქართველოს უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის უფროსს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის საფუძველზე, ამ უწყებაში მასზე არსებული ყველა მასალის გადაცემის შესახებ, რაზეც 2002 წლის 7 აგვისტოს ცენტრის უფროსის ს. ძაგნიძის წერილით ეთქვა უარი, მასალების განადგურების მოტივით. მოსარჩელე განადგურების აქტის საფუძველზე თვლის, რომ ცენტრის პასუხი სინამდვილეს არ შეესაბამება, რამდენადაც აქტის მიხედვით განადგურებულია 5 დოკუმენტი, რომლებშიც არ ფიგურირებს მისივე წერილობითი ახსნა-განმარტება. თ. გომელაურმა, 2002 წლის 10.09. საქართველოს გენერალური პროკურატურისადმი მიმართვაზე, 2002 წლის 20.10. მიიღო პასუხი, რომ რაიმე წერილობითი შეტყობინება საქართველოს პროკურატურაში მასალების განადგურებასთან დაკავშირებით არ შესულა, რის გამოც მოსარჩელე თვლის, რომ სამინისტროში ინახება მასალები მის შესახებ და ისინი განადგურებული არ არის, და რომ სამინისტრო გამიზნულად უმალავს ინფორმაციას, რითაც უხეშად არღვევს მის კონსტიტუციურ უფლებებს.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ წარმოდგენილ შეპასუხებაში სარჩელი არ სცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი საფუძვლით: მოსარჩელეს ნათლად, არაერთხელ განემარტა, რომ მის შესახებ არსებული მასალები განადგურდა კანონმდებლობით დადგენილი წესის საფუძველზე, რის გამოც მოპასუხე გაოცებას გამოთქვამს მოსარჩელის ასეთი მიზანდასახულობის მიმართ, რის გამოც გარკვეული ეჭვის საფუძველს იძლევა თ. გომელაურის მცდელობა, მიიღოს არარსებული საბუთები და ზეპირი ინფორმაცია.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა უშიშროების სამინისტროს 2002 წლის 7 აგვისტოს №9/5720 №10/6.6-2 წერილობითი უარი და დაევალა თ. გომელაურს გადასცეს მის შესახებ არსებული ინფორმაცია, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად: თ. გომელაურის შესახებ მასალების განადგურებისას დაცული არ არის „ოპერატიული სამძებრო ღონისძიებების შესახებ“ კანონის 6.4 მუხლის მოთხ-

ოვნები, აღნიშნულზე შეტყობინება არ გაგზავნია გენერალურ პროკურატურას, მის მოადგილეს შესაბამის დარგში, რაც იძლევა საფუძველს ვარაუდისა, რომ იგი არ განადგურებულა, განადგურების აქტში ჩამოთვლილი არ არის ყველა ის დოკუმენტი, რომლის გაცნობასაც მოსარჩელე მოითხოვს.

სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 24, 41.1; ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-8, მე-10, 30-ე, 33-ე, 35-ე, 48-ე და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლები.

საქართველოს უშიშროების სამინისტრომ სააპელაციო წესით გაასაჩივრა გადაწყვეტილება და მოითხოვა მისი გაუქმება, შემდეგი მოტივით:

„ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის შესახებ" კანონის 10.1 „გ" მუხლის საფუძველზე თ. გომელაურთან დაკავშირებით ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება შეწყდა. ამავე კანონის 6.4 მუხლის საფუძველზე ინფორმაცია განადგურდა შესაბამისი აქტით. თუმცა, არა დაუყოვნებლივ, არამედ 5 თვის შემდეგ და ასევე, დაგვიანებით ეცნობა პროკურატურას. მოპასუხის მოსაზრებით, სამინისტრო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 43-ე „ა" მუხლის თანახმად, ვალდებული არ იყო შეენახა ინფორმაცია, რის გამოც სამინისტროს უარი მის გაცემაზე კანონიერია.

სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე აპელანტმა მიუთითა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების უკანონობა გამოიხატება იმაში, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება, ამავე კოდექსის 3.4 მუხლის შესაბამისად არ უნდა გავრცელებულიყო მოცემულ შემთხვევაზე, როგორც ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრება გამოწვეული მისი აღუსრულებლობის გამო, რამდენადაც ის მასალები, რომელთა გადაცემა დაევალა მოსარჩელისათვის, განადგურებულია და შეუძლებელია მისი აღსრულება.

მოწინააღმდეგე მხარემ თ. გომელაურმა თავის განმარტებაში არ ცნო აპელაცია და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სააპელაციო სასამართლო საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების გაანალიზების, მხარეთა განმარტებების მოსმენისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმ-

დეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული უნდა იქნას ახალი გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეულია სსს კოდექსის 394-ე „ე“ მუხლის მოთხოვნა, გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის დასაბუთებული, სასამართლომ პრაქტიკულად მოახდინა ნორმათა მითითება, თუმცა არ დაასაბუთა, თუ რაში მდგომარეობდა მათი მითითების საფუძველი. რაიონულმა სასამართლომ არ იმსჯელა გასაჩივრებული წერილობითი უარის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლთან შესაბამისობის თაობაზე, შესაბამისად არ გამოიყენა ამავე კოდექსის მე-60 მუხლი.

სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ თებრონე გომელაურის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ: ა)ბათილად უნდა იქნას ცნობილი საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის უფროსის 2002 წლის 7 აგვისტოს №9/5720 №10/6.6-2 წერილობითი უარი და მოპასუხეს უნდა დაევალოს გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, გამოსცეს ახალი ადმინისტრაციული აქტი, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის შესაბამისად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს საქმის მასალებით დადგენილად მიაჩნია შემდეგი:

2000 წლის 22 და 24 ივლისს მოსარჩელე თ. გომელაური გამოძახებული იყო სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტულ ცენტრში, რა დროსაც ჩამოერთვა ახსნა-განმარტება აშშ-ის საელჩოს საქართველოში, თანამშრომლის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, რასაც ადასტურებს მოპასუხის 2000 წლის 15 ნოემბრის პასუხი თ. გომელაურის განცხადებაზე. ამავე წერილით ირკვევა, რომ სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის ხელმძღვანელობამ არ მიიჩნია მიზანშეწონილად მოსარჩელის მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

დადგენილია, რომ თ. გომელაურის 2000 წლის 22 ივლისის განცხადებაზე სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის უფროსის ს. ძაგნიძის 2002 წლის 7 აგვისტოს №9/5720 №10/6.6-2 პასუხით ეცნობა, რომ მის შესახებ შემოსული ინფორმაცია და მისი გადამოწმების მიზნით მოპოვებული

მასალები, მათი დანაშაულის ნიშნების არ არსებობის გამო, კანონის „ოპერატიული- სამძებრო საქმიანობის შესახებ“ 6.4. მუხლის საფუძველზე იქნა განადგურებული, რაზეც შედგა სათანადო აქტი, რის გამოც მასალების მისთვის გადაცემა შეუძლებელია, ამჟამად მათი არარსებობის გამო.

დადგენილია, რომ 2000წ. 30 დეკემბრის №03727 განადგურების აქტის მიხედვით განადგურებული იქნა ანტიტერორისტულ ცენტრში არსებული შემდეგი დოკუმენტები: ცნობა აშშ-ის საელჩოდან მიღებული ინფორმაციის შესახებ დანართით 2. ფ. 1 ეგზ; ცნობა აშშ-ის საელჩოდან მიღებული ინფორმაციის შესახებ, 1 ეგზ. ცნობა თ.გ.-თან საუბრის შესახებ, 1 ეგზ. ცნობა თ. გომელაურის შესახებ,1 ეგზ. წერილი ს. ნოზაძეს თ.გ-ს მასალების გადაგზავნის შესახებ, 2 ეგზ.; ამავე აქტში მითითებულია, რომ განადგურდა 5 დასახელების დოკუმენტი, 5 ეგზემპლარი.

სააპელაციო სასამართლო წარმოდგენილი აქტის შეფასების შედეგად თვლის, რომ განადგურებული იქნა 1 ეგზემპლარით ნაკლები დოკუმენტი. განადგურების აქტში უზუსტო მონაცემის თაობაზე მოპასუხეს შესწორება არ მოუხდენია, რამდენადაც აღნიშნულზე მტკიცებულება არ არის წარმოდგენილი.

სააპელაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ანტიტერორისტული ცენტრის მიერ 2001 წლის 20 სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში წერილობითი შეტყობინება თ. გომელაურთან დაკავშირებით მასალების განადგურებასთან დაკავშირებით არ შესულა, რასაც ნაწილობრივ ადასტურებს აპელანტიც თავის სააპელაციო საჩივარში, კერძოდ, რომ განადგურების პროცედურა ჩატარდა 5 თვის გასვლის შემდეგ და ასევე დაგვიანებით ეცნობა პროკურატურას.

სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის უფროსის ს. ძაგნიძის 2002 წლის 7 აგვისტოს №9/5720 №10/6.6-2 წერილი/ პასუხი/ არამართლზომიერია და ბათილად უნდა იქნას ცნობილი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60.1 „ა“ მუხლის და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.1 მუხლის საფუძველზე, რამდენადაც გასაჩივრებული პასუხი წარმოადგენს უარს პერსონალური მონაცემების გადაცემაზე, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლის მიხედვით მიჩნეულია გადაწყვეტილებად, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ადმინისტრაციული

ორგანოს ადმინისტრაციულ აქტს, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტში მოცემული დეფინიციის შესაბამისად, სადავო აქტი გამოცემულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.3 მუხლის დარღვევით, რადგან იგი მიღებულია არაუფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ, რის გამოც სადავო ადმინისტრაციული აქტს არ აქვს იურიდიული ძალა და იგი ექვემდებარება ბათილად გამოცხადებას.

აღნიშნული დასკვნის გაკეთებისას სააპელაციო სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო, როგორც სამთავრობო დაწესებულება, /რომლის ერთ-ერთ სტრუქტურას წარმოადგენს ანტიტერორისტული ცენტრი/, პასუხისმგებელია დაწესებულებაში არარსებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე და დაცვის უზრუნველყოფაზე, სამინისტროს, მისივე წარმომადგენელთა განმარტებით ჰყავს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირი, ანტიტერორისტული ცენტრის უფროსი კი ასეთს არ წარმოადგენს.

სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელ თ. გომელაურს, მისივე პერსონალური მონაცემების გადაცემაზე, უარი განუცხადა არაუფლებამოსილმა თანამდებობის პირმა; ამასთან განადგურების აქტში არასრულად არის მითითებული განადგურებული და გასანადგურებელ დოკუმენტთა ეგზემპლარების რაოდენობა. გამოყენებულ უნდა იქნას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლი და უნდა დაევალოს მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად გამოსცეს ახალი ადმინისტრაციული აქტი /გადაწყვეტილება/ თ. გომელაურის მოთხოვნასთან დაკავშირებით, რამდენადაც აღნიშნულისათვის არსებობს მოსარჩელის კანონიერი გადაუდებელი ინტერესი, რამდენადაც საქმე ეხება მის პერსონალური მონაცემების სამინისტროში შენახვას, რაც საქართველოს კანონმდებლობით, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 24-ე, 41-ე და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე „კ“; 43-ე, 44-ე მუხლების საფუძველზე განსაკუთრებულ დაცვას, სამართლებრივ პროცედურებს და პირისათვის მისი მონაცემების ხელმისაწვდომობას აკანონებს.

სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ შეუძლებელია თ. გომელაურის სარჩელის დანარჩენ ნაწილზე მსჯელობა, რამდენადაც მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს უფლებამოსილი

თანამდებობის პირის მიერ არ ყოფილა გამოკვლეული და მიღებული, გადაწყვეტილება თ. გომელაურის განცხადებასთან დაკავშირებით, რის გამოც სადავო საკითხის გადაუდებლად, თ. გომელაურის განცხადება გადაწყვეტილების მისაღებად უნდა დაუბრუნდეს მოპასუხეს.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე- 12, 32.4 მუხლებით, სსს კოდექსის 38-ე, 39-ე, 53-ე, 257-ე, 372-ე, 386-ე, 389-ე, 391-ე, 395-ე, 397-ე, მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. საქართველოს უშიშროების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. გაუქმდეს თბილისის კრწანისი–მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლის მიერ მიღებული იქნას ახალი გადაწყვეტილება.

3. თებრონე გომელაურის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ: ბათილად იქნას ცნობილი საქართველოს უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის უფროსის 2002 წლის 7 აგვისტოს №9/5-720 №10/6.6.-2 პასუხი.

4. დაევალოს საქართველოს უშიშროების სამინისტროს გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციული აქტი.

5. საქართველოს უშიშროების სამინისტროს დაევალოს სახ. ბაჟის სახით 30 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ და თანხა ჩაირიცხოს საქართველოს ეროვნულ ბანკში, კოდი 220101107, ანგ. №000141107, სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი, სახაზინო ქვეანგარიში 0061, საერთო სასამართლოები.

6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით, საქართველოს უზენაეს სასამართლოში, მდებარე ქ.თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ.№32, გადაწყვეტილების ასლის მხარეთათვის გადაცემის მომენტიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საოლქო სასამართლოს მეშვეობით.

თავმჯდომარე: ნათია წკეპლაძე
მოსამართლეები: ლუარა ჭუმბურიძე
ლევან ბარდაველიძე

დანართი 4

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ბს-102-289-კ-03 16 ოქტომბერი, 2003 წ.,
ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე),
ნ. კლარჯეიშვილი,
ი. ლეგაშვილი

დავის საგანი: საჯარო ინფორმაციის გაცემა.

აღწერილობითი ნაწილი:

2002წ. 16 ოქტომბერს საქართველოს მასწავლებელთა თავისუფალმა პროფკავშირმა „სოლიდარობა“ სარჩელი აღძრა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში და შემდეგი მოტივით მოითხოვა ქუთაისის №13 საშუალო სკოლის დირექტორისათვის საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალდებულება:

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირი „სოლიდარობა“ 2002წ. სექტემბრიდან ახორციელებს კოალიციურ პროექტს „განათლება კორუფციის გარეშე“, რომელიც მიზნად ისახავს ქ. ქუთაისის განათლების სისტემაში არსებული კორუფციის კონკრეტული ფაქტების გამოვლენა-ფიქსაციას, შესწავლას და პროფილაქტიკისათვის აუცილებელ ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავებას. აღნიშნული პროექტის განხორციელებისათვის შემუშავებული იქნა სპეციალური კითხვარი თითოეული საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის.

აღნიშნული პროექტის განხორციელების მიზნით ჯგუფმა 2002წ. 13 სექტემბერს მიმართა ქ. ქუთაისის №13 საშუალო სკოლის დირექტორს ნ.ლომთაძეს, რომელმაც ინფორმაციის გაცემაზე უარი განაცხადა, რითაც მოსარჩელის აზრით, დირექტორმა დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე, მე-40 მუხლების მოთხოვნები ინფორმაციის მიღების თავისუფლების შესახებ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2002წ. 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირის „სოლიდარობა“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ქუთაისის №13 საშუალო სკოლის დირექტორს ნ.ლომთაძეს დაევალა საჯარო ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემა, გარდა კითხვარის მე-3, 8, 9, 10, 12 პუნქტებში მითითებული პერსონალური ინფორმაციისა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მასწავლებელთა თავისუფალმა პროფკავშირმა „სოლიდარობა“ და მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003წ. 30 აპრილის გადაწყვეტილებით საქართველოს მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირის „სოლიდარობა“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2002წ. 24 დეკემბრის გადაწყვეტილება სარჩელზე უარის თქმის ნაწილში, მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირის „სოლიდარობა“ სარჩელი დაკმაყოფილდა, დაევალა ქუთაისის №13 საშუალო სკოლის დირექტორს შემდეგი საჯარო ინფორმაციის გაცემა: კლასკომპლექტების რაოდენობა და კლასების მიხედვით მოსწავლის სახელი, გვარი, მამის სახელი და დაბადების თარიღი; სკოლის რომელიმე ფართის იჯარით გაცემის შემთხვევაში დამქირავებელი იურიდიული პირის სახელწოდება, მისამართი, ხელმძღვანელის სახელი, გვარი; სკოლაში საგანმანათლებლო სპორტული წრის ან სტანდარტის ზემოთ სწავლების შემთხვევაში, იურიდიული პირის სახელწოდება, მისამართი, ხელმძღვანელის სახელი, გვარი; 2001-2002 წლებში მიღებული პედაგოგების რაოდენობა, სახელი, გვარი, სპეციალობა. დანარჩენ ნაწილში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შემდეგი საფუძვლით დარჩა უცვლელი:

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, კითხვარის მე-3, მე-8, მე-9, მე-10, მე-12 პუნქტებში დასმული საკითხები ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2, 28-ე მუხლების, 37-ე მუხლის მეორე ნაწილის მე-3 წინადადების თანახმად, წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას, რომელიც ღიაა გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერ-

ციულ, პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა და საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს ეს ინფორმაცია. აღნიშნული განეკუთვნება ისეთ ინფორმაციას, რომლისთვისაც საჭირო არ არის პირთა სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა, რადგან არ შეიცავს პირად საიდუმლოებას. სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია №13 საშუალო სკოლის დირექტორის უარი ინფორმაციის გაცემაზე.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ნ“ პუნქტის მიხედვით, საჯარო დაწესებულებაში დაცული, საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი პირადი საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია წარმოადგენს საიდუმლო ინფორმაციას. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 271 მუხლის მიხედვით, პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წყვეტს პირი, რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია.

სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ №13 საშუალო სკოლა ვალდებული იყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლის თანახმად, განმცხადებლისათვის ინფორმაციის გაცემაზე უარი დაუყოვნებლივ ეცნობებინა წერილობით და 3 დღის ვადაში ასევე წერილობით განემარტა განმცხადებლისათვის მისი უფლებები და გასაჩივრების წესი. ამასთან უნდა მიეთითებინა ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას, რაც არ იქნა დაცული მოპასუხის მიერ.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა №13 სკოლის დირექტორმა ნ.ლომთაძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავ-

შირის „სოლიდარობა“ კითხვარის მე-3, მე-8, მე-9ა, მე-10 და მე-12 პუნქტებით გათვალისწინებული პერსონალური ინფორმაციის გაცემაზე შემდეგი მოტივით უარის თქმა:

კასატორმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მიიჩნია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით მიღებულად და მიუთითა, რომ ინფორმაცია, რომლის გაცემაც მას დაევალა, წარმოადგენს პერსონალურ ინფორმაციას. ამასთან, აღნიშნა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულებაში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა, ავტომატურად უნდა ჩაითვალოს პირად საიდუმლოებად და ხელმიუწვდომელი უნდა იყოს სხვებისათვის. პირის იდენტიფიკაციის საშუალებას კი, უპირველეს ყოვლისა იძლევა სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი და სხვა. ამდენად, კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას აღნიშნული ინფორმაციის პერსონალურ მონაცემად მიუჩნევლობის შესახებ.

კასატორი დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ აღნიშნული მონაცემები წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას, მაგრამ მისი აზრით, იგი საიდუმლოების შემცველი საჯარო ინფორმაციაა, რომელიც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად არ უნდა გაიცეს.

№13 საშუალო სკოლის დირექტორის საკასაციო საჩივარი არ ცნო მოწინააღმდეგე მხარემ მასწავლებელთა თავისუფალმა პროფკავშირმა „სოლიდარობა“, უსაფუძვლობის მოტივით მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და ქუთაისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. ქუთაისის №13 საშუალო სკოლის დირექტორის ნ. ლომთაძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს; ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003წ. 30 აპრილის გადაწყვეტილება კითხვარის №3 პუნქტით

გათვალისწინებული კლასდაკომპლექტების რაოდენობისა და კლასების მიხედვით მოსწავლის სახელის, გვარის, მამის სახელის და დაბადების თარიღის შესახებ ინფორმაციის გაცემის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე არსებითად განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო: მოწინააღმდეგე მხარემ – მასწავლებელთა თავისუფალმა პროფკავშირმა „სოლიდარობა“ 2002წ. 13 სექტემბერს მიმართა კასატორს – ქ. ქუთაისის №13 საშუალო სკოლის დირექტორს და საქართველოს კონსტიტუციის 24-ე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე, მე-40 მუხლების საფუძველზე, მის მიერ მომზადებულ კითხვარზე მოითხოვა საჯარო ინფორმაციის გაცემა, რაც კასატორის მიერ არ დაკმაყოფილდა. ქუთაისის საოლქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირის „სოლიდარობა“ მოთხოვნა და კასატორს დაევალა მე-3, მე-8, მე-9, მე-10, მე-12 საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცემა, რაც საკასაციო წესით გაასაჩივრა №13 საშუალო სკოლის დირექტორმა და მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება.

საკასაციო პალატა ნაწილობრივ იზიარებს საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებას მე-8, მე-9, მე-10, მე-12 კითხვასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცემის დავალდებულების ნაწილში, რადგან მიაჩნია, რომ აღნიშნული ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის. კერძოდ, „სოლიდარობის“ მიერ მომზადებული კითხვარიდან:

მე-8 კითხვა ეხება სკოლის რომელიმე ფართის იჯარით გაცემის შემთხვევაში, დამქირავებელი იურიდიული პირის ხელმძღვანელის სახელის, გვარის შესახებ ინფორმაციის გაცემას;

მე-9 კითხვარი – სკოლაში საგანმანათლებლო სპორტული წრის ან სტანდარტს ზევით სწავლების შემთხვევაში, მათი ხელმძღვანელის სახელი, გვარი;

მე-10 კითხვა – სკოლაში სასკოლო ბუფეტის არსებობის შემთხვევაში, მისი ხელმძღვანელის სახელი, გვარი;

მე-12 კითხვა – რამდენი ახალი პედაგოგი დაინიშნა სკოლაში 2001-2002 წლებში, მათი სახელი, გვარი, სპეციალობა.

„განათლების შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც არ არის შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით, წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს.

ქ. ქუთაისის №13 საშუალო სკოლაც, რადგან კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით არ არის დაფუძნებული და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, საჯარო სამართლის იურიდიული პირია და მასზე ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის „ინფორმაციის თავისუფლება" – მოქმედება. კერძოდ, კოდექსის 28-ე მუხლისა და მე-40 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საჯარო ინფორმაცია ღიაა და საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ გასცეს საჯარო ინფორმაცია არა უგვიანეს 10 დღისა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 274 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია განისაზღვრება სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონმდებლობით.

272 მუხლის თანახმად, კომერციული საიდუმლოებაა ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის თაობაზე ან სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად. „სოლიდარობის" მე-8 და მე-10 კითხვასთან დაკავშირებული ინფორმაცია სკოლის რომელიმე ფართში განთავსებული დამქირავებელი იურიდიული პირის ან ბუფეტის ხელმძღვანელის სახელის და გვარის შესახებ, საკასაციო სასამართლოს აზრით, არ წარმოადგენს არც სახელმწიფო და არც კომერციულ საიდუმლოებას, ამიტომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად, ეს ინფორმაცია საჯაროა, ღიაა და მისი ყველასათვის ხელმისაწვდომობა გათვალისწინებულია „მეწარმეთა შესახებ" კანონის 4.4 მუხლით, რომლის თანახმადაც, ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს სამეწარმეო რეესტრს და მიიღოს რეესტრის ამონაწერი იურიდიული პირის სახელწოდების, მისამართის, დამფუძნებელი პარტნიორებისა თუ ხელმძღვანელი პირების შესახებ.

ამდენად, სასამართლო მე-8 და მე-10 კითხვასთან დაკავშირებით, უსაფუძვლობის გამო, ვერ გაიზიარებს საკასაციო საჩივარს და ეთანხმება საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებას საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალდებულების შესახებ.

კითხვასთან დაკავშირებით სპორტული წრის ან სტანდარტის ზევით სწავლების ხელმძღვანელის, ასევე 2001-2002 წლებში ახლადდანიშნული პედაგოგების სახელის, გვარისა და სპეციალობის

შესახებ ინფორმაციის გაცემის დავალდებულების თაობაზე. პიროვნების სახელის, გვარის, მისამართის, ასაკის, განათლების, სამუშაო ადგილის შესახებ ინფორმაცია, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, არის პერსონალური მონაცემი, რომელიც პირის იდენტიფიცირების, ამ პირის ვინაობის დადგენის შესაძლებლობას იძლევა. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია საჯარო დაწესებულების ვალდებულება არ გაახმაუროს პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის, სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ან თანამდებობის პირთა პერსონალური მონაცემის გარდა, რადგან საქართველოს კონსტიტუციის მე-20 და 41-ე მუხლებით აღიარებულია ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩაურევლობა. კერძოდ, კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან და კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა. ამიტომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი იმპერატიულად ადგენს სხვისი პერსონალური ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებული თანხმობის წარდგენას ინფორმაციის გაცემის თაობაზე. მაგრამ საჯარო დაწესებულებაში არსებული ყველა პერსონალური მონაცემი თავისთავად არ წარმოადგენს პირად საიდუმლოებას, არამედ ამავე კოდექსის 271 მუხლის მიხედვით: „პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წყვეტს პირი, რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია“. კასატორმა სასამართლოს ვერ წარუდგინა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 271 მუხლის შესაბამისად სკოლის პედაგოგების ან სპორტული წრის ხელმძღვანელების წერილობითი განაცხადი №13 საშუალო სკოლის დირექტორისადმი, მათი პერსონალური ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ. ამიტომ საკასაციო პალატის აზრით, აღნიშნული ინფორმაცია არ წარმოადგენს პირად საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას, რომლის სხვა პირისათვის გაცემაზე კოდექსი სანოტარო წესით დამოწმებულ თანხმობას ითვალისწინებს და ამ ნაწილშიც იზიარებს საოლქო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწ-

ვეტილებას.

რაც შეეხება მე-3 კითხვის თაობაზე ინფორმაციის გაცემას, ამ ნაწილში საკასაციო პალატა, დაუსაბუთებლობის მოტივით, ვერ გაიზიარებს საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებას და მიაჩნია, რომ სასამართლომ კვლავ უნდა იმსჯელოს ამ მონაცემების გაცემის კანონიერებაზე.

აღნიშნული კითხვა ეხება №13 საშუალო სკოლაში კლასდაკომპლექტების რაოდენობას და კლასების მიხედვით მოსწავლეთა სახელის, გვარის, მამის სახელის დაბადების თარიღის შესახებ ინფორმაციის გაცემას. კასატორის განმარტებით, №13 საშუალო სკოლის დირექციაში წარმოდგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 271 მუხლის შესაბამისი განცხადება, რომლითაც სკოლის მოსწავლეების მშობლები მოითხოვდნენ მათი შვილების შესახებ პერსონალური ინფორმაციის გასაიდუმლოებას. აღნიშნული განაცხადი საქმეში წარმოდგენილი არ არის და მართალია, პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეები თვითონ განსაზღვრავენ თავიანთი მოთხოვნების საფუძვლებს და წარმოადგენენ სათანადო მტკიცებულებებს, მაგრამ ადმინისტრაციული პროცესის ინკვიზიციურობის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო საკუთარი ინიციატივითაც გამოეკვლია აღნიშნული გარემოება და შეეგროვებინა მტკიცებულებები, თანახმად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლისა, რაც სააპელაციო სასამართლოს არ განუხორციელებია, რის გამოც ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს საოლქო სასამართლოს.

ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მე-3 საკითხთან დაკავშირებით, კლასდაკომპლექტებისა და მოსწავლეთა შესახებ პერსონალური მონაცემის გაცემის ნაწილში, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ზემოაღნიშნული მითითებით საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს ამავე სასამართლოს, ხოლო დანარჩენ ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი უნდა დარჩეს, რადგან საქმის გარემოებათა სწორი შეფასებითა და კანონის მართებული გამოყენებაკანმარტებით, ამ ნაწილში სასამართლომ გამოიტანა კანონიერი გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ და ამ ნაწილში საკასაციო საჩივარი, უსაფუძვლობის მოტივით, არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, სსკ-ს 412-ე ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ქუთაისის №13 საშუალო სკოლის დირექტორის ნ. ლომთაძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. გაუქმდეს ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003წ. 30 აპრილის გადაწყვეტილება კითხვარის №3 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე კლასდაკომპლექტების რაოდენობისა და კლასების მიხედვით მოსწავლის სახელის, გვარის, მამის სახელის და დაბადების თარიღის შესახებ ინფორმაციის გაცემის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე არსებითად განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003წ. 30 აპრილის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე),
ნ. კლარჯეიშვილი,
ი. ლეგაშვილი

დანართი 5

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

საქმე №3ბ-413.04წ. 16 თებერვალი 2004 წელი.
ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს
ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა
სააპელაციო პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე: ნ. წკეპლაძე
მოსამართლეები: ლ. ჭუმბურიძე
ა. იოსელიანი

ი. თოხაძის მდივნობით

განიხილა დ. გურგენიძის სააპელაციო საჩივარი თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებაზე.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალების შესწავლის შედეგად

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

2003 წლის 22 მაისს მოსარჩელე დ. გურგენიძემ სარჩელით მიმართა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს. მოპასუხე საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საპჭოს მიმართ და მოითხოვა საჯარო ინფორმაციის, კერძოდ მოსამართლე პაატა ქობულაძის დისციპლინური სახდელის სარეზოლუციო ნაწილის ქსეროასლის გაცემა, შემდეგი საფუძვლით:

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საპჭოს მდივანმა თ. ბეჟაშვილმა 2003 წლის 26 მარტის წერილით უარი უთხრა მოსარჩელე დ. გურგენიძეს პ. ქობულაძის დისციპლინური სახდელის სარეზოლუციო ნაწილის ქსეროასლის გაცემაზე, რაც მოსარჩელის მოსაზრებით, კანონსაწ-

ინააღმდეგოა, რამდენადაც მოპასუხემ დაარღვია საქართველოს კანონის „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ 81-ე მუხლისა და საქართველოს ორგანული კანონის „საერთო სასამართლოების შესახებ“ 59-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

მოპასუხე საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს წარმომადგენელმა თ. ბეჟაშვილმა სარჩელი არ ცნო, შემდეგ გარემოებათა გამო:

მოპასუხეს მიაჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ზემოთმითითებული ინფორმაციის გაცემის შესახებ უსაფუძვლოა, ვინაიდან მოსამართლე პ. ქობულაძის მიმართ დ. გურგენიძის საჩივრის საფუძველზე არ განხილულა არანაირი სადისციპლინო საქმე, უფრო მეტიც, მოპასუხის მოსაზრებით, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მიხედვით დისციპლინური სამაროალწარმოების პროცესი კონფიდენციალურია, ხოლო, ამავე კანონის 81.1 მუხლის შესაბამისად, მოპასუხეს მიაჩნია, რომ კანონი არ ავალდებულებს სადისციპლინო საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ასლის გაცემას.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად, კანონმდებელმა განსაზღვრა ინფორმაციის აღიარების პრეზუმფცია, ამასთან დაადგინა, რომ საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაცია არის ღია და ხელმისაწვდომი მანამ, სანამ საპირისპირო არ იქნება დადგენილი კანონმდებლობით, დადგენილი მოთხოვნების დაცვით, რაც მოპასუხის მოსაზრებით, ნიშნავს იმას, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭო არ არის ვალდებული მოსარჩელეს მისცეს კონფიდენციალური ინფორმაცია.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ 2003 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით დ. გურგენიძის სარჩელი არ დააკმაყოფილა, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქართველოს კანონის „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ მე-5 მუხლის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი კონფიდენ-

ციალურია, ხოლო, ამავე კანონის 81-ე მუხლის მიხედვით, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსამართლისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის, დისციპლინური სახდელისა და დისციპლინური ზემოქმედების გამოყენების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოქვეყნების უფლება საერთო სასამართლოს მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს, რის გამოც, თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, არ არსებობს დ. გურგენიძის სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

2003 წლის 18 აგვისტოს განჩინებით, თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ უარი უთხრა დ. გურგენიძეს სასამართლო სხდომის ოქმში შენიშვნების შეტანის შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე.

რაიონული სასამართლოს ზემოთმითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. გურგენიძემ, რომელმაც მოითხოვა მისი გაუქმება და მოცემულ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, შემდეგი მოტივით:

აპელანტს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას რაიონულმა სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2 და 19.12 მუხლები, ე.ი., არ გამოითხოვა დამატებითი ინფორმაცია და მტკიცებულებები.

აპელანტი არ დაეთანხმა რაიონული სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ასევე, მისთვის სახელმწიფო ბაჟის სახით 30 ლარის დაკისრების ნაწილში, იმდენად, რამდენადაც თვლის, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 10.2 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო, თუ ადმინისტრაციული აქტი გამოცემული იყო საქმის გარემოების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ვალდებულია აანაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც.

აპელანტის მოსაზრებით, რაიონულ სასამართლოს არ გამოურკვევია, თუ რატომ არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის უფლება დ. გურგენიძემ და სხვა მთელი რიგი გარემოებანი, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ სასამართლოს, მიეღო მოცემულ საქმეზე კანონიერი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო, სააპელაციო საჩივრის მოტივების, საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებებისა

და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა გაანალიზების შედეგად, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დ. გურგენიძის სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; შესაბამისად, უნდა გაუქმდეს თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული უნდა იქნას ახალი გადაწყვეტილება, კერძოდ, დ. გურგენიძის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 და 394. „ე“ მუხლის მოთხოვნები, კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა, არასწორად განმარტა კანონი და გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

დადგენილია, რომ 2003 წლის 14 მარტს და 26 მარტს დ. გურგენიძემ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლის პ. ქობულაძის დისციპლინურ სახდელზე გამოტანილი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ქსეროასლის გაცემის შესახებ.

ასევე, დადგენილია, რომ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს 2003 წლის 26 მარტის წერილით დ. გურგენიძეს უარი ეთქვა ზემოთმითითებული ინფორმაციის გაცემაზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის საფუძველზე.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პირველი მუხლის თანახმად, აღნიშნული კოდექსი განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის და განცხადების განხილვის, ადმინისტრაციული გარიგების მომზადების, დადებისა და შესრულების წესს, ხოლო ამავე კოდექსის მე-2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში მოცემული დეფინიციის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლი-

ტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე, ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.ც კონკრეტულ შემთხვევაში, მოპასუხეს წარმოადგენს საერთო სასამართლოს მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭო, რომელიც საქართველოს 1997 წლის 13 ივნისის ორგანული კანონის „საერთო სასამართლოების შესახებ" 73.1 მუხლის „გ" პუნქტის შესაბამისად, შედის საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის, ანუ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის სისტემაში და მისი შემადგენლობა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონით „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭო ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას სპეციალური კანონის საფუძველზე. შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში, მოცემული დავის გადაწყვეტისას სასამართლო კოლეგია თვლის, რომ გამოყენებული უნდა იქნას საქართველოს კანონის „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ" მე-5 მუხლი, რომელშიც კანონმდებელი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ კონფიდენციალურია დისციპლინური სამართალწარმოების შედეგი, კერძოდ, ამავე კანონის 81-ე მუხლში მითითებული სადისციპლინო კოლეგიის და სადისციპლინო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის გამოქვეყნების უფლებას ანიჭებს მოპასუხეს, რაც თავისი არსით უკვე შეიცავს იმ განსაზღვრებას, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია არ წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას.

უფრო მეტიც, ზემოთმითითებული კანონის 30.1 მუხლის თანახმად, სადისციპლინო კოლეგია მოქმედებს, როგორც სასამართლო, რომლის გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში ცხდდება საქვეყნოდ, ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, კანონმდებელმა სწორედ აღნიშნული საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი ასახა 81-ე მუხლში, რომლის სათაური ცალსახად განსაზღვრავს, რომ სადისციპლინო საბჭოს გადაწყვეტილებების სარეზოლუციო ნაწილი გამოქვეყნებადია და იქვე 81.2 მუხლით ად-

გენს შეზღუდვას, რომლის მიხედვით, კანონმდებელი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ დაუშვებელია სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, კერძოდ, მოსამართლისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის, დისციპლინური სახდელის და დისციპლინური ზემოქმედების ღიონისძიების დაკისრების საფუძვლების გამოქვეყნება, მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევის გარდა.

სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ მითითებული ნორმის მიხედვით, სადისციპლინო საბჭო თავისუფალია არჩევანში გამოაქვეყნოს თუ არა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, მაგრამ ეს არ შეიძლება გულისხმობდეს ამ უფლებამოსილების სუბიექტურ გამოყენებას და მითითებული ნორმა უნდა განმარტებული იქნას ამგვარად, რომ ყველა შემთხვევაში, როცა სადისციპლინო საბჭო იყენებს ან არ იყენებს უფლებამოსილებას, იგი მოტივირებული უნდა იყოს სასამართლოს ავტორიტეტისა და მართლმსაჯულების ინტერესის უზრუნველსაყოფად.

კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელე დ. გურგენიძემ მოითხოვა რა მითითებული მასალების გადაცემა, სადისციპლინო საბჭოს არ მოუხდენია თავისი უფლებამოსილების არგამოყენების შესაბამისი მოტივაცია, დ. გურგენიძის კერძო ინტერესი, მიეღო ინფორმაცია, თუ რატომ არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, ანუ რა აღმატებული საჯარო ინტერესი იყო სახეზე, რის გამოც მას კერძო ინტერესთან შეფარდებით უპირატესობა უნდა მინიჭებოდა, მით უფრო, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 7.2. მუხლის მიხედვით, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა, აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო კოლეგია თვლის, რომ მოპასუხის მიერ დარღვეული იქნა საჯარო- სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი – კერძო და საჯარო ინტერესთა პროპორციულობის შესახებ, რომელიც მოიცავს და უზრუნველყოფს კერძო და საჯარო ინტერესთა ბალანსს, ურთიერთგაწონასწორებას.

სასამართლო კოლეგია მიიჩნევს, რამდენადაც მოპასუხისგან არც სასამართლო განხილვისას არ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი დასაბუთება მოსარჩელის მოთხოვნის უსაფუძვლობის /თუნ-

დაც არამიზანშეწონილობის/ თაობაზე, ასეთ ვითარებაში, მოცემულ შემთხვევაში, უპირატესობა უნდა მიენიჭოს კერძო ინტერესის დაკმაყოფილებას, რამდენადაც სააპელაციო სასამართლო მოკლებულია პროცესუალურ შესაძლებლობას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და სსს კოდექსის მე-4 მუხლების საფუძველზე, თავად მიუთითოს საწინააღმდეგო, თუ რაში მდგრმარეობს კონკრეტულ შემთხვევაში, არაკონფიდენციალური ინფორმაციის არგაცემის მიზანშეწონილობა და აუცილებლობა.

აღსანიშნავია, რომ დ. გურგენიძის სააპელაციო საჩივრის ერთ-ერთ მოტივს, სწორედ, მოპასუხის უარის დასაბუთებულობა წარმოადგენს, რაც ექვემდებარება გაზიარებას სასამართლოს მხრიდან.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ დ. გურგენიძის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, რამდენადაც მოპასუხემ ვერ შეძლო მოტივაციის წარმოდგენა კონკრეტული ფაქტების განსაზღვრის გზით, სასარჩელო მოთხოვნების უარყოფის მართზომიერების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.1 მუხლის შესაბამისად, მოპასუხეს უნდა დაეკისროს მოსარჩელის სასარგებლოდ 60 ლარის გადახდა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-12, სსკ 38-ე, 39-ე, 53-ე, 257-ე, 372-ე, 386-ე, 389-ე, 391-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დავით გურგენიძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება გაუქმდეს და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნას ახალი გადაწყვეტილება.

3. დავით გურგენიძის სარჩელი დაკმაყოფილდეს.

4. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს დაევალოს მოსარჩელეს გადასცეს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია.

5. მოპასუხეს დაეკისროს სახ. ბაჟის გადახდა 60

ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით, საქართველოს უზენაეს სასამართლოში მდებარე თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ.№32, გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემიდან ერთი თვის განმავლობაში, თბილისის საოლქო სასამართლოს მეშვეობით (ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის 7ა).

თავმჯდომარე: ნ. წკეპლაძე
მოსამართლეები: ლ. ჭუმბურიძე
ა. იოსელიანი

გამოყენებული ლიტერატურა

ზურაბ ადეიშვილი, გერდ ვინტერი, დიმიტრი ძიტოშვილი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კომენტარი.
თბილისი, 2002 წელი;

ზურაბ ადეიშვილი, ქეთევან ვარდიაშვილი, ლევან იზორია, ნინო კალანდაძე, მაია კოპალეიშვილი, ნუგზარ სხირტლაძე, პაატა ტურავა, დიმიტრი ძიტოშვილი

ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო.
თბილისი, 2005 წელი;

გიორგი გაბრიელაშვილი, ელენე ნიჭარაძე

ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.
თბილისი, 2004 წელი;

თამარ გურჩიანი

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, ინფორმაციის თავისუფლება (ნაწილი II).
თბილისი, 2005 წელი;

პაატა ტურავა

საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ და ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსებში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების მოკლე მიმოხილვა.
თბილისი, 2005 წელი;

Hartmut Maurer

Algemeines Verwaltungsrecht.
15 Auflage, München 2004;

Dieter Schmalz

Allgemeines Verwaltungsrecht und Grundlagen des Verwaltungsrechtsschutzes.
3 Auflage, Baden-Baden1998.